

"24 საათის" ფიქციური ნომერი \*2424

ინილეთ ანართი



## ახალი რეალობა და რუსული რულეტკა

თინათინა ზაქარაძე

დღევანდელი რუსეთი აღარ მაინტერესებს, პირადად ჩემთვის ეს ამოცანა უკვე ამოცნობილია. რუსული კოდი გაშიფრულია. რა-ღა საინტერესოა ფოკუსი, როდესაც იცი, როგორ კეთდება?! თუ ვინმეს ამაში ეჭვი ეპარება, გულწრფელად თანაუგრძობი. რუსულმა ხომალდმა "სიცოცხლესთან შეუთავსებელი" დარტყმა მიიღო. თავისი ელემენტარულად დიდი ზომის გამო ჩაძირვის პროცესი ცოტა გაუგრძელდება, თორემ გადარჩენის აღარავითარი შანსი არ გააჩნია. რუსულმა გემმა ჩათვალა საქართველო ერთ პატარა ყინულის ნატეხად, მაგრამ სინამდვილეში ის აღმოჩნდა მსოფლიო ცივილიზაციის "აისბერგის"

მკვრივი ნეფტი, რომელმაც მთლიანად გაუფატრა მუცელი და ეხლა ეს "ტიტანიკი" იძირება. არსებობს მოვლენების განვითარების სამი შესაძლო სცენარი: პირველი - შენარჩუნდება პუტინ-მედევევის ტანდემი, მეორე - დარჩება მედევევი და მესამე - გაიმარჯვებს პუტინი. რამდენად პარადოქსულადაც არ უნდა მოეჩვენოს ვინმეს, ნებისმიერი ვარიანტი საქართველოსთვის მომგებიანი იქნება.

მაშ ასე, დავუშვათ შენარჩუნდება არნივის ორივე თავი. ამ შემთხვევაში რუსეთს ელის სერიოზული ეკონომიკური პრობლემები, თუ მეტი არა. მსოფლიოში დღეს პუტინთან საქმის დაჭერა ცუდ ტონად ითვლება.

ბაზრძალაბა A4 გვარძაბა

ავღანეთის არჩევნები - საშინელი კატასტროფა

A8



## "თარიღების პოლიტიკა"

7 ნოემბერს ქუჩაშიც და კაბინეტებშიც აღნიშნავენ

ვარიკო თაყაიძე

წლებანდელი 7 ნოემბრის აღნიშვნას არასამთავრობო ორგანიზაციები საპროტესტო აქციებით აპირებენ, ხოლო პოლიტიკური ორგანიზაციები სპეციალური კონფერენციის მოწყობას გეგმავენ - თითოეული პარტია დამოუკიდებლად შეფასებს მიხეილ სააკაშვილის მმართველობის ექვსწლიან

პერიოდს. თუმცა არსებობს ისეთი პარტია, მაგალითად, "ახალი მემარჯვენეები", რომელიც, ზოგადად, კონფერენციის იდეას იწონებს, თუმცა მის დაკავშირებას კონკრეტულ თარიღთან გაუგებრად მიიჩნევს. როგორც "24 საათს" მემარჯვენეების ერთ-ერთმა ლიდერმა მამუკა კაციტაძემ განუცხადა, მისთვის მიუღებელია პოლიტიკური პროცესების თარიღების ტყვეობაში ყოფნა.

"თარიღებთან დაკავშირებული პოლიტიკური ეპოპეა არ იძლევა პრექტიკულ შედეგს," - ამბობს კაციტაძე. მისივე შეფასებით, 7 ნოემბერს, ისევე როგორც ნებისმიერი თარიღს, საზოგადოებრივი დატვირთვა აქვს და ამ დღეს საპროტესტო აქცია სწორედ რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა უნდა გამართონ.

ში პოლიტიკურ შეფასებას გააკეთებენ. მათი ხედვების პრეზენტაციაც გაიმართება ანუ სააკაშვილის ექვსწლიანი პოლიტიკის ანალიზს ისინიც გააცნობენ საზოგადოებას. ოღონდ ჯერჯერობით გაურკვეველია, პრეზენტაციას ცალკე მოაწყობენ თუ ერთობლივი კონფერენციის ფორმატში დანარჩენ პარტიებს შეუერთდებიან.

"ახალი მემარჯვენეები" აღნიშნულ თარიღთან მიმართება-

ბაზრძალაბა A2 გვარძაბა

ვარიკოვთა სპარტაკიდა

A13



## რუსუდან მეიფარიანი - კულტურათა დიალოგის ეპიცენტრში

"როცა ვარ მარტო, როცა ვინცებ წერას..."

სოფო კილაშონია

რუსუდან მეიფარიანის შესახებ თბილისში ბევრს სმენია, თუმცა ის და მისი ანსამბლი "დაფონი", რომელშიც რუსუდანის გარდა ნატალია მეიფარიანი და გიგა ხელაია არიან, თბილისში მას შემდეგ გახდნენ განსაკუთრებულად საინტერესონი, როცა 2008 წელს მანჰაიმში გამართულ ფოლკმუსიკის საერთაშორისო კონკურსში გაიმარჯვეს. ამ კონკურსში მონაწილეობდნენ ანსამბლები და ჯგუფები მსოფლიოს ყველა ქვეყნიდან, თუმცა კონკურსს "ქრეოლე" მუსიკოსთა მხოლოდ ორი გაერთიანება უნდა გამოეჩინა. მოხდა ისე, რომ გასულ წელს ორივე რჩეული ქართველები იყვნენ: მეიფარიანის ტრიო და ასევე ქართული - "შინი". მართალია, რუსუდან მეიფარიანი საქართველოში მხოლოდ ორჯერ წარსდგა მსმენელის წინაშე და ისიც მხოლოდ რამდენიმე კომპოზიციით სხვადასხვა კონცერტებზე, მაგრამ პატარა ტურნე საქართველოს მასშტაბით, რომელსაც ის და მისი კოლეგები ხვალისა და 4 ნოემბრიდან იწყებენ, ვფიქრობ ამ სიცარიელეს ამოავსებს და ქართველი მსმენელი კარგად გაიცნობს მუსიკოს-მემსრულელებს, რომლებიც უკვე 10 წელიწადზე მეტია, გერმანიაში ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.



ბაზრძალაბა A11 გვარძაბა

**24 საათი**

"24 საათის" ელექტრონული ვერსია ინილეთ Web-გვერდზე [www.24saati.ge](http://www.24saati.ge)

ჩვენი პარტნიორები:

**თიბისი ბანკი TBC BANK**  
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

**GRDC group**

**ჰი ჰი ჰი**  
შინს საღაჯაჯაჯი ჰაჯაჯი



### დიდი ბრიტანეთის ღია მხარდაჭერა

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დევიდ მილიბენდი გუშინ მოსკოვში იმყოფებოდა. რუს კოლეგასთან შეხვედრისას იგი საქართველოს საკითხსაც შეეხო. მილიბენდმა რადიო "ეხო მოსკოვს" ეთერში სტუმრობისას სერგეი ლავროვთან გამართული მოლაპარაკებების შესახებ ისაუბრა. **"საქართველოს საკითხებზე მე დღეს და გუშინ საუბარი ჰქონდა ბატონ ლავროვთან და ჩვენს პოზიციებში კვლავაც არსებობს განსხვავება. თუმცა, აუცილებელია ხანგრძლივი მუშაობა პოზიციების დასახლოებლად,"** - განაცხადა მილიბენდმა. რუსეთ-საქართველოს ომზე საუბრისას ბრიტანეთის საგარეო-პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფაქტების დამდგენი კომისიის მოხსენება მიუთითებს როგორც საქართველოს შეცდომებზე, ასევე რუსეთის დისპროპორციულ პასუხზე. მოსკოვის მხრიდან ძალის გამოყენებამ კონფლიქტის გეოგრაფიული ჩარჩო და საბრძოლო მოქმედების მასშტაბი გაზარდა. **"რუსეთმა დაარღვია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და ეს გაუმართლებელია,"** - აცხადებს მილიბენდი. მან დასძინა, რომ ავგუსტოს ომის შესახებ ჰაიდი ტალიაინის კომისიის დასკვნამ ბრიტანეთის პოზიციებზე გავლენა არ იქონია.

ამავე დროს დევიდ მილიბენდი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის სახელმწიფოებად აღიარებას გაუმართლებლად მიიჩნევს. მინისტრის თქმით, რუსეთის ეს გადაწყვეტილება სრულიად ეწინააღმდეგება ევროკავშირის რეზოლუციას. მილიბენდის აზრით, კოსოვო და სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის შემთხვევები ერთმანეთთან აბსოლუტურად შეუსაბამოა, რადგან ის ქვეყანა, რომლის ნაწილიც იყო კოსოვო, კერძოდ, იუგოსლავია, დღეისთვის აღარ არსებობს. მისივე თქმით, ე.წ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობას დიდი ბრიტანეთი მხარს არ დაუჭერს.

საქართველოს კიდევ ერთი მხარდამჭერი განცხადება მილიბენდმა მოსკოვში ვიზიტამდე ერთი დღით ადრე, რუსულენოვანი "ნოუსვიკისთვის" მიცემულ ინტერვიუში გააკეთა. მისი თქმით, ნატოს უარი ღია იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც ალიანსის საბაზისო ღირებულებებს იზიარებენ. ალიანსის გადაწყვეტილება, დაეხმაროს საქართველოსა და უკრაინას რეფორმების გატარებაში, ძალაში რჩება. **"ნატო ორივე ქვეყანასთან აქტიურად მუშაობს სახელმწიფო პროგრამებსა და პოლიტიკურ რეფორმებზე. ამაში რუსეთისთვის ვერანაირ საფრთხეს ვერ ვხედავ,"** - განაცხადა მილიბენდმა.

### ბიძა ცაბარეიშვილი: ქვეყანაში საჭარო ინფორმაციას არ გასცემენ

ოპოზიციონერი პარლამენტარი გია ცაგარეიშვილი აცხადებს, რომ საქართველოში საჯარო ინფორმაციის სრულყოფილი სახით მიიღება შეუძლებელია. გუშინ მან ამ თემაზე, საზოგადოებრივი მოძრაობა "დაიცავი საქართველოს" წარმომადგენელ ლევან ჩიკვაძესთან ერთად, სპეციალური პრესკონფერენცია გამართა.

როგორც ცაგარეიშვილი აღნიშნავს, იგი, "დაიცავი საქართველოს" წარმომადგენლებთან ერთად, თვეზე მეტია, ამაოდ ცდილობს პრეზიდენტის და მთავრობის სარეზერვო ფონდებიდან თანხების ხარჯვის შესახებ ოფიციალური უწყებებიდან საჯარო ინფორმაციის მიღებას. ცაგარეიშვილის თქმით, შესაბამისმა უწყებებმა ფორმალურად მოიხადეს მოვალეობა და მათ მშრალი, არაფრისმთქმელი ინფორმაცია მიანოდეს. **"ჩვენ კი ფონდებიდან გახარჯული თანხების მიზნობრიობა და ადრესატები გვაინტერესებდა,"** - შენიშნა ცაგარეიშვილმა.

როგორც დეპუტატმა გუშინდელ პრესკონფერენციაზე განაცხადა, იგი ასეთ არადემოკრატიულ გარემოში ინფორმაციის მოპოვებას "უპრეცედენტო მეთოდებით" შეეცდებოდა. მეთოდების რაობა მას არ დაუზუსტებია.

საკუთარი ინფორმაცია

# "თარიღების პოლიტიკა"

პირველი გვარდია

როგორც ჩვენთან საუბარში კაციტაძემ განაცხადა, თუ ოპოზიცია კონფერენციას ავტონომიურ რეჟიმში მონაწილეობს და მას 7 ნოემბრის თარიღს არ დაამთხვევს, მაშინ "მემარჯვენეები" თავიანთ ხედვას დანარჩენ პარტიებთან ერთად წარადგენენ. ხოლო თუკი კონფერენცია მინც შეიძინა ოპოზიციის თარიღს მიება, მაშინ "მემარჯვენეების" შეფასებებს ცალკე, სხვა დროს მოვისმენთ. **"ჩვენთვის გაუგებარია თემების თემებზე მიგება. არ არის საჭირო პოლიტიკური პროცესების თარიღების ტყვეობაში ყოფნა,"** - შენიშნავს მამუკა კაციტაძე.

"თარიღების პოლიტიკას" არც პარტია "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" ინონებს. რაც შეეხება სააკაშვილის ექვსწლიანი პოლიტიკის შეფასებას, როგორც მოძრაობის წარმომადგენელმა პეტრე მამრადემ "24 საათს" განუცხადა, მათი პარტია ყოველივე ამის ანალიზს დაარსების დღიდან პერიოდულად აკეთებს და ისინი მზად არიან, ეს შეფასებები ნებისმიერ დროს გააცნონ საზოგადოე-

ბას. **"ჩვენ სააკაშვილის ქმედებებს, მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მთლიანობაში, ყველა ასპექტში განვიხილავთ. ქვეყანაში ჩამოყალიბდა დემოკრატიის იმიტაცია. სინამდვილეში სახეზე გვაქვს ავტორიტარული რეჟიმი. ქვეყანავს მართავს სააკაშვილი და ექვსი ადამიანი, რომლებიც თავს კანონზე მაღლა აყენებენ და დემოკრატიულ ღირებულებებს ფეხქვეშ თელავენ,"** - განაცხადა პეტრე მამრადემ.

ნოღაიელის პარტია ასევე მწვავედ აკრიტიკებს პრეზიდენტის ეკონომიკურ პოლიტიკას და სააკაშვილის ქმედებებს ავგისტოს მოვლენებთან მიმართებაში. **"საკაშვილის საგარეო პოლიტიკა დაყვანილია პრეზიდენტის ირაციონალურ, სპონტანურ ქმედებებზე,"** - ასეთია "მოდრაობა სამართლიანი საქართველოსთვის" შეფასება.

როგორც "24 საათს" "საქართველოს გზის" წარმომადგენელმა განუმარტა, მათ მიერ მომზადებული დოკუმენტი მოიცავს სააკაშვილის პოლიტიკას მთლიანობაში. ეს იქნება დასკვნა-ანალიზი იმის შესახებ, თუ რა შესრულდა პრეზიდენტის დაპირებებიდან და რა - არა.

"კონსერვატიული პარტიის" ერთ-ერთმა ლიდერმა კახა კუკავამ ჩვენთან საუბარში განაცხადა, რომ ისინი ამ ეტაპზე რამდენიმე საკითხზე მუშაობენ, თუმცა კონკრეტისთვის თანხა იკავებენ. მათი შეფასება 5 ან 6 ნოემბერს გამოქვეყნდება.

"მოდრაობა ერთიანი საქართველოსთვის" 7 ნოემბერს დაგეგმილ კონფერენციაზე სააკაშვილის მმართველობის ექვსი წლის პოლიტიკურ და სამართლებრივ შეფასებას წარმოადგენს. **"ძირითადი აქცენტი ადამიანის უფლებებზე, დემოკრატიული ინსტიტუტების არარსებობაზე, რეჟიმის შედეგებზე, რუსეთ-საქართველოს ომზე გაკეთდება,"** - შენიშნა ჩვენთან საუბარში მოძრაობის წარმომადგენელმა ეკა ბესელიამ. მისი თქმით, დოკუმენტი შედგება ორი ნაწილისგან. პირველ ნაწილში შეფასება იქნება წარმომადგენელი, ხოლო მეორე ნაწილში პოლიტიკური ორგანიზაცია საზოგადოებას გააცნობს პრობლემათა მოგვარების, არსებული ვითარებიდან გამოსვლის გზებს, საკუთარ ხედვას.

როგორც "დემოკრატიული მოძრაობა - ერთიანი საქართველოს" წარმომადგენელმა რომან კუსიანმა "24 საათს" განუცხადა, მათი პარტია მთავარ აქცენტს "ავგისტოს მოვლენებზე, ამ მოვლენების შემდგომ ათლიან აქციებზე, ასევე ბაიდენის ვიზიტის შემდგომ ათლიან პერიოდზე გააკეთებს".

რაც შეეხება 7 ნოემბრისთვის არასამთავრობოთა მიერ დაგეგმილ საპროტესტო ღონისძიებას, აქცია 15.00 საათზე "საზოგადოებრივი მათხრობის" შენობასთან დაიწყება. შემდეგ მანიფესტაციის მონაწილეები პარლამენტის შენობისკენ დაიძვრებიან.

პარლამენტის წინ დემონსტრაცია გაიმართება. აქციის ორგანიზატორები ხელისუფლებას სამპუნქტიან რეზოლუციას გაუგზავნიან. შემდეგ ქაშუეთის ეკლესიაში ქვეყნის გამთლიანებისთვის პარაკლისი ჩატარდება.

ჯერჯერობით არასამთავრობოები თავიანთ მოთხოვნებს არ ახმოვანებენ. ერთადერთი ის არის ცნობილი, რომ დემონსტრანტები პოლიტპატიმრების განთავისუფლებას მოითხოვენ.

## თხილისი მოსკოვს დაზინფორმაციის ბავრცელეზაში ადანაშაულებს

ნათია მსხილაძე

2006 წლის ივლისში, რუსეთის მიერ ზემო ლარსის სასაზღვრო-გამშვები პუნქტის ჩაკეტვასთან ერთად, საქართველოსა და რუსეთს შორის სახმელეთო მიმოსვლა შეწყდა, რადგან დანარჩენი ორი სასაზღვრო-გამშვები პუნქტი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთშია განლაგებული. რუსეთმა საზღვრის ჩაკეტვის მოტივად ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქციის საჭიროება დაასახელა. თუმცა საზღვრის ჩაკეტვა საექსპოტო დაემთხვა საქართველოსთვის დაწესებულ სანქციებსა და რუსეთში ქართული პროდუქციის შეტანის აკრძალვას. ეს სანქციანიტი გზა შესაბამისად სომხეთისთვისაც დაიხურა.

სამი წლის თავზე რუსეთის ხელისუფლებამ, შვეიცარიის სელჩოს მემგობით, საქართვე-

ლოს საგარეო საქმეთა სამინისტროს შეატყობინა, რომ რუსულმა მხარემ დაასრულა სარეკონსტრუქციო სამუშაოები და მზად არის, მოლაპარაკებები გამართოს სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნის "ტექნიკურ საკითხებზე". თუმცა მას შემდეგ არანაირი გადაწყვეტილება არ მიღებულა.

საზღვრის მოწყობაზე მომუშავე რუსეთის ფედერალურმა სააგენტომ ყველასთვის მოულოდნელად გაავრცელა ინფორმაცია, რომ რუსეთთან ყაზბეგი-ზემო ლარსის სახმელეთო საზღვრის გახსნის შესახებ ერევანში რუსულ და ქართულ დელეგაციებს შორის სამუშაო შეხვედრა შედგა. **"ერევანში შეხვედრაზე ქართულ მხარეს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპული დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე კახა ჩიტაია, ხოლო რუსულ მხარეს სასაზღვრო სა-**

**აგენტოს ხელმძღვანელის მოადგილე იური მალცევი წარმოადგენდნენ. მხარეებმა დადასტურეს პრინციპული დაინტერესება ამ გამშვები პუნქტიდან მოძრაობის სწრაფად აღდგენაზე. სამუშაო შეხვედრის შედეგები წარედგინება რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს ხელმძღვანელობებს საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად,"** - იუწყება საზღვრის მოწყობაზე მომუშავე რუსეთის ფედერალური სააგენტო.

საქართველოს საგარეო უწყებამ უარყო რუსეთთან ყაზბეგი-ზემო ლარსის სახმელეთო საზღვრის გახსნის შესახებ პირდაპირი მოლაპარაკებების არსებობა, თუმცა დაადასტურა ამ თემაზე სომხეთთან ტექნიკური მოლაპარაკებების მიმდინარეობა. **"რუსული მხარე ავრცელებს ინფორმაციას, თითქოს აღნიშნულ საკითხზე საქართველოსა**

**და რუსეთს შორის მოლაპარაკება მიმდინარეობს, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ლარსის საკითხზე მხოლოდ სომხურ მხარესთან მიმდინარეობს მოლაპარაკება, ხოლო სომხური მხარე, თავის მხრივ, მოლაპარაკებას აწარმოებს რუსეთთან,"** - აღნიშნა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ნინო კალანდიაძემ.

როგორც ქართული მხარე აცხადებს, საქართველო, მეზობელი სომხეთის ინტერესებიდან გამომდინარე, დაინტერესებულია, გახსნას ლარსის გამშვები პუნქტი და ამისთვის ნებისმიერ დამთმობაზე წავა, თუმცა პრობლემა რუსეთი წარმოადგენს. **"საქართველო მზად არის, როგორც კი სომხური და რუსული მხარეები შეთანხმდებიან, გახსნას ლარსის საკონტროლო გამშვები პუნქტი,"** - აღნიშნა მინისტრის მოადგილემ.

# რუსული აბრეხისი სამიზნეები

დიმიტრი ავალიანი

რუსეთი ჩრდილოეთ კავკასიაში სამხედრო დაჯგუფებას აძლიერებს. ექსპერტი პაველ ფელგენგაუერი საქართველოს წინააღმდეგ ახალ აგრესიას არ გამორიცხავს და ასევე მიიჩნევს, რომ გაძლიერებული დაჯგუფება შესაძლოა უკრაინის წინააღმდეგაც იქნეს გამოყენებული. მისი აზრით, მეზობელი ქვეყნების ტერიტორიების ანექსიის გეგმებს კრემლში სერიოზულად განიხილავენ.

რუსეთის შეიარაღებული ძალების კონცენტრაცია რუსეთის სამხრეთის ფედერალურ ოლქში და ჩრდილოეთ კავკასიაში, შესაძლოა, ახალი ომისთვის მზადებას ნიშნავს. ასეთი ვარაუდი უკრაინულ სააგენტო "უნიან"-ისთვის მიცემულ ინტერვიუში რუსმა სამხედრო ექსპერტმა პაველ ფელგენგაუერმა გამოთქვა. მან მოსკოვის ოლქიდან და რუსეთის სხვა რეგიონებიდან კავკასი-

აში რუსული ქვედანაყოფების გადასროლის ფაქტი დაადასტურა. **"ის, რომ კავკასიაში სამხედრო ნაწილების თავმოყრა მიმდინარეობს, გასაგებია. იქ ომია და ის კიდევ გაგრძელდება,"** - აღნიშნა ფელგენგაუერმა.

ჩრდილოეთ კავკასიაში რუსული სამხედრო ძალების გადასროლის შესახებ ცნობები პირველად 29 ოქტომბერს რუსულ "ნეზავისიზია გაზეტაში" გაჩნდა. გამოცემა სამხედრო წყაროებზე დაყრდნობით იუწყებოდა, რომ 58-ე არმიის ბაზაზე ოპერატიული სარდლობის ფორმირების გეგმის ფარგლებში, ჩრდილოეთ კავკასიაში დისლოცირებული ჯარების რაოდენობა, სულ მცირე, ოთხჯერ გაიზარდება. სულ რეგიონში რვა მოტომსროლელი და ერთი სატანკო ბრიგადა განლაგდება.

ასევე დაგეგმილია ჩრდილოეთ კავკასიის მიმართულების გაძლიერება რუსეთის შინაგან საქმეთა სამინისტროს ძალებით. იმას, რომ მათი გადასროლის პროცესი დაწყებულია, რამდენიმე დღის წინათ მომხდარი ინციდენ-

ტიც ადასტურებს. რუსული სააგენტოების ინფორმაციით, იაკუტსკის მახლობლად ჩამოვარდნილი სატრანსპორტო თვითმფრინავი "ილ-76" ირაკუტსკში მიფრინავდა. იქ ბორტზე შინაგანი ჯარების მებრძოლები უნდა აეყვანა, რომლებიც ჩრდილოეთ უკვასიაში მიემგზავრებოდნენ.

"ნეზავისიზია გაზეტას" წყაროების მტკიცებით, ძალების ასეთი თავმოყრა საქართველოს მხრიდან "აგრესიის მოგერიების", ასევე ჩრდილოეთ კავკასიაში შეამზობებთან ბრძოლის გაძლიერების საბაბით ხდება. რუსული სამხედრო წყაროები ასევე აღნიშნავენ, რომ სწორედ ჩრდილოეთ კავკასიაშია დაგეგმილი ახალი ქვედანაყოფების აღჭურვა შეიარაღებისა და ტექნიკის ახალი ნიმუშებით, მათ შორის "ისკანდერის" ტიპის რაკეტებით (რომელიც რუსეთში საქართველოზე უკვე გამოცადა).

პაველ ფელგენგაუერის განცხადებით, საქართველოს მხრიდან რუსეთის წინააღმდეგ შესაძლო "აგრესიაზე" სა-

უბარი არასერიოზულია. **"საქართველოს მხრიდან რა თავდასხმის მოგერიებაზე საუბარი? ისინი (ქართველები) როსტოვს შეუტყვენ? სამაგიეროდ, საქართველოს წინააღმდეგ რუსეთის აგრესია სავსებით შესაძლებელია,"** - აცხადებს ფელგენგაუერი. მისი აზრით, ახალი ომის საფრთხე უკვე გაზაფხულიდან, აპრილის თვიდან კვლავ აქტიუალური იქნება.

იმავედროულად, მან არ გამორიცხა გაძლიერებული სამხედრო დაჯგუფების გამოყენება უკრაინის წინააღმდეგ. თუმცა, ექსპერტის აზრით, უახლოეს მომავალში უკრაინის წინააღმდეგ პირდაპირი სამხედრო აგრესია მოსალოდნელი არ არის.

**"უკრაინასთან სამხედრო კონფლიქტი მომავლის საქმეა. ეს არც წელს და არც უახლოეს რამდენიმე წელიწადში არ მოხდება,"** - აცხადებს ფელგენგაუერი. თუმცა, მისი აზრით, პოლიტიკური სიტუაციის გამწვავებამ შესაძლოა, მდგომარეობა შეცვალოს.

მისი თქმით, ქვეყნებს შორის მომა-

ვალი ურთიერთობა უკრაინაში საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე იქნება დამოკიდებული. გარდა ამისა, ექსპერტის აზრით, სამხედრო რეფორმის დასრულებამდე კრემლი **"უკრაინის პრობლემის სამხედრო გზით მოგვარებისთვის მზად არ იქნება"**.

პაველ ფელგენგაუერი იმ მიზნების შესახებაც საუბრობს, რასაც შესაძლოა, რუსეთის მომავალი სამხედრო კამპანია ემსახურებოდეს. მისი თქმით, მაღალი თანამდებობის პირები რუსეთის ხელისუფლებაში სერიოზულად განიხილავენ ბელარუსის, ყაზახეთის ჩრდილოეთ ნაწილის და უკრაინის ტერიტორიის ორი შესამედის ანექსიის შესაძლებლობას. ამან რუსეთში სლავური მოსახლეობის წილი უნდა გაზარდოს და ქვეყნის დეპოპულაციის პრობლემა მოაგვაროს. **"როდესაც უტინი სობჩაკთან (სანკტ პეტერბურგის ყოფილი მერი) მუშაობდა, ამბობდა, რომ რუსი ხალხი დაფანტულია და რუსეთის გარეთ 30 მილიონი რუსი ცხოვრობს,"** - აღნიშნავს ფელგენგაუერი.

**გაზეთი "24 საათის" გამომცემელი შპს "მევა". რედაქტორ-გამომცემელი: მამუკა ფარქაშვილი, პაატა მუშაძე.**

**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რამდამტორები: შაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალაიძე (სამართალი), დავით ნინიაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)

სოფი კილასონა (რევიუ), კახა ფარქაშვილი (სპორტის). **რედაქციის და მარკეტინგის დეპარტამენტი:** ირაკლი ლეუვა ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული მენეჯერი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), ირმა ჯემუკარიანი, თენგიზ ქორია, ნინო ყაველაშვილი

**რედაქციის მისამართი: თბილისი, 01-86. ირაკლი გამრეკლის ქ.51. ტელ: 20-24-24, 31-91-03 (06, 07), 31-93-90 (91). ფაქსი: 31-93-86. ელ-ფოსტა: public@24hours.ge**



# მორიბი სასასიო კვირა პარლამენტში

თამარ ივანიძე

მიმდინარე კვირას საქართველოს პარლამენტი პლენარულ სხდომაზე კენჭს უყრის უკვე განხილულ 50-ზე მეტს და, ასევე, სხვადასხვა მოსმენით განიხილავს 40-მდე კანონპროექტს. მიმდინარე კვირას უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო პლენარულ სხდომაზე ქვეყნის უმთავრეს ეკონომიკურ კანონზე - მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზეც იმსჯელებს. საკითხები, რომლებიც მომავალ დღეებში პარლამენტში აქტიუალური იქნება, გუშინ ბიუროს სხდომაზე განიხილეს.

## მთავრობის საკანონმდებლო ინიციატივები

**"მთავრობა პარლამენტში შემოვა ამნისტიის ინიციატივით იმ პირთათვის, რომლებიც ნარკოტიკული ნივთიერების მოხმარებისთვის იხდიან სასჯელს,"** პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძის ამ განცხადებით გაიხსნა პარლამენტის ბიუროს გუშინდელი სხდომა.

ნარმოდგენილი პროექტის თანახმად, სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახვერდებოთ იმ მსჯავრდებულ პირებს, რომლებიც სასჯელს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით და 273-ე მუხლით იხდიან. ამ შემთხვევაში საუბარია პატიმრებზე, რომლებიც ციხეში ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების გამო მოხვდნენ.

დავით ბაქრაძის ინფორმაციით, საკითხის შესახებ კონსულტაციები ჰქონდა იუსტიციის სამინისტროსა და პროკურატურის წარმომადგენლებთან, რის შედეგადაც ერთობლივ გა-

დანყვეტილებამდე მივიდნენ. როგორც პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებლებს, რომლებიც საზოგადოებისთვის საფრთხეს არ წარმოადგენენ, საშუალება უნდა მიეცეთ, დაუბრუნდნენ საზოგადოებას, ნორმალურ ცხოვრებას.

**"მათთვის სასჯელის შემსუბუქება ერთ-ერთი ახალი ნაბიჯი იქნება იმ პოლიტიკის შემსუბუქების გზაზე, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერებების მოხმარებელთა მიმართ ახლებური დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას ისახავს მიზნად,"** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

ახალ ინიციატივას გამოეხმაურნენ პარლამენტის ვიცე-სპიკერები გიორგი წერეთელი და ლევან ვეფხვაძე, იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე პავლე კუბლაშვილი, რომლებიც ახალ ინიციატივას მიესალმნენ და შეთანხმდნენ, რომ აღნიშნული კატეგორიის დამნაშავეების საზოგადოებაში რეინტეგრაციაზე ზრუნავდნენ აუცილებელია.

ამასთან, ბიუროს სხდომაზე კიდევ ერთხელ დაისვა პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის მიერ შემსუბუქებული ანტინარკოტიკული პაკეტის დროულად მიღების საკითხი. ეს ინიციატივა ნარკომანიის დეკრიმინალიზაციას და ნამალზე დამოკიდებული ადამიანების მიმართ ლიბერალური მიდგომის დაწესებას გულისხმობს.

გარდა ამისა, პრეზიდენტმა პარლამენტს კიდევ ერთი ახალი საკონსტიტუციო ინიციატივით მიმართა. საკითხის აძვერადა გადასახადების შემოღებას და გაზრდაზე რეფერენდუმის ჩატარებას ეხება. პარლამენტში წარმოდგენილი საკონსტიტუციო ცვლილების თანახმად, საერთო სახელმწიფოებრივი გადასახადების შემოღება ან გაზრდა, ასევე მათი დაბეგრვის ობიექ-

ტის დამატება ან გაფართოება შესაძლებელი იქნება მხოლოდ რეფერენდუმის გზით, რომლის დანიშნვის ინიცირების უფლება მხოლოდ საქართველოს პრეზიდენტს ექნება.

პარლამენტის ბიუროს სხდომაზე "სადაზვერეო საქმიანობისა" და "დაზვერვის სამსახურის შესახებ" ახალი კანონპროექტების ინიცირებაც მოხდა.

კანონპროექტები მიზნად ისახავს თანამედროვე დაზვერვის სისტემის ჩამოყალიბებას, ასევე, სადაზვერეო საქმიანობის განხორციელების ეფექტურობის ამაღლებას, დაზვერვის სისტემაში შემავალი დაწესებულებების მართვა-კოორდინაციის, საქმიანობის სფეროსა და ძირითადი ამოცანების ახლებურად განსაზღვრას.

კანონპროექტების თანახმად, მიზანშეწონილად არის მიჩნეული, რომ ცალკე კანონით განისაზღვროს საგარეო დაზვერვის სპეციალური სამსახურის სტატუსი, მისი საქმიანობის ძირითადი სფერო და მიმართულებები, სამსახურის მიერ სადაზვერეო საქმიანობის განხორციელების სამართლებრივი საფუძვლები, სამსახურის მოსამსახურეების სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები.

პარლამენტის ბიუროს სხდომას გუშინვე წარედგინა 2010 წლის ბიუჯეტის კორექტირებული ვარიანტი. პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე ზურაბ მელიქიშვილის განცხადებით, მთავრობამ ბიუჯეტის მიმართ პარლამენტის ყველა შენიშვნა გაიზიარა. პარლამენტის შენიშვნები კი, ძირითადად, ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობის სფეროების და პენიტენციული სისტემას ეხებოდა. საკანონმდებლო ორგანომ მთავრობას ამ მიმართულებებით "ქამრების შემოჭრის" ხარჯზე პროგრამული დაფინანსების გაზრდა მოსთხოვა. 2010 წლის ბიუჯეტის შემო-

სავლელი პროექტში გათვალისწინებულია 5 მილიონ 107 ათასი ლარის მოცულობით, რაც წლევანდელ მონაცემზე 200 ათასით ნაკლებია. ხარჯები კი 5 მილიონ 398 ათასი ლარის მოცულობით. საბიუჯეტო პროექტი პირველადი განხილვისთვის მიმდინარე კვირის პლენარულ სხდომაზე გავა, რის შემდეგაც კანონით განსაზღვრული პროცედურით მთავრობას უკან დაუბრუნდება. მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის დამტკიცებას პარლამენტში ნოემბრის ბოლომდე ვარაუდობენ.

## "ოპოზიციური" თემები

პარლამენტის ვიცე-სპიკერი პაატა დავითაია ძალიან სტრუქტურების მხრიდან სპეციალური ღონისძიებების შემსუბუქებას ითხოვს. მან ბიუროს გუშინდელ სხდომაზე ბოლო პერიოდში აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების გამო გართულბულ ვითარებაზე გააკეთა განცხადება. დავითაიას თქმით, ამ არჩევნების გამო ქართული მოსახლეობა უშედეგო დღეშია, მათ ჩაუკეტეს დანარჩენ საქართველოსთან ადმინისტრაციული საზღვარი მთელ პერიოდში, ადგილი აქვს შეიარაღებული ძალების კონცენტრაციას, არანაკლებ დაძაბული სიტუაციაა ცხინვალის რეგიონში. პაატა დავითაიამ ქართული მოსახლეობის დაცვის მიზნით ძალიან სტრუქტურების მხრიდან სპეციალური ღონისძიებების შემსუბუქება მოითხოვა. პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, ეს საკითხი შესაბამის უწყებებს ეცნობება.

ვიცე-სპიკერმა ლევან ვეფხვაძემ კი ადგილობრივი წარმოების მხარდასაჭერი განცხადება გააკეთა და მთავრობისგან განმარტებები მოითხოვა 5 პროცენტის საბაჟო გადასახადის განკვეთის შესახებ გაუქმების შესახებ. ამის საპასუხოდ პარლამენტის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საბაჟო ტა-

რივების მოწესრიგების საკითხი ნამდვილად მნიშვნელოვანია და იმედი გამოთქვა, რომ მთავრობა ადგილობრივი წარმოების საზიანო გადაწყვეტილებებს არ მიიღებს. აქვე ის დაეთანხმა ვიცე-სპიკერის იდეას იმის შესახებ, რომ კანონპროექტის განხილვამდე ფრაქციებში შეხვედნენ მთავრობის წევრებს და პოზიციები შეაჯერონ. დავით ბაქრაძემ პარლამენტის წევრებს შესთავაზა, რომ მიმდინარე კვირა პოლიტიკური კონსულტაციებისთვის გამოიყენონ. ცნობისათვის - საბაჟო გადასახადის შემცირების საკითხი მას შემდეგ დაგა დღის წესრიგში, რაც ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციამ, უკრაინული კომპანიის სარჩელის საფუძველზე, საქართველოს ორგანიზაციის წევრების დროს ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოსთხოვა.

ბიუროს გუშინდელ სხდომაზევე გაიკვია, რომ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას გარდაცვალების მიზეზების დამდგენი კომისიის შემადგენლობა პარასკევს გახდება ცნობილი. შემადგენლობის განსაზღვრამდე პარლამენტის ბიუროს გუშინ კომისიის კვოტები წარედგინა. კომისიაში 11 დეპუტატი შევა, მათგან 4 იქნება ფრაქცია "ნაციონალური მოძრაობიდან", ხოლო 1 - საქართველოს რეგიონები - მაჟორიტარებიდან", 2 - ფრაქცია "ქრისტიან-დემოკრატიებიდან", 2 - ფრაქცია "ძლიერი საქართველოდან", 2 კვოტა კი ფრაქციის გარეთ მყოფ დეპუტატებს ერგოთ. ჯერჯერობით ცნობილი მხოლოდ უფრაქციო დეპუტატების კანდიდატურებია. კერძოდ, კომისიაში დეპუტატები ჯონი ბალაუთია და კონსტანტინე გამსახურდია შევლენ, რომლის უფლებამოსილებასაც პარლამენტი დღეს ცნობს. კომისიის თავმჯდომარეც, სავარაუდოდ, კონსტანტინე გამსახურდია იქნება.

# არაკოლიტიკური დამახულობა არჩევნების წინ

დათო ბაიუსონია

ოკუპირებულ აფხაზეთში საპრეზიდენტო კანდიდატების რეგისტრაცია დასრულდა. გუშინ ცნობილი გახდა, რომ ე.წ. პრეზიდენტ სერგეი ბაგაფის კონკურენტის გაუქმების ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიბა, "ეკონომიკური განვითარების კავშირის" ლიდერი ბესლან ბუთბა, მათ გარდა, დამოუკიდებელი კანდიდატები ვიტალი ზვანბა და ზაურ არძინბა. წინა არჩევნებისგან განსხვავებით, ამ ეტაპზე უცნობია, რუსეთის ფედერაცია გამოკვეთილად რომელ კანდიდატს უჭერს მხარს. ექსპერტების აზრით, მოსკოვი მოვლენების განვითარებას დაელოდება.

12 დეკემბერს აფხაზეთის ე.წ. ხელისუფლების მიერ დანიშნული არჩევნების აღიარებას ევროკავშირი არ აპირებს. სამხრეთ კავკასიაში ევროკავშირის სპეციალურმა წარმომადგენელმა პიტერ სემნებომ "ვრემია ნოვოსილისთვის" მიცემულ ინტერვიოში განაცხადა, რომ "აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები არ ტარდება იმ კონსტიტუციური ნორმების ფარგლებში, რომლებსაც ევროგაერთიანება აღიარებს." მიუხედავად ამისა, ოკუპირებულ აფხაზეთში განვითარებულ მოვლენებს ევროკავშირისთვის გარკვეული მნიშვნელობა აქვს. როგორც სემნებომ განაცხადა,

**"არჩევნები პოლიტიკური პროცესია, თუმცა დაინტერესებულნი ვართ, რომ ჩვენმა თანამოსაუბრეებმა აფხაზეთში რეალურად აფხაზების ინტერესები გაატარონ და არა მხოლოდ პირადი. ნებისმიერ შემთხვევაში, პარტნიორობა ჩვენს ინტერესებში შედის."** ევროკავშირის აფხაზეთთან მიმართებაში მკაფიო პოლიტიკა აქვს ჩამოყალიბებული. სემნების განმარტებით, ის ორი ნაწილისგან შედგება. საქმე ისაა, რომ ევროკავშირი აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ამოღარების პოლიტიკის გატარების პრობლემაა. თუმცა, ამავდროულად, მხარს უჭერს სოხუმთან და ცხინვალთან ურთიერთობების

დამყარებას. **"დღესთვის ყველაზე მნიშვნელოვანია დაპირისპირებულ მხარეებს შორის სხვადასხვა დონეზე კონტაქტების დამყარება. ამან შეიძლება, უფრო ნაყოფიერ დისკუსიამდე მიგვიყვანოს, მათ შორის - იურიდიული საკითხების დაყენების კუთხით. მაგრამ, როგორც ჩანს, აქამდე ჯერ კიდევ შორია. ახლა მთავარი სწორედ ჰუმანიტარული, ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარებაა და ურთიერთობა სწორედ აქედან უნდა დაიწყოთ,"** - აღნიშნა სემნებომ.

"24 საათი" დაუკავშირდა ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელ კახა გოგოლაშვილს. მისი აზრით, მნიშვნელოვანია, ერთი მხრივ, დიპლომატის პროცესის წარმართვა, ამავე დროს კი, იურიდიულ საკითხებზე აქცენტის გაკეთება, რადგან ასეთ რამეს რუსეთი აშკარად ვერ უპირისპირდება. გოგოლაშვილის თქმით, **"იურიდიული საკითხების დაბლოკვას რუსები სწორედ აფხაზებს და ისებს აბრალებენ. ამ თვალსაზრისით, თუ სენებში გულისხმობდა იმას, რომ აფხაზებთან დიალოგზე წასვლა მოხსნის ბარიერს, შესაძლოა აქ ჭეშმარიტებაც იყოს."** თუ შესაძლებელი იქნება, დიპლომატის გამართვა გამართლებულია, რათა საერთაშორისო თანამეგობრობისთვის ნათელი გახდეს, რომ რუსეთის ქმედება თავის მართლებაა. სინამდვილეში კი, გოგოლაშვილი დარწმუნებულია, რომ აფხაზები დამოუკიდებლად არ მოქმედებენ, როდესაც იურიდიული საკითხების განხილვის წინააღმდეგობას უწევენ. მისი აზრით, **"უბრალოდ, საქონლა მეტი ძალისხმევა, მეტი ტრანსფარენტულობა და მათი პოზიციების გამოვლენა, რათა საერთაშორისო თანამეგობრობის ზენონა გაიზარდოს. ვფიქრობ, შესაძლოა, აფხაზების მიმართ ზენონამ მოიმატოს, მაგრამ ეს იქნება ირიბი ზემოქმედება რუსეთზე."** რაც შეეხება საკუთრივ იურიდიულ საკითხებს, კახა გოგოლაშვილის თქმით, იურიდიული საკითხები, რა თქმა უნდა, საკმაოდ ბევრია და ამაზე მუშაობა პოლიტიკური თემების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს. მისი აზრით, როცა აფხაზურ მხარესთან რაღაც კონსტ-

რუქციული დიალოგის შესაძლებლობა განჩნდება, ამაზე უარის თქმა არ ღირს. საკითხების იურიდიულ ჭრილში გადაყვანა ნიშნავს მოლაპარაკებების გამართვას მოქალაქეების სპეციალურ სამსახურში დასაბრუნებლად, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ქართულ სკოლებში ქართული ენის სწავლების, გადაადგილების გაადვილების, თუნდაც პასპორტების იძულებით გაცემის საკითხების მოსაგვარებლად. გოგოლაშვილის თქმით, **"ეს ყოველივე ჰუმანიტარული, მეორე მხრივ, იურიდიული დატვირთვის მქონე საკითხებია, მაგრამ მათ პოლიტიკური განზომილებაც გააჩნიათ. როგორც ჩანს, აფხაზები ამის პოლიტიკურას ახდენენ. ექვი მეპარება, რომ აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობა რაიმე რესურსს ფლობდეს იმისთვის, რომ თბილისთან ინდივიდუალურად ანარმოოს დიალოგი, ყოველ შემთხვევაში - ამ ეტაპზე. ჯერჯერობით ისინი რუსეთთან შეხმატკბილებლად თამაშობენ."** ექსპერტი მიიჩნევს, რომ თუკი საერთაშორისო ორგანიზაციები და განსაკუთრებით ევროკავშირი მეტ აქტიურობას გამოიჩინებენ, შესაძლებელია, გარკვეული ნება განჩნდეს, რათა მხარეებმა ზემოთ აღნიშნულ თემებზე მოლაპარაკებები გამართონ. დღესთვის კი აფხაზეთში სიტუაცია კვლავ დამახულობა.

გუშინ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ პაატა დავითაიამ განაცხადა, რომ აფხაზეთში ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ვითარება სულ უფრო იძაბება და დე ფაქტო ხელისუფლება საქართველოს მოსახლეობის გამოყენებას ცდილობს. მისი თქმით, ოკუპირებულ აფხაზეთში სწორედ ამიტომ კეტავენ გზებს. დავითაიამ პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძეს სთხოვა, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს გალის რაიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების დაცვის უზრუნველყოფა დაავალოს. ბაქრაძის თქმით კი, **"ხელისუფლებამ მაქსიმალურად ფრთხილად უნდა იმოქმედოს, რადგან ზედმეტმა ნაბიჯებმა შესაძლოა, დამატებითი პრობლემები შექმნას. თუმცა ხელისუფლებამ, რა თქმა უნ-**

**და, საკუთარი მოქალაქეების დაცვაც უნდა უზრუნველყოს."** "24 საათთან" საუბარში ექსპერტმა კავკასიის საკითხებში მამუკა არემიძემ აღნიშნა, რომ აფხაზეთში სიტუაციის გამწვავება არც ერთი საპრეზიდენტო კანდიდატის ინტერესებში არ შედის. **"არა მგონია, რომ საზღვრის დაკეტვა ან არდაკეტვა დაკავშირებული იყოს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილე რომელიმე კანდიდატთან,"** - აღნიშნა არემიძემ. მაგრამ, არჩევნებისგან ქართველი მოსახლეობის იზოლირება, რასაკვირველია, ბაგაფის მონაწილედგეგმებს აძლევს ხელს, რადგან გალის მოსახლეობა ბაგაფის მომხრე ერთ-ერთი ნაამყვანი ელექტორატი იყო და ახლაც არის, მიუხედავად იმისა, რომ გალში მცხოვრები პირების, დაახლოებით, 60 პროცენტზე მეტი არჩევნებში ვერ მონაწილეობს. არემიძის აზრით, მოსახლეობის მცირე ნაწილი, რომელსაც პასპორტი და შესაბამისად, ხმის მიცემის უფლება აქვს, სავარაუდოდ, მაინც ბაგაფის მხარდამჭერია. მაგრამ, ამის გამო არ შეიძლება იმის თქმა, რომ რუსეთი მიზანმიმართულად ბაგაფის კონკურენტების სასარგებლოდ ართულებს სიტუაციას. მამუკა არემიძის თქმით, **"ამა თუ იმ კანდიდატის მიმართ რუსეთის გამოკვეთილი მხარდაჭერა ჯერჯერობით არ ჩანს. რუსები ბოლომდე არ არიან ჩამოყალიბებული, თუმცა, იცინა რა გამოკითხვის შედეგები, მაინც, რომ ბაგაფში ყველაზე რეალური კანდიდატია. აქედან გამომდინარე, თავიანთი განწყობის გამომჟღავნებისგან თავს იკავებენ."** ექსპერტი მიიჩნევს, რომ მოსკოვის დამოკიდებულება, დაახლოებით, 20 ნოემბრისთვის გამოიხატება. 12 დეკემბრის არჩევნების შემდეგ კი, არემიძის აზრით, არ არის ამოცნობილი, რომ პრემიერ-მინისტრად რუსეთის კადრი - კოლესნიკოვი დაინიშნოს. მისი თქმით, ამაზე ის ფაქტი მეტყველებს, რომ ალექსანდრე ანკეაბი, რომელიც ამ ხნის განმავლობაში, კრიტიკის მიუხედავად, შეუვალად პრემიერი იყო, ბაგაფთან ერთად, ვიცე-პრეზიდენტად იყრის კენჭს. ასე რომ, პრემიერ-მინისტრის თანამდებობა თავისუფლდება. რაც შეეხება საკუთრივ კოლესნიკოვს, არემიძის

თქმით, **"ის გუდაუთამა დაბადებული და გაზრდილი, ამავე დროს, ძალიან მჭიდრო კავშირები აქვს კრემლის შესაბამის კაბინეტებთან. კოლესნიკოვი არც ერთი კანდიდატის გუნდის წევრად არ მოიაზრება. თუმცა, მიუხედავად იმისა, თუ ვინ გაიმარჯვებს, კოლესნიკოვის დანიშვნა პუტინის პირადი პრეოგატივა იქნება."** მამუკა არემიძემ ე.წ. საპრეზიდენტო კამპანიაში მონაწილე კანდიდატების შესაძლებლობებზეც გაამახვილა ყურადღება. მისი თქმით, **"ამცხარამ და სხვა დაჯგუფებები მხარს უჭერენ ხაჯიბას. მათი გავლენის მიუხედავად, ამ ორგანიზაციების დღევანდელი მდგომარეობა არ არის ისეთი, რომ არჩევნების შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ."** დღეს აფხაზეთში ელექტორატი დალაგებული არ არის. მამუკა არემიძემ აღნიშნა, რომ აფხაზეთში დღეს ახალი თაობა მოვიდა, რომელსაც თავისი პოზიციები და მდგომარეობა აქვს. მათი გარკვეული ნაწილი ბესლან ბუთბას უჭერს მხარს. ექსპერტმა ამის მიზეზები განმარტა. **"ბუთბა ძალიან ენერგიულია, ასევე მედიის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით ოპოზიციონერი, მისი მომხრეა - კერძოდ, გაზეთები: "ჩეგვესკაია პრავდა," "ვწყუნაია გაზეთა," აგრეთვე ტელეკომპანია "აბაზა," რომელიც მისი საკუთრებაა. ამ ტელეარხის გამო დაპირისპირებას ჰქონდა ადგილი, მას ლიცენზიას არ აძლევდნენ. ამ კუთხით, შეიძლება ითქვას, იქაც იგივე მდგომარეობაა, როგორც დასაბრუნებულ საქართველოში. დღეს კი "აბაზა" ეთერში გადის. ბესლან ბუთბა ახალგაზრდა კაცია და ახალგაზრდობისთვის უფრო მისაღებია, თან ძალიან ენერგიული პირია. მას პიარის ნიჭიც აღმოაჩნდა. უბრალოდ, ბუთბა არ არის ინტელექტუალური და ამას ამომრჩეველი ხვდება. ასევე, გაუგებარია, როგორი განწყობები აქვს მას, რადგან ბუთბა კლასიკური კონსერვატიურაზე მოთამაშე პოლიტიკოსია. მას ინტელექტი კონკრეტულად გაუწევია."** დღევანდელი თქმით, არემიძის თქმით, ამომრჩეველის 70 პროცენტი მოქმედი ე.წ. პრეზიდენტის მხარდამჭერია.



# ახალი რეალობა და რუსული რულეტკა

პირველი გვერდიდან

რა თქმა უნდა, რუსეთში გარკვეული ფინანსური "მარაგი" ჯერ კიდევ არსებობს, მაგრამ თავად რუსეთში სულ უფრო თამამად ისმის ხმები რუსეთის ეკონომიკის დეცენტრალიზაციის აუცილებლობაზე, რაც აუცილებლად გამოიწვევს რეგიონების პოლიტიკურ დეცენტრალიზაციასაც. აქედან გამომდინარე, ძალიან მალე დადგება პრემიერის პასუხისმგებლობის საკითხი. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ტანდემის შენარჩუნება ხდება პოლიტიკური თვითმიზანი. ქვეყნისთვის კი ეს "ადგილზე გაჩერებაა", რაც წყნარი "სიკვდილის" ტოლფასია.

მედევედის გამარჯვების შემთხვევაში რუსეთი "იძულებული" იქნება, განახორციელოს ზემოთ აღნიშნული დეცენტრალიზაცია, ისევე როგორც ეს მოხდა 90-იან წლებში, ოღონდ ამჯერად რუსეთის ყველა შიდა სუბიექტი მოიპოვებს პოლიტიკურ თავისუფლებას. ეს იმპერიის დაქუცმაცების ყველაზე გრძელვადიანი, ყველაზე რთული, მაგრამ ყველაზე მშვიდობიანი და, აქედან გამომდინარე, ყველაზე სასურველი გზაა.

პუტინის გამარჯვებაც იმპერიის დანგრევამდე მიიყვანს, ოღონდ ამ შემთხვევაში "სიკვდილი" უფრო სწრაფი, მაგრამ შესაძლოა ძალიან "ხმაბლალი" გამოდგეს. პუტინი უფრო თამამად გააღვივებს რუსულ ნაციონალისტურ იდეას "რუსეთი მხოლოდ რუსებისთვის", რასაც სისხლისღვრა მოჰყვება, მაგრამ კატალიზატორივით დააჩქარებს ნგრევის პროცესებს. ამიტომაც ცივილიზებული სამყარო ვეღარ დაუშვებს აგრესიის ეს კალაქციას. არავის აინტერესებს, როგორი გზით წავა რუსეთი. მთავარია მისი საქმიანობა არ იყოს აგრესიული და ამ ქვეყანას შეეძლოს საერთაშორისო ნებსებით ცხოვრება. წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, "საკუთარ თავს დააბრუნოს".

სწორედ აღნიშნა ქალბატონმა ლატინინამ: "საბჭოთა კავშირი არავის ეშუქებოდა, მაგრამ მისი ყველას ეშინოდა. რუსეთი რაც უფრო მეტად ამინებს მსოფლიოს, მით უფრო აღარავის ეშინია." ასეთი პოლიტიკა მეტყველებს რუსეთის სრულ უსუსურობაზე. საბჭოთა კავშირის დანგრევა წარმოუდგენლად მიაჩნდა ყველას, ვინც ებრძოდა და ვინც იცავდა. მაგრამ ეს გიგანტი სულ რაღაც ოთხ თვეში გაქრა პოლიტიკური რუკიდან. საბჭოთა კავშირის დანგრევის ძირითადი მიზეზი, მითუმეტეს და ვიმეორებ, ამ ქვეყნის იდეის უსუსურობა და არამართებულობა. კომუნისტები კი გვასწავლიდნენ, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ძლიერია, იმიტომ, რომ მართალია, მაგრამ ღმერთმა და ისტორიამ ვხედავთ, როგორც განსაჯა. მარქსიზმ-ლენინიზმის ფილოსოფიური საფუძველი - მატერიალისტური ფილოსოფია - აღმოჩნდა სრული ტყუილი. ფილოსოფია მოკვდა, მაგრამ ადამიანები, ვინც ამ ფილოსოფიით არიან გაზრდილები, ისინი ხომ ცოცხლები არიან. ე.ი. ეს "საქმე" ჯერ კიდევ "ცოცხლობს". ამიტომაც ჯერ კიდევ არსებობს რუსეთის იმპერია.

"თქვენ რა? იდეალისტი ბრძანდებით? არა, მე რეალისტი ვარ." თითქმის თავის მართლებით წარმოთქვა ერთ-ერთი პოლიტიკური გადაცემის სტუმარი. რას ნიშნავს იყო რეალისტი? ადამიანი რეალურად აღიქვამს სამყაროს, ხედავს ხეს, წვიმას, საგნებს, მოვლენებს და, აქედან გამომდინარე, სათანადო მსოფლმხედველობა უყალიბდება. მომიტყევთ, მაგრამ ეს რეალობა წელიწადში მინიმუმ ოთხჯერ მაინც იცვლება! უფრო მეტიც, რეალობა არასდროს მეროდება. არც ერთი დღე არ ჰგავს მეორეს. ბუნებაში ორი ერთნაირი ფოტოლიც კი არ არსებობს, მაშინ რა გამოვიდა? "რეალისტი" იძულებულია, მუდმივად მიჰყევს ცვალებად რეალობას. საუბარი აღარაა პოლიტიკურ რეალობაზე, რომელიც ყოველ წუთს იცვლება. პოლიტიკაში სუფევს პრაგმატიზმი და არა რეალისტობა. პოლიტიკაში იგულისხმება სწორედ იდეების შერევა და მათი განხორციელების პრაგმატული გზები, აქედან გამომდინარე, რე-

ალობის ასახვა მხოლოდ ერთ-ერთი პარამეტრია. დღეს საქართველოს ოპოზიციურ სექტორში გავრცელებული პოლიტიკური "რეალისტობა" კი, ჩემი აზრით, "იდეოლოგიური პროსტიტუციაა". გუშინდელი მატერიალისტური ფილოსოფია დღეს შენობულად საღდება "პოლიტიკურ რეალისტობად". რეალობის ასახვა და რეალისტობა ერთმანეთთან არავითარ კავშირში არაა. რეალობის ადეკვატურად ასახვა შესაძლებელია სწორედ იდეალიზმის მეშვეობით. თუ ზუსტად დინახავ საგნების ან მოვლენების იდეას, მაშინ რეალობაც თვალნათელი ხდება. სხვა დანარჩენ შემთხვევაში ეს სიბნელები ხეტილია. ერთი შეხედვით, დასავლეთიც ეყრდნობა "მატერიალისტურ" ფასეულობებს, მაგრამ ეს პრაგმატიზმის გამოვლინებაა, რომლის საფუძველად სწორედ იდეაა ჩადებული. დასავლეთმა, განსაკუთრებით შეერთებულმა შტატებმა, ხელისუფლების დონეზე აიყვანა იდეის კონცეპტუალიზაცია და მისი შემდგომი რეალიზაცია, ანუ მატერიალიზება. დღეს მსოფლიოში იდეა ყველაზე ძვირადღირებული პროდუქტია. იდეების განხორციელებას კი პრაგმატულობა სჭირდება. და არა პირიქით, როგორც ეს ხდებოდა, მაგალითად, საბჭოთა კავშირში. იქ მოვლენაზე რეაგირებას აკეთებდნენ იმის მერე, როდესაც ეს მოვლენა მოხდებოდა. ყოველთვის ებრძოდნენ შედეგს და არა მიზეზს. შედეგი მატერიალიზებული იყო. ამიტომაც "გაეპარათ" ამხელა ქვეყანა.

იმ წლის 12 აგვისტოს შემდეგ მსოფლიოში წარმოიქმნა ახალი რეალობა, მაგრამ არა ის რეალობა, რასაც რუსეთი გაიძახის. რუსეთი, უბრალოდ, შეეცადა ძველი რეალობა, ადრე არსებული მისი წესრიგი ახლებურად დაეკანონებინა, ბოლოსდაბოლოს აფხაზეთიც და ცხინვალის ხომ საბჭოთა კავშირი იყო. ახალი რეალობა კი გამოიხატება იმაში, რომ კაცობრიობის წინაშე დადგა საკითხი, როგორი უნდა იყოს ცივილიზაცია. მის მიერ ჩამოყალიბებული წესები და ნორმები ექვემდებარება დაყენებული. არადა ეს ის წესებია, რომელმაც წარმოიტანა მოუტანა ცივილიზაციას. საკუთარი იდეალების ღალატში, სრულიად პრაგმატული მოსაზრებებიდან გამომდინარე, ცივილიზებულ სამყაროს არ ჩვევია. სათანადოდ დასკვნა - ამ წესების დარღვევა დაუშვებელია. ე.ი. საქართველოს მთლიანობის საკითხი მხო-

ლოდ ცოტაოდენი დროის ფაქტორია. "მკედარი" იდეის მატარებელ ქვეყანას კი მომავალი აღარ გააჩნია.

ყოველივე აქედან გამომდინარე, ნებისმიერი მცდელობა საქართველოს ცივილიზებული სამყაროსგან ჩამოშორებისა, იქნება ეს ნატო-ზე უარის თქმა თუ რაღაც ეფემერული ნეიტრალიტეტის იდეა, მიმართა, არც მეტი არც ნაკლები, საქართველოს ინტერესებისადმი მავნებლობად და ღალატად. მით უმეტეს, დღევანდელი ხელისუფლების დადანიშნულება ომის გაჩაღებაში. ტალიავინის დასკვნა, ჩემი აზრით, ევროპული "პოლიტიკორექტულობის მონუმენტია". ის უფრო ფაქტების ნუსხაა, ვიდრე დასკვნა. ამ ფაქტების შეფასება ჯერ კიდევ დაიდება "ისტორიის სასამართლოზე". უამრავი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ იმისა, რომ ერი, რომელიც იცავს საკუთარ თავისუფლებას, ყოველთვის მართალია და ასეთი მაგალითებით სავსეა თავად ევროპის ქვეყნების ისტორია. ჩვენთვის საკმარისი იქნება ერთი მაგალითი, ჩვენი საქართველოს ისტორიიდან: გიორგი VII. რა გააკეთა ამ ადამიანმა, რას მიაღწია და რა გამოუვიდა. გიორგი 20 წელიწადი ებრძოდა თემურლენგს. საქართველომ გადაიტანა მისი რვა შემოსევა, ქვეყნის ეკონომიკა გაზარდა. მაგრამ, შედეგად დაზარდნენ, სადაც ამ ველურმა და საშინელმა დამპყრობელმა, რომელსაც დაემორჩილა თითქმის მთელი მსოფლიო, აღიარა საქართველო ქრისტიანულ სახელმწიფოდ. ერთი მან, ფაქტობრივად, აღიარა ქრისტიანული სამყაროს არსებობის უფლება. ჰქონდა თუ არა გიორგის დიპლომატიის შანსი? ბევრი ისტორიკოსი მიიჩნევს, რომ ჰქონდა და, აი, რატომ. თემურმა შესთავაზა გიორგის, დარიალით გამატარე, ოქროს ურდოსთან მივდივარო საომრად. შენ ხელს არ გახლებო. გიორგიმ უარით გაისტუმრა. თემური უკვე დარუბანდით გადავიდა რუსეთში, დაამარცხა მონღოლები, გაამაჰმადიანა ყველა, სადაც კი შევიდა და არაერთხელ შემოიჭრა საქართველოში. ჩემთვის, ამ ისტორიული ფაქტის შესაფასებლად, სრულიად საკმარისია ზავის დადების და საქართველოს ქრისტიანობის აღიარების ფაქტი. ე.ი. ეს უმნიშვნელოვანესი თემა იყო. სარწმუნოება მაშინ უდრიდა სახელმწიფოს. გიორგიმ დაიცვა სარწმუნოება, შესაბამისად - სახელმწიფო. მას არავითარი გარანტია არ ჰქონდა, რომ თემურ-ლენგი თავის

სიტყვას შეასრულებდა, დაუშლიდა ვინმე თუ რა? ჩემი შეფასებით გიორგი ნამდვილი პრაგმატული იდეალისტი და, რა თქმა უნდა - გმირი. გიორგი საქართველოს შენარჩუნების და თავისუფლების იდეას ემსახურებოდა და გამოუვიდა კიდევ. კომუნისტურ ისტორიაში ამ პიროვნებას სათანადო ადგილი ვერ მიენიჭებოდა, იმიტომ რომ, მისი მაგალითით ჩვენ უფრო ადრე დავაღწევდით თავს რუსეთის იმპერიას. დღევანდელი რუსეთი დიდად არ განსხვავდება თემურ-ლენგისგან. ისიც გვეუბნება: ჩემი იყავით და არ დაგბომბავით. უნდა შევშინდეთ? "რეალისტურად" თუ შევხედვით, ნამდვილად უნდა შეგვეშინდეს: "თუ დაგვეგრევა ქვეყანა, ჩვენ თუ გავგეყვითეს, მაშინ რად გვინდა?" მაგრამ არის უზენაესი იდეა: საქართველომ უნდა დაიბრუნოს თავისი არსებობის უმთავრესი ფუნქცია და დანიშნულება, საქართველო აკავშირებს ევროპასა და აზიას, როგორც ფიზიკურად (საქართველოზე გადის უმოკლესი გზა ამ ორ სამყაროს შორის), ასევე ეკონომიკურად, კულტურულად და სულიერად. ამ ფუნქციის დაბრუნება არის უზენაესი ამოცანა და სტრატეგია. სათანადოდ ამ იდეის რეალიზაცია ფიზიკურად გამოვლინდება ქვეყნის მთლიანობის აღდგენაში, ეკონომიკურ განვითარებაში, კეთილდღეობის ამაღლებაში და, რაც მთავარია, დემოკრატიის უმაღლეს ხარისხშიც. ამის გულისთვის ღირს სიცოცხლეც და სიკვდილიც; აბა, რა აზრი აქვს სიცოცხლეს, თუ მისთვის სიკვდილი დაგენანება? დანგრეულიც აშენდება და ახალი მოსაველიც მოვა, მითუმეტეს, როდესაც პირველად ისტორიაში საქართველოს მოკავშირეა ქვეყნის მშვიდობის მოპოვებელი მთელი ცივილიზებული სამყარო და სიკვდილს აღარავინ ითხოვს. თავისუფლებისთვის მებრძოლი ერი პატივისცემას იწვევს. უბედურება და პრობლემა კი ის არის, რომ ამ ფუნქციას მეორე კანდიდატიც ჰყავს. რუსეთი დღეს ყველაზე ახალი ცივილიზაცია, საქართველო მოლაპარაკების მაგიდასთან დასვას, ოღონდ იმიტომ კი არა, რომ მოვილაპარაკოთ, არამედ იმიტომ, რომ "რუსული რულეტკა" გვათამაშოს, თანაც რუსული წესებით. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ხელში დავგაჭყრინებენ სავსემჭიდიან ნაგანს, ჩვენ თვითონვე გარანტირებულად რომ ვინალოთ ტყვეს შუბლში. საქართველოს სახელ-

მწიფოს უზენაესი ფუნქციის დაბრუნება ნიშნავს რუსეთისთვის მონოპოლიის წარმოქმნას ევრაზიაში. ამიტომაც დღეს რუსეთი მდის ვა-ბანკზე. მობილიზებულია ყველა ძალა. ჩართულია ყველა ახალი თუ ძველი "ვაი პატრიოტი" ქართველი, რათა პროვოკაციების მოგვარების საკითხები მათ სახელებს დაუკავშირდეს: რომ ხალხის თვალში როგორმე დღევანდელი ხელისუფლების დისკრედიტაცია მოხდეს. უკვე გამოჩნდა ამის ნიშნები. რუსეთი იწვევს "პოსლედნიი ი რეპიტელნი ბოი"-ს (უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლას). დრო აღარ ითმენს. კრემლისთვის წამოზომი ჩართულია. ერთი პატარა საქართველო და მეორე - დანარჩენი მსოფლიო, რომელსაც უკვე აღარც კი ეშინია. თუ გავისხენებ ჩვეულ რუსულ ტაქტიკას, ბრძოლა ერთდროულად უნდა დაიწყოს ყველა მიმართულებით, საქართველოს შიგნიდანაც და გარედანაც. ასე რომ, მოეზადა, საქართველო!!! ძალიან ბევრი შემოგთავაზებს "რუსული რულეტკის" თამაშს. სიფრთხილეს თავი არ ტკივა, უცოდინარობა კი უთავობას უდრის. უნდა გავცლოთ. ჩვენი თაობა ქვეყნის მართლად ბედნიერი თაობაა, ჩვენ ნილად გვერგო სამშობლოს გათავისუფლება. ისევე როგორც ჩვენმა წინაპრებმა საკუთარი სისხლით გაუღინტეს მშობლიური მიწა, ჩვენც ვალდებული ვართ, ჩვენი შვილების წინაშე. ოღონდ, მაღლობა ღმერთს, დღეს ხმლის ქვევა იმდენად აღარ გვჭირდება (თუმცა, აქაც არ შეიძლება უკანდახევა), რამდენადაც გონიერება. ქართველი პოლიტიკური ფიგურები ჩემთვის მიუღებელი არიან, თუ ისინი არ ემსახურებიან საქართველოს დამოუკიდებლობას, თავისუფლებასა და მისი არსებობის უზენაეს იდეას: საქართველო არის ცივილიზაციების გზაგასაყარი. რა თქმა უნდა, ეს უფრო ვრცელი და სერიოზული თემაა და ცალკე განხილვას იმსახურებს, მაგრამ დღეს, ჯერ გვაქვს ასეთი რეალობა, ჯერ ვიბრძვით თავისუფლებისთვის.

მინდა ერთი პატარა ისტორიული პარალელი გავავლო. მიხეილ გორბაჩოვი ცდილობდა, საბჭოთა კავშირში დაემკვიდრებინა "ახალი აზროვნება", შედეგი ცნობილია. "ახალი რეალობის" დამკვიდრების მცდელობა რუსეთისთვის იგივე შედეგით დამთავრდება, ყოველი "ახალი", ძველი რეალობისთვის დამლუპველია.

ღმერთთა ჩვენი მფარველი!

**ხეცით ნაქსოვი წრადიციური ქართული ხეცები და ფარდავი ხეცით დამზადებული სუკნირები წრადიციური ორნამენტებით**

ქართული ხალხური კულტურის აღორძინებისა და განვითარების საერთაშორისო ცენტრი მთიები აწარმოებს მსოფლიოში უანალოგო პროდუქციას - ხეცით ნაქსოვ ტრადიციულ ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს. ისინი მცენარეული და მინერალური საღებავებით ნაფერი საუკეთესო ჯიშის ცხვრის მატყლისაგან დამზადებული შალის ძაფით იქსოვება.

ეროვნულ კომპოზიციებთან და კოლორიტულ სტილთან ზომიერად შერწყმული თანამედროვე დიზაინი ქართულ ხალიჩასა და ფარდაგს მეტ ორიგინალობას სძენს და ამშვენებს.

აირჩიეთ დიზაინი, ორნამენტები, სიუჟეტი, კომპოზიციის, ზომა და მიღეთ შეუფასებელი პროდუქცია: **ხეცები, ფარდავი და უაძრავი ხეცით ნაქსოვი სუკნირი**

**თქვენ ხეცით ქართული ხეცხური ჯუჯურის აღორძინების თანამონაწილე**

დუშეთი, ბესიკის ქ. №6. ტელ.: (995 32) 66 21 02, 855 25 52 71





# საბ-ის პროგნოზით ეკონომიკური კრიზისი დასრულდა

## საბანკო სექტორმა ცამეტი თვის შემდეგ მოგება აჩვენა

### ნიმუ ნატრონობილი

საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე, ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ტენდენციებიდან გამომდინარე, კრიზისის დასრულებას პროგნოზირებს. ქადაგიძემ მაკროეკონომიკური მაჩვენებლები და ტენდენციები საბანკო სექტორის წარმომადგენლებს გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე წარუდგინა. მისი თქმით, მხოლოდ სამი მაჩვენებელიც ცხადყოფს, რომ კრიზისი დასრულებულია. "სექტემბერი კომერციული ბანკების მხრიდან მოგებით დასრულდა. ეს არის პირველი თვე ბოლო 13 თვის განმავლობაში, როდესაც ბანკებმა მოგება აჩვენეს; ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია სავალუტო რეზერვებმა და საბანკო სექტორში უპრეცედენტოდ მაღალი ლიკვიდობაა. მხოლოდ ეს სამი მაჩვენებელიც ადასტურებს, რომ ზედმეტია ეჭვები იმის შესახებ, დასრულდა თუ არა კრიზისი," - აღნიშნა ქადაგიძემ.



როგორც გიორგი ქადაგიძემ პრეზენტაციაზე განაცხადა, ბოლო პერიოდში მნიშვნელოვნად დასტაბილურდა სავალუტო ბაზარი და ეროვნული ბანკის ინტერვენციები მაქსიმალურად შემცირებულია. ეროვნული ბანკი მიმდინარე წლის მაისიდან ინტერვენციებს სავალუტო ბაზარზე მხოლოდ სავალუტო აუქციონების მეშვეობით ახორციელებს. ამასთან, მისივე თქმით, რეკორდულ მაჩვენებლამდე გაიზარდა საბანკო სექტორში დეპოზიტები, სავალუტო რეზერვები, ფულადი გზავნილები, ავტომანქანებისა და უძრავი ქონების გაყიდვები; ბოლო ოთხი თვის განმავლობაში კი მცირდება უმოქმედო სესხების წილი სესხების მთლიან ოდენობაში, ასევე - ვაჭრობის კლების ტემ-

პებიც. იზრდება ფასი საქართველოს სუვერენულ ვერობლივაციებზე. ეროვნული ბანკის პრეზიდენტის განცხადებით, წლის ბოლოსთვის მოსალოდნელია წლიური 3-პროცენტიანი ინფლაცია. რაც შეეხება ბიუჯეტს, როგორც პრეზენტაციაზე აღინიშნა, 2010 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, ხარჯები 820 მლნ ლარით შემცირდება. საგადასახადო შემოსავლები შემცირდება 25 მლნ ლარით, არასაგადასახადო შემოსავლები - 247 მლნ ლარით, გრანტები კი - 179 მლნ ლარით. როგორც ქადაგიძემ აღნიშნა, ქვეყნის მთავარი გამოწვევა ახლა ზრდის იმ ტემპების სწრაფად დაბრუნებაა, რომელიც საქართველოში 2007 წელს და 2008 წლის პირველი ნახევარში იყო. ქადაგიძის პროგნოზს ეწინა-

აღმდეგება საქართველოში სავალუტო ფონდის წარმომადგენლის - გარდნერის პროგნოზი. საქართველოს ეკონომიკა 2010 წლის ივნისამდე რეცესიაში დარჩება - ამის შესახებ ინფორმაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდმა გასულ კვირას გამოაქვეყნა. ფონდის გათვლებით, 2010 წელს საქართველოს ეკონომიკა 2-3 პროცენტით დაეცემა. ყველაფერი ექსპორტ-იმპორტისა და საბანკო დეპოზიტების ზრდაზე, აგრეთვე პოლიტიკურ სტაბილურობაზე და ქვეყანაში კაპიტალის შემოდინებაზე იქნება დამოკიდებული. ფონდის ანალიზის თანახმად, პროგრესის მიუხედავად, რყევები 2010 წელსაც გაგრძელდება, რადგან წარმოების მოცულობა ისევ მცირდება, ხოლო უმუშევრობა მატუ-

### საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტომ უცხოური დაფინანსების მოზიდვის საკითხებზე შეხვედრა გამართა

საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტომ ქვეყანაში უცხოური დაფინანსების მოზიდვისა და პოლიტიკური რისკების დაზღვევის საკითხებზე დღეს ქართული საბანკო და კერძო სექტორისთვის შეხვედრა გამართა. შეხვედრას, რომლის მიზანს ქართული ბიზნესის წახალისება და უცხოური ინვესტიციების მოზიდვა წარმოადგენდა, კერძო საერთაშორისო საინვესტიციო კორპორაციის - OPIIC-ის ბიზნესის განვითარების ქსელის ექსპერტები, საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის დირექტორი ზურა სიმონია და ფინანსთა მინისტრის მოადგილე დიმიტრი გვინდაძე ესწრებოდნენ. "ერთი წლის წინ ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატები 1 მლრდ დოლარით დახმარებას დაგვიპირდა. აქედან დაახლოებით 175 მლნ დოლარის დახმარება OPIIC-ზე მოდიოდა, რომელიც აშშ-ის მთავრობის უცხოური ინვესტიციების წახალისების სააგენტოს წარმოადგენს და რომელთანაც თანამშრომლობა საკმაოდ მაღალ დონეზე მიმდინარეობს", - განაცხადა გვინდაძემ, რომლის თქმით, საქართველოს საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტო პირველი სამთავრობო სტრუქტურაა, რომელიც ორგანიზაციის წევრი გახდა. "2009 წლის მარტში ფინანსთა სამინისტროსთან შეიქმნა საინვესტიციო რისკების მართვის სააგენტო, რომელიც ერთგვარი ხილია ქართულ ბიზნესსა და OPIIC-ს შორის, ხოლო მას შემდეგ, რაც სააგენტო ბიზნესის განვითარების ქსელში გაწევრიანდა, აღნიშნული ფუნქცია კიდევ უფრო გაიზარდა", - აღნიშნა გვინდაძემ. ცნობისთვის, ბიზნესის განვითარების ქსელი კერძო საერთაშორისო საინვესტიციო კორპორაციის - OPIIC-ის ინსტიტუტია და მსოფლიოში ცნობილ მსხვილ საფინანსო ორგანიზაციებს, საკონსულტაციო ბიზნესებს, ასოციაციებს, იურიდიულ ფირმებს და საინვესტიციო სააგენტოებს მოიცავს. **პირველი**

### გარემოს დაცვის სამინისტროში პროექტის "მზის ენერჯოტექნოლოგიების გამოყენება ქართულ მეცხვარეობაში" პრეზენტაცია გაიმართა

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში პროექტის "მზის ენერჯოტექნოლოგიების გამოყენება ქართულ მეცხვარეობაში" პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი ასოციაციამ "მდგრადი ენერჯიების ცენტრი" "მზის სახლი" განახორციელა, მხარდაჭერა - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრომ. პროექტის ფარგლებში მზის ენერჯიული მობილური ენერჯოსისტემები შემუშავდა. მზის განათების გამოყენებით დოლის პერიოდში სამუშაო ბევრად გაადვილდა. მეცხვარეობის საშუალება აქვთ, სადგომის მიმდებარე ტერიტორია ღამის პერიოდში განათონ. ამასთან, ელექტროსაკრეჭი აპარატებით ცხვრის კრეჭისას დრო და სამუშაო ძალა იზოგება, შესაძლებელია მობილური ტელეფონების, გადასატანი ფანრების და რადიომიმდებარეების დატენვა და ასე შემდეგ. განხორციელებული პროექტი, უკვე არსებულ მაგალითზე დაყრდნობით, მეცხვარეებს და სხვა ფერმერულ მეურნეობებს საშუალებას აძლევს, სამუშაო გარემო გაიუმჯობესონ, შრომის ეფექტურობა გაზარდონ და პოტენციური გააძლიერონ. **პირველი**

### "ელიტ ელექტრონიკსმა" მუშაობა განაახლა

3-თვიანი პაუზის შემდეგ კომპანია "ელიტ ელექტრონიკსმა" მუშაობა განაახლა. როგორც "ინტერპრესნიუსს" კომპანიიდან აცნობეს, "ელიტ ელექტრონიკსი" მუშაობას იმავე მენეჯმენტით, თუმცა კომპანიის კაპიტალში 50-პროცენტთან წილში კომერციული ბანკების შესვლით გააგრძელეს. ამასთან, კომპანია მუშაობას დიდი ფასდაკლებით განაახლებს. "ელიტ ელექტრონიკსი" მზადდება 5-წლიანი ბიზნესგეგმა, რომელიც მონრიგებულა საბჭოს წარედგინება. საბჭო კი, კომპანიის რეაბილიტაციის რეჟიმზე გადასვლასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას მიიღებს. "ელიტ ელექტრონიკსის" მენეჯმენტი დარწმუნებულია, რომ რეაბილიტაციის რეჟიმში გადაყვანის შემთხვევაში, მიუხედავად დანაკარგებისა, კომპანიის სრულად შესწევს უნარი, ძალები აღიდგინოს და ყველა არსებული დაავალიანება გრაფიკის მიხედვით დააკმაყოფილოს. კომპანიის ხელმძღვანელების განცხადებით, პარტნიორი უცხოელი მწარმოებლები არსებულ მენეჯმენტს ნდობას უცხადებენ. ისინი მზად არიან, ბანკებთან ერთად, დამატებითი კრედიტები გამოეყონ, რათა კომპანიამ რეაბილიტაცია მოახდინოს და განვითარება გააგრძელოს. "ელიტ ელექტრონიკსი", რომელსაც 2007 წელს სახელმწიფო მიმართ 7 მლნ ლარის დავალიანება ერიცხებოდა, პრობლემები მიმდინარე წლის აგვისტოში შექმნა, როდესაც საბანკო აგნარიმებს ინკასო დაედო და თანხის ამოღების მიზნით კომპანიის მალაზიებში სავალუტო სააგენტო შევიდა. აგვისტოში "ელიტ ელექტრონიკსის" საქართველოს მასშტაბით არსებული ყველა მალაზია დაიხურა. გარკვეული დროის შემდეგ კი, მხოლოდ თბილისში არსებული ოთხი მალაზია გაიხსნა. ამ პერიოდში კომპანიის ზარალი 2 მლნ ლარს აღემატება. კომპანიას გარდა, მომოდებლები და სხვა კრედიტორებისა, 5 კმერციული ბანკის მიმართ 15 მლნ აშშ დოლარის დავალიანება ერიცხებოდა. დავალიანების დაზუსტებასთან დაკავშირებით სასამართლო პროცესებიც გაიმართა. **ინტერპრესნიუსი**

# "თემს სთილ ლიბიტადის" განარაღურმა დირექტორმა საქართველოს პრეზიდენტს დახმარება დღეს კიდეც ერთხელ სთხოვა

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მფლობელი კომპანია "თემს სთილ ლიბიტადის" გენერალურმა დირექტორმა, ტომას ბლეიქმა საქართველოს პრეზიდენტს დახმარება კიდეც ერთხელ სთხოვა. იგი აცხადებს, რომ დახმარება მისთვის აუცილებელია, ვიდრე ყველაფერი საბოლოოდ არ დაიკარგა. როგორც ცნობილია, 2 ნოემბერს რუსთავის სააღსრულებო ბიუროში სს "ენერჯია და ინდუსტრია კომპლექსის" მფლობელობაში მყოფი "ქართული ფოლადისა" და "თუჯი XXI"-ის გასხვისებასთან დაკავშირებით აუქციონი გაიმართა, თუმცა აუქციონზე ქონების შეძენის მსურველი არ გამოჩნდა. 15 დღის განმავლობაში კრედიტორს, მოთხოვნის შემთხვევაში, ეს ქონება ნატურის სახით გადაეცემა. ოფიციალური ინფორმაციით, ერთ-ერთი კრედიტორი სავალუტო ინსპექ-



ცია და კომპანიას სავალუტო სააგენტოს მიმართ, დაახლოებით, 380 ათასი ლარის დავალიანება აქვს. არსებობს კიდევ მეორე კრედიტორი, რომელსაც შესაძლებელია, ქონება გადაეცეს, თუმცა აღმასრულებელი დავით ჯაჭვაძე კრედიტორის ვინაობას არ ასახელებს. ტომას ბლეიქი მიიჩნევს, რომ რაც საქართველოში ხდება, მათი ქონების ხელყოფის მცდელობაა. მისი განცხადებით, ზარალის კომპენსაციის მოითხოვს საერთაშორისო სასამართლოში, როგორც ამას ითვალისწინებს საქართველოსა და დიდ ბრიტანეთს შორის ინვესტიციების დაცვის შესახებ გაფორმებული ხელშეკრულება. ტომას ბლეიქი გუშინ რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში შესვლას ცდილობდა, თუმცა ქარხნის დაცვის თანამშრომლებმა ის შენობაში არ შეუშვეს. **ინტერპრესნიუსი**



**თბილისში გაუჩინარებული ჩეჩენი ლტოლვილი**

ერთი კვირის წინ გავრცელებულ ინფორმაციას ჩეჩენი საიდ თუსეთი ტაზბაევის დაკარგვის თაობაზე სამართალ-დამცველებმა მსვლელობა მისცეს. საინფორმაციო საშუალებებით ერთი კვირის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ლტოლვილის სტატუსით საქართველოში 2000 წლიდან მცხოვრებმა ტაზბაევმა თავის 7 წლის ვაჟიშვილი ვაკის საცურაო აუზში მიიყვანა და მას შემდეგ იგი უკუ-უკვლოდ დაიკარგა. გუშინ, ტაზბაევის თაობაზე გავრცელებული ინფორმაციით, იგი ახმედ ზაკაევის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი იყო. მას უახლოესი ურთიერთობები აკავშირებდა ზაკაევის ძმასთანაც.

ტაზბაევის დაკარგვის თაობაზე რამდენიმე ვერსია გავრცელდა. ერთ-ერთი ვერსიით, თბილისში, დელისის ქუჩაზე მცხოვრებ ტაზბაევს საბინაო დავა ჰქონდა თანამომხებთან. მის დაკარგვას ახლოლები ბინის გამო მომხდარ პირად ანგარიშსწორებად მიიჩნევენ. მეორე ვერსიით, ტაზბაევის დაკარგვა რუსეთის სპეცსამსახურებს დაუკავშირდა. არსებული ვერსიით, იგი გაიტაცეს, რათა ზაკაევზე მოახდინონ გარკვეული სახის ზეწოლა. რა მოხდა რეალურად, ამას ალბათ, უახლოეს მომავალში ქართველი სამართალდამცველები დაადგენენ. საქმე ტაზბაევის დაკარგვასთან დაკავშირებით უკვე აღძრულია და მიმდინარეობს გამოძიება.

**უპრეცედენტო ამნისტია ნარკოტიკების მომხმარებლებისთვის**

დაახლოებით ორ კვირაში პარლამენტი დაამტკიცებს კანონპროექტს, რომლის თანახმადაც, 260-ე და 273-ე მუხლებით მსჯავრდებულ პირებს ამნისტია შეეხებათ. "ხელისუფლება უპრეცედენტო ამნისტიას აცხადებს," - ასე შეაფასეს დეპუტატებმა კანონპროექტი, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებლისთვის მსჯავრდებულებს შეეხება. პარლამენტის თავმჯდომარე დავით ბაქრაძე ნარკოტიკების მომხმარებლების მიმართ ამნისტიას მათდამი ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბების ნაწილად აფასებს.

პარლამენტის თავმჯდომარის განმარტებით, საუბარია მხოლოდ იმ ადამიანებზე, ვინც სასჯელს ნარკოტიკების მომხმარებლისთვის იხდის და არა იმ პირებზე, ვინც ყიდის ან ავრცელებს ნარკოტიკულ საშუალებებს.

სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლი ითვალისწინებს სასჯელს ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადების, ნარკოტიკის, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაცემა ან გასაღებისთვის, რაც ითვალისწინებს სასჯელს თავისუფლების აღკვეთით ვადით თერთმეტ წლამდე.

რაც შეეხება 273-ე მუხლს, ეს მუხლი ითვალისწინებს სასჯელს პირადი მომხმარებლისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადების, შექმნის, შენახვის ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის.

პარლამენტში შესული "ამნისტიის შესახებ" კანონპროექტით, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახვერდებათ სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი ნაწილით მსჯავრდებულ პირებს, რომლებსაც ბრალად ედებათ ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო შექმნა, შენახვა ან გადაზიდვა.

გარდა ამისა, "ამნისტიის შესახებ" კანონპროექტით, თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი გაუნახვერდებათ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 273-ე მუხლით - პირადი მომხმარებლისთვის ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის მცირე ოდენობით უკანონო დამზადებისთვის, შექმნის, შენახვის ან ექიმის დანიშნულების გარეშე უკანონოდ მოხმარებისთვის მსჯავრდებულ პირებს.

"იმ ადამიანებს, რომლებიც ნარკოტიკების მომხმარებით პრობლემას უქმნიან საკუთარ თავს და ოჯახებს, ნორმალური ცხოვრების დაბრუნებისთვის დახმარება სჭირდებათ. ეს შეიძლება იყოს ერთ-ერთი ნაბიჯი იმ ახალი პოლიტიკის შემუშავების გზაზე, რომელიც ნარკოტიკების მომხმარებელთა მიმართ ახლებური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას უკავშირდება," - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე. **საკუთარი ინფორმაცია**

**"ვარაზთან" მომხდარ ჩხუბში მონაწილე ამერიკელ სამხედროები, შესაძლოა, საქართველოდან გააძეკონ**

სამართალდამცველი ორგანოების ინფორმაციით, 1 ნოემბერს სასტუმრო "ვარაზთან" მომხდარ ჩხუბში მონაწილე ამერიკელი სამხედროები, შესაძლოა, ამერიკულმა მხარემ საქართველოდან გააძეკოს.

"ვარაზთან" ჩხუბი სამ ამერიკელსა და გამგელებს შორის მოხდა. "მედიაინფოსი" ინფორმაციით, ორი ამერიკელი ვაზიანის ბაზაზე დასრულებულ წვრთნებში "დაუყოვნებელი პასუხი 2009" მონაწილეობდა, ერთი კი, ამერიკული სამხედრო კონტინენტის სამოქალაქო სექტორის წარმომადგენელი იყო. დადგენილია ისიც, რომ ჩხუბის პროვოცირება ამერიკელებმა გამოიწვიეს, რომლებიც არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ და გამგელებს სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდნენ.

ჩხუბი რამდენიმე წუთის განმავლობაში გრძელდებოდა, რის შედეგადაც, სამართალდამცველებმა ამერიკელები დააკავეს. საქართველოსა და აშშ-ს შორის 2004 წელს გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე ამერიკელი სამხედროების სტატუსს ეხება, პოლიციამ დაკავებულები ამერიკულ მხარეს გადასცეს.

ამერიკულმა მხარემ მიიჩნია, რომ ზემოხსენებული ინციდენტი აშშ-ს არმიის დისკრედიტაციას ახდენს და ჩხუბში მონაწილეებს აშშ-ში გაამგზავრებენ. მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე ოფიციალური კომენტარები არ კეთდება. **მედიანიუსი**

**ინგა ალაჰიძე**

**"მაისის ტერაქტი"**

1999 წელს ქართველმა ძალოვნებმა დააკავეს ტერორისტული დაჯგუფების წევრები, რომელთაც, სამართალდამცველთა მაშინდელი შეტყობინებით, დაგეგმილი ჰქონდათ სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა - საქართველოს პრეზიდენტ ელვარდ შევარდნაძის, პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანიას, შინაგან საქმეთა მაშინდელი მინისტრ კახა თარგამაძის, უშიშროების მინისტრ ჯემალ გახოკიძისა და თავდაცვის მინისტრ დავით თევზაძის მკვლელობის გზით. ქართველმა ძალოვნებმა დააკავეს ტერორისტების 12 ეჭვმიტანილი. დაკავებულთა უმეტესობა უშიშროების სამინისტროს ყოფილი თანამშრომლები იყვნენ. ტერაქტის ორგანიზატორებისთვის დააკავეს თავდაცვის სამინისტროს პოლიგონებისა და სასწავლო ცენტრების სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი გუჯარ ყურაშვილი. დააკავეს ასევე, უშიშროების სამინისტროს მე-6 სამმართველოს - ოპერატიული სამმართველოს ყოფილი უფროსი თემურ პაპუაშვილი. "ალფას" ყოფილი წევრები არჩილ ფანჯიკიძე და ალექსანდრე ქანთარია. არჩილ ფანჯიკიძე თავის დროზე, პრემიერ-მინისტრ ოთარ ფაცაციას პირადი დაცვის წევრიც იყო.

**"ვისაც გადატრიალება უნდა, საკუთარ ლოგინში გადატრიალდე,"** - 29 აგვისტოს ტერაქტის შემდეგ ასეთი "ბრძანება" გასცა საქართველოს პრეზიდენტმა ელვარდ შევარდნაძემ და 1999 წლის 22 მაისს "ლოგინში გადატრიალებული" უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნები და სამხედრო გენერალები სანოლიდან წამოყარეს და ორთაჭალის ციხის ნარებზე გადააბარგეს... ძალოვნებმა გვიან ღამით ჟურნალისტებისთვის გამართულ საგანგებო პრესკონფერენციაზე განაცხადეს, ტერორისტებს თვალს დეკემბრიდან ვადგენებდით და მათთვის ნაყენებულ ბრალდებებზე თავით და "პაგონებით" ვაგებთ პასუხსო.

ეჭვმიტანილები ფარული მოსვენების საფუძველზე დააკავეს და ბრალად დასდეს სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მიზნით შეთქმულებაში, ტერორისტული აქტის მომზადებასა და მცდელობაში, უკანონო შეირადებული ფორმირების შექმნასა და იარაღის უკანონო შექმნა, შენახვა, ტარებასა და გადაზიდვაში.

მართალია, ჩაშლილი, მაგრამ მაინც მაისის ტერაქტად მონათლული "დიდი აფეთქება" 1999 წლის გაზაფხულზე კანონდამცველებმა ოპერატიულად აღკვეთეს და როგორც წინა სამი (1995 წლის 29 აგვისტოს, თებერვლისა და თბილისობის დღესასწაულზე დაგეგმილი ტერაქტები) ტერაქტისას, ამჯერადაც, ორგანიზატორის სტატუსი ივორ გორგაძეს მისცეს.

**"გაქვს ინფორმაცია, რომ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მზადდება პრეზიდენტზე თავდასხმა, რომლის ავტორებიც სამუხაზაოდ, ჩვენი თანამემამულეები არიან. რა დონეზეც უნდა დაიგეგმოს უცხო ქვეყნის სპეცსამსახურის აქცია, ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლების გარეშე ვერ შეძლებენ მის განხორციელებას,"** - ასეთი "საიდუმლო ინფორმაცია" მიაწოდეს პრეზიდენტ შევარდნაძეს ძალოვნებმა.

დაკავებულთა ადვოკატებმა მაშინვე თქვეს, რომ "მაისის ტერაქტის" 72-ტომიანი საქმე საეჭვო მა-

**6 ათას ევროდ შეფასებული ტერაქტი**

წინაბორბედის, შევარდნაძის ხელისუფლების ცოდეგები სააკაშვილის ხელისუფლებას ძვირი უფუდება, რადგანაც, ბოლო პერიოდში სტრასბურგის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებებით, საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ ყოფილი ხელისუფლების დარღვევებისთვის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები უნდა გამოყოფს - დაზარალებულებს ზარალი უნდა აღნაზღაუროს. ევროსასამართლოს მიერ რამდენიმე დღის წინ გამოტანილი გადაწყვეტილებით, საქართველო 6 ათასი ევრო დაჯარიმდა, იმის გამო, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის წინააღმდეგ დაგეგმილი შეთქმულების მონაწილეები სასამართლოს არაპროფესიონალმა შემაღველობამ გასამართლა.

სალებით იყო შეკერილი და წინა სამი ტერორისტული აქტისგან განსხვავებით, ბრალდებულთა უარყოფითი ჩვენებებიც ამჟამად. გამოძიებისთვის მიცემული პირველი ჩვენება არ შეუცვლია სამხედრო გენერალ გუჯარ ყურაშვილი.

**"სამშობლოს მოღალატე არ ვყოფილარ, არც ტერორისტული აქტის დაგეგმვაში მიმიღია მონაწილეობა. მით უმეტეს, არც ივორ გიორგაძესთან შეიქმნა არასდროს არავითარი კავშირი,"** - აცხადებდა გუჯარ ყურაშვილი.

მაისი ტერაქტის მთავარი გმირი უშიშროების ოფიცერი თემურ პაპუაშვილი ორთაჭალის ციხეში გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა. თემურ პაპუაშვილი უშიშროების სპეცრაზმ "ალფას" მეთაურის გელა პაპუაშვილის ძმა იყო, იმ გელა პაპუაშვილისა, რომელიც 29 აგვისტოს ტერაქტის ორგანიზატორებისთვის გაასამართლეს და ძმის სიკვდილის შემდეგ "შენწყალების სიგელით" დააჯილდოვეს.

**"ტერორისტული ეპოპეა" - პასუხისმგებლობა ძველ ცოდვებზე**

საქართველოში ტერორისტული ეპოპეა 1995 წლის 29 აგვისტოს დაიწყო. ეს იყო პირველი განხორციელებული "ცენტრალური ტერორისტული აქტი" მარ მოჰყვა 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტი, თბილისობის დღესასწაულზე აღკვეთილი ტერაქტი და მაისის ტერაქტი.

მაშინ "არეული ქვეყნის" დამანყნარებელი ოპერაციების ერთ-ერთი დამგეგმაი და წამყვანი კახა თარგამაძე გახლდათ. შსს-ს ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი სამმართველოს, როგორც მას უწოდებდნენ, მე-6 განყოფილების უფროსს, "ობეხეცში" გამონვრთილ კახა თარგამაძეს, რომელმაც პოლიციური კარიერისკენ სვლა "კუკარა-წიბიდან" დაიწყო, პირველი პოლიცი-მაისტერის სავარძელი 29 აგვისტოს ტერაქტის გახსნაში დიდი წვლილის შეტანისთვის ერგა.

ანტიტერორისტული ღვაწლი მას ხელისუფლებაში იმითაც დაუფრ-სა, რომ გამინისტრებასთან ერთად მის "პაგონებს" ერთი დიდი ვარსკვლავი დააჯდა - პოლიციის გენერლისა.

29 აგვისტოს ტერაქტს 9 თებერვალი მოჰყვა. მინისტრის სავარძელში უკვე საიმედოდ მჯდარმა კახა თარგამაძემ "კრწანისის" თავდასხმის ამბავი "ღვთის წყალობით" გადარჩენილი პრეზიდენტისგან შეიტყო. 9 თებერვალს ორთაჭალაში მომხდარი თავდასხმისას შს მინისტრი რესტორან "თამარიონში" ილხენდა მეგობრებთან ერთად. მართალია, "ჟიტკოსტაგსმის" თემაზე პრეზიდენტის წინ ბორძიკით მოლაპარაკე კახა თარგამაძემ 9 თებერვლის "ცენტრალური ტერაქტისას" თავი ვერ ისახელა, პირქით, ჩაფლავდა კიდეც, მაგრამ ელვარდ შევარდნაძის ფავორიტმა თავი იმით მაინც გამოიჩინა, რომ 10 თებერვალს საქმე ოპერატიულად გახსნა და ტერორისტებს "ცხელ კვალზე" "ჩააგლო". 9 თებერვალს მომხდარი "სამხედრო შტურმის" შემდეგ მართალია, შს მინისტრის მოადგილე დემურ მიქაძე დაიასჯა (იგი თანამდებობიდან გაათავისუფლეს), მაგრამ მინისტრი კახა თარგამაძე კვლავ პრეზიდენტის მაღლობებით დასაჩუქრდა. 9 თებერვლის შემდეგ იყო არშემდგარი "მაისის ტერაქტი". იგი თარგამაძის უწყებამ ჩაშალა, თანაც ისე, რომ ტერორისტებს

"ამოსუნთქვის საშუალება" არ მისცა. პირველი პირის ჯილდოები თარგამაძემ მაშინაც მიითვალა.

საერთოდ, მაშინდელი "ტერორისტული ეპოქა" ადგილის გამაგრების საუკეთესო საშუალებადაც იქცა. ქვეყნის პრეზიდენტის მიერ "ხელდასხმული" მინისტრი თარგამაძე და მისი უწყება ყველა არასასურველს ტერორისტის იარღიეს ანებებდა. იყო შემთხვევები, როცა ტერორისტული საქმეების "გასკოდომა", გარდა იმიჯის გამყარებისა, პირად ანგარიშსწორებასაც ეფუძნებოდა. ასეთი იყო 1997 წლის შემოდგომაზე, თბილისობის დღესასწაულზე კახა თარგამაძისა და მისი პოლიციელების მიერ აღაგმული კიდეც ერთი ტერაქტი. შს მინისტრმა "საქმის გახსნას" ვრცელი სატელევიზიო გამოსვლაც კი მიუძღვნა. უმაღლესი ხელისუფლების თვალში "ქულდასხმული" იმაში გამოიხატა, რომ მინისტრმა განაცხადა: ტერაქტი ქვეყნის პრეზიდენტის ლიკვიდაციის მიზნით დაიგეგმაო. თუმცა, მოგვიანებით აღმოჩნდა, რომ თავდასხმა ნავთობის მაგნატიდ ნოდებულ "ვერია პლუსის" მეპატრონის ნუგზარ შევარდნაძის წინააღმდეგ იყო მიზნობრივი და მას სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასთან არავითარი კავშირი არ ჰქონია.

საქმე იქამდე მივიდა, რომ პრეზიდენტ შევარდნაძის წინაშე ქულების ჩაწერის მიზნით ტერორისტის სტატუსით უბრალო კრიმინალებიც კი დაასაჩუქრეს. მაგალითად, კახა თარგამაძემ ივანე დობიძაშვილის საქმეც "ცენტრალურ თავდასხმად" მონათლა და მის ორგანიზატორ შემსრულებლად ჩეჩენი ვაჰაბიტბეი გამოცხადდა. მინისტრის სატელევიზიო გამოსვლას, ალბათ, მეტი სიმძაფრისთვის სამხედრო არსენალი - ტერორისტთა შეიარაღება და მათი სალოცო ნივთი უკანონოდ ამჟღავნებდა. თუმცა, თარგამაძის ანტიტერორისტული განგაში იმით დასრულდა, რომ აღმოჩნდა: არც დობიძაშვილსა და არც მის კომპანიონს, ეროვნებით ჩეჩენს, სახელმწიფო გადატრიალების მოწყობაში აზრადაც არ მოსვლიათ. თარგამაძის უწყება ქვეყანაში მოსალოდნელი დესტაბილიზაციაზე თვეგამოშვებით მაინც იწყებდა ლაპარაკს, რა თქმა უნდა, მხოლოდ იმის დასამტკიცებლად, ნახეთ, რა კარგად ვმუშაობთო. შს მინისტრის პოლიტიკურ "ჩათვლებს" მის უწყებაში განეფებული საბჭოური მეთოდების გუმბარები ეჭვმიტანილებსა და ბრალდებულებს უსწორდებოდნენ.

ეს იყო დაკავებულითა ცემა-წამება, შსს-ს მე-6 სართულიდან პატიმართა გადმოხტომის შემთხვევები... იყო შემთხვევები, რომ ტერორისტების ბრალდებით დაკავებული შემდგომ სავრთოდ უღანაშულო აღმოჩენილა, თუმცა, მას შემდეგ, რაც სიცოცხლეს შსს-ს ავადსახსენებელ მე-6 სართულზე დამშვიდობებია. მხოლოდ 29 აგვისტოს ტერაქტისას 12 უღანაშულო "დამნაშავე" მოკვდა ცემა-წამების შედეგად. ამის გამო საქართველოს ხელისუფლებამ დასავლეთისგან არაერთხელ დაიმსახურა შენიშვნა.

სწორედ თარგამაძის უწყება იყო, 9 თებერვლის ორგანიზატორი და ჯიხაშვილის ისტორიის მთავარი მოქმედი პირი გოჩა ესებუა პოლიციური ოპერაციით სიცოცხლეს რომ გამოასალმა. შსს-მ აკაკი ელიავას მკვლელობითაც ისახელა თავი... გოჩა ესებუას და აკაკი ელიავას მკვლელობებით ორი დიდი საქმის სიმართლების მოქმელი მოიშორეს... კახა თარგამაძის პოლიციური "დამსახურებების" ჩამოთვლით ახლა თავს არ შეგანწყენთ, ეს ყველაფერი მხოლოდ იმიტომ გავიხსენეთ, რომ ქვეყნის მაშინდელ მაღალჩინოსანთა მიერ დაშვებულ შეგნებულ შეცდომებზე საქართველოს მოსახლეობამ ახლა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გასული თანხებით უნდა ავოს პასუხი.

**ევროსასამართლოს გადაწყვეტილება დაუბრუნდეთ "მაისის ტე-**

რაქტს". 2001 წლის 8 ნოემბერს უენაეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ საქმე ერთი მოსამართლისა და ორი მსაჯულის მონაწილეობით გამოიტანა "მაისის ტერაქტის" საქმე და ფანჯიკიძეს, ყურაშვილს, ქანთარიასა და გიორგაძეს ნაწილობრივ გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა. ისინი დამნაშავედ ცნო საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად მოწყობილ შეთქმულებაში. გარდა ამისა, ფანჯიკიძე დამნაშავედ ცნეს იარაღის უკანონო ყიდვასა და გადაზიდვაში. სასამართლომ ფანჯიკიძეს, ყურაშვილსა და ქანთარიას სამი წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო გიორგაძეს ორი წლით და ხუთი თვით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა.

არჩილ ფანჯიკიძემ, გუჯარ ყურაშვილმა, ცახაბერ ქანთარია, გიორგი გიორგაძემ, ოთარ მელიქიძემ და ოსებ ნადირაძემ გამოტანილი განაცხევი ევროსასამართლოში გაასაჩივრეს და განაცხადეს, რომ სამართალდამცველი ორგანოების უკანონო ქმედებების გამო მათ მიმართ დაირღვა ევროკონვენციის მუხლები. აცხადებდნენ, რომ გამოძიების პირველ ეტაპზე მათ ვერ ისარგებლეს მათ მიერ არჩეული ადვოკატების დახმარებით, საკანში მათ მიმართ ადგილი ჰქონდა არასათანადო მოპყრობას. ფანჯიკიძე, ყურაშვილი და ქანთარია ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათი საქმე არ განიხილა კანონით დადგენილი წესით შექმნილმა სასამართლომ, რადგან განაჩენი გამოიტანა ერთი მოსამართლისა და 2 სახალხო მსაჯულისგან შემდგარმა სასამართლომ.

ევროსასამართლოში საქმე განიხილა ევროსასამართლოს შვიდი მოსამართლისგან შემდგარმა სექციამ, რომლის შემადგენლობაში შედიოდა საქართველოს მოსამართლე ნონა ნონორიაც. ევროსასამართლომ მიიჩნია, რომ განმცხადებლების მიმართ დაირღვა ევროკონვენციის მე-6 მუხლი - სამართლიანი სასამართლოს უფლება, რადგან მათი საქმის განხილვა მართლაც არ მოხდა კანონის საფუძველზე შექმნილი სასამართლოს მიერ.

ევროსასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაში ნათქვამია, რომ საქართველოში სახალხო მსაჯულთა ინსტიტუტი არ იყო კანონით გათვალისწინებული წესით შექმნილი, რადგან არ არსებობდა არაიურისტ მსაჯულთა მიერ სასამართლო ხელისუფლების ფუნქციის განმხორციელებელი სამართლებრივი რეგულირების ნორმა. საქართველოს კი ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიცირებით აღებული ჰქონდა ვალდებულება, კანონით მოეხდინა სასამართლო სისტემის იმგვარი მოწყობა, რომ არ მომხდარიყო ევროკონვენციით დაკული პრინციპების დარღვევა. შესაძამისად, ევროსასამართლომ ჩათვალა, რომ სახალხო მსაჯულთა მიერ გამოტანილი ნებისმიერი გადაწყვეტილება არის უკანონო, არღვევს ევროკონვენციის მე-6 მუხლს და ნებისმიერ პირს, ვისი საქმის განხილვაც მოხდა სახალხო მსაჯულების მიერ, უფლება აქვს მოითხოვოს საქმის ხელახლა არსებითად განხილვა.

ევროსასამართლომ ფანჯიკიძის, ყურაშვილისა და ქანთარიას სასარგებლოდ საქართველოს სასამართლოს 2000 ევროს - საერთო ჯამში 6 ათასი ევროს გადახდა დააკისრა. რამდენიმე დღის წინ სტრასბურგის სასამართლომ კიდევ ერთი მსგავსი გადაწყვეტილება გამოიტანა. "გორგლიაძე საქართველოს წინააღმდეგ" - ასე ჰქვია განაცხადს, რომელიც სტრასბურგის სასამართლო კარგა ხნის განმავლობაში განიხილავდა და რომლის გამოც, ევროპულმა მოსამართლეებმა საქართველოს ხელისუფლებას წლებიწინანდელი შეცდომის გამო მომჩივანის სასარგებლოდ 5 ათასი ევროს გადახდა დააკისრა.

ორივე საქმეზე დაზარალებულთა ინტერესებს "კონსტიტუციის 42-ე მუხლი" იცავდა.



# დევიდ მილიბანდი რუსეთთან ურთიერთობაზე აბზარაბს

ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ხუთი წელია, მოსკოვში არ ყოფილა

## მარკა იაშვილი

დევიდ მილიბანდი რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრებმა დევიდ მილიბანდმა და სერგეი ლავროვმა მოსკოვში ოფიციალური მოლაპარაკებები გამართეს. ეს ბოლო 5 წლის განმავლობაში "ფორინ ოფისის" ხელმძღვანელის პირველი ვიზიტია რუსეთის დედაქალაქში. დევიდ მილიბანდი მოსკოვში კვირას ჩაფრინდა და რუს კოლეგასთან ვახშამზე შეხვედრა იმ დღესვე მოასწრო.

მინისტრება ხელი მოაწერეს ერთობლივ განცხადებებს ავღანეთის, ახლო აღმოსავლეთისა და ბირთვული იარაღის გაუფრთხილებლობის საკითხებზე. იმსჯელეს ლიტვინენკოს მკვლელობაზეც. ამის შესახებ მინისტრებმა ორშაბათს გამართულ პრესკონფერენციაზე ისაუბრეს.

რუსეთის ფედერაციის ელჩი გაერთიანებულ სამეფოში იური ფედოტოვი დევიდ მილიბანდის ვიზიტს უწოდებს ოფიციალური ლონდონის მცდელობას, ამერიკის მსგავსად, "გადატვირთოს" ორმხრივი ურთიერთობები, რომლებიც ბოლო წლებში მთელი რიგი პრობლემების, განსაკუთრებით კი ალექსანდრ ლიტვინენკოს საქმის გამო გართულდა. თუმცა, დასავლურ პრესაში წერენ, რომ ბრიტანელი დიპლომატები ამჯობინებენ, მოსკოვის და ლონდონის ურთიერთობა ვაშინგტონისა და მოსკოვის ურთიერთობებს და "გადატვირთვას" არ შეადარონ.

ბრიტანეთში აცხადებენ, რომ

მხარეებს შორის ჯერ კიდევ რჩება სერიოზული უთანხმოებები: ლონდონი ძველებურად მოითხოვს ანდრეი ლუგოვოს გადაცემას, რომელიც ლიტვინენკოს მკვლელობაში მთავარი ეჭვმიტანილია, რუსეთი კი ამტკიცებს, რომ ეს ქვეყნის კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ამავე დროს ლონდონი აღიარებს, რომ საერთაშორისო საკითხებში, კონკრეტულად კი ირანისა და ავღანეთის პრობლემის მოგვარებაში რუსეთის როლი უკიდურესად მნიშვნელოვანია. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ამ ორივე შემთხვევის მიმართ რუსეთის პოზიცია ყოველთვის არ არის გასაგები და ბრიტანული დელეგაცია, პირველ რიგში, ამ საკითხში გარკვევას ეცდება.

"ძალზე სამწუხაროა ის ფაქტი, რომ დიპლომატიურ დონეზე ჩვენს ქვეყნებს შორის პრობლემები არსებობს. მართალია, პრეზიდენტი დმიტრი მედვედევი და პრემიერი გორდონ ბრაუნს ერთმანეთს მთელი რიგ საერთაშორისო ფორუმებზე ხვდებოდნენ, ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრები კი ერთმანეთთან კავშირს ინარჩუნებდნენ, მაგრამ ფაქტი, რომ მინისტრების დონეზე ორმხრივი შეხვედრები 5 წლის განმავლობაში არ გამართულა, გვიჩვენებს, რომ ურთიერთობა ისეთი თბილი და დადებითი არ არის, როგორც უნდა იყოს," - განუცხადა ბრიტანულ გაზეთ "გარდიანს" ბრიტანეთში რუსეთის ელჩმა იური ფედოტოვმა.

ელჩს მიაჩნია, რომ ორმხრივი ურთიერთობების გაუმჯობესების



შესაძლებლობა, რაც მილიბანდის ვიზიტმა შექმნა, ხელიდან არ უნდა გაუშვან.

რუსეთში გამგზავრებამდე დევიდ მილიბანდი ჟურნალისტებთან საუბრისას აცხადებდა, რომ ქვეყნებს შორის არსებულმა უთანხმოებამ მათ ერთად მუშაობაში ხელი არ უნდა შეუშალოს. "ჩვენ შესანიშნავად ვაცნობიერებთ, რომ პრობლემები ჯერ კიდევ არსებობს. ყველა საკითხი, რომელიც გვაღელვებს, მოუგვარებელი რჩება. მაგრამ ჩვენ ასევე ძალიან კარგად ვხვდებით, რომ დიდმა ბრიტანეთმა და რუსეთმა ერთად უნდა იმუშაონ და თანაც არა მხოლოდ უსაფრთხოების სფეროში ან მრავალმხრივი პრობლემების

მოგვარების საკითხში, არამედ ეკონომიკურ სფეროშიც. ვფიქრობ, ამის გაკეთებას შევძლებთ, თანაც ისე, რომ ჩვენი პრინციპების ერთგულნი დავრჩებით," - განაცხადა მინისტრმა.

ბრიტანელ პარლამენტართა ჯგუფმა მილიბანდს მიმართა მონოდებით, სერგეი ლავროვთან საუბრისას გვერდი არ აუაროს რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის პრობლემას და მათ შორის მიხილ ხოლოდოვსკის სასამართლო პროცესსაც.

"ცხადია, რომ გაერთიანებულმა სამეფომ უნდა წამოჭრას რუსეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის, საკუთრების უფლებისა და კანონის უზენაესობის არარსებობის საკითხი; მან უნდა გააპროტესტოს აგრესიული საგარეო პოლიტიკის განხორციელების იარაღად ეროვნული ენერგომატარებლების გამოყენება, რაც რუსეთის დანარჩენი მსოფლიოსგან იზოლირებას განაპირობებს," - წერენ ბრიტანეთის საკანონმდებლო ორგანოს "ლიბერისტი" და "ლიბერალ-დემოკრატი" დეპუტატები ლია წერილში.

დევიდ მილიბანდი მოსკოვში შეხვედრებს გამართავს ბიზნესმენებთან, ადამიანის უფლებათა დამცველებთან და საბჭოთა კავშირის უკანასკნელ ლიდერ მიხაილ გორბაჩოვთან. გარდა ამისა, ბრიტანელი მინისტრი შეხვედრა თავის შორეულ ნათესავ სოფია მილიბანდს, რომელიც პირველად რუსეთში დევიდ მილიბანდის ძმის, ენერჯეტისა და გარემოს საკითხების მინისტრ ედ მილიბანდის ვიზიტის დროს გამოჩნდა.

# სერბეთის ექსპრეზიდენტი ბაათავისუფლდა

შვედეთის ციხიდან სერბეთის ყოფილი პრეზიდენტი ბილანა პლავშინი გაათავისუფლეს. იგი ყოფილი იუგოსლავიაში ჩადენილი სამხედრო დანაშაულისთვის იხდიდა სასჯელს.

ბილანა პლავშინი, ყოფილი იუგოსლავიის ერთადერთი მაღალჩინოსანია, რომელმაც ბოსნიის ომში ჩადენილი დანაშაული აღიარა.

2003 წელს პლავშინი შვედეთში, საგამოძიებო ციხიდან, ჰინსბერგის ციხეში გადაიყვანეს, სადაც სასჯელის ორი მესამედი მოიხადა. მას 11 წლით პატიმრობა ჰქონდა მისჯილი.

პროფესიით ბიოლოგი, პროფესორი პლავშინი პოლიტიკაში წასვლამდე სარაევოს უნივერსიტეტში მუშაობდა. ვინც მას იცნობდა, ამბობდა, რომ იგი პოლიტიკისგან შორს იყო. თუმცა, 1992 წელს, როდესაც სერბეთმა დამოუკიდებლობა

გამოაცხადა, იგი ქვეყნის ვიცე-პრეზიდენტი გახდა. მაშინ, სერბეთის პრეზიდენტი რადოვან კარაჯიჩი იყო.

პლავშინი უკიდურესად დაუნდობელი იყო სერბეთში მცხოვრები მუსულმანების მიმართ. იგი აცხადებდა, რომ ისინი "სერბეთის გენეტიკურ დეფექტს წარმოადგენდნენ".

მისი პოზიცია და დამოკიდებულება მუსულმანი სერბების მიმართ, არც ომის დასრულების შემდეგ შეცვლილა. მაშინ პლავშინს უკვე ქვეყნის პრეზიდენტის პოსტი ეკავა. მან კარაჯიჩი შეცვალა.

ჰააგის ტრიბუნალმა საქმე ყოფილი იუგოსლავიის ქვეყნების სამხედრო დანაშაულის ფარგლებში 2001 წელს განიხილა და პლავშინი 1992-1995 წლებში ბოსნიაში მიმდინარე გენოციდსა და სხვა დანაშაულებში დამნაშავედ ცნო.

საქმე ისაა, ბილანა პლავშინი



თვადან არ აღიარებდა დანაშაულს, თუმცა ერთი წლის შემდეგ პოზიცია შეიცვალა და ბრალდების მხოლოდ ერთი პუნქტი - დანაშაული კაცობრიობის წინაშე - სხვა ბრალდებების მოხსნისა და 11-წლიანი პატიმრობის სანაცვლოდ აღიარა.

როგორც გაირკვა, ჰინსბერგის ციხეში 73 წლის პლავშინი, როგორც პენსიონერი პატიმარი, გათავისუფლებული იყო სავალდებულო სამუშაოებისგან.

დეუს უკვე გათავისუფლებული ყოფილი პრეზიდენტი ბელგრადში დაბრუნებას აპირებს.

სერბეთში შიშობენ, რომ 80 წლის პლავშინს ნაციონალისტები განდიდებს დაუნყებენ და ყველანაირად ეცდებიან, მის პოლიტიკაში დაბრუნებას. თუმცა, პლავშინი ოჯახის წევრები ირწმუნებინ, რომ იგი პოლიტიკაში ჩარევას აღარ აპირებს და მშვიდი ცხოვრება სურს.

# მუსოლინი ბრიტანულ დაზვერვასთან თანამშრომლობდა

ბრიტანული გამოცემა "გარდიანი" საკმაოდ სკანდალურ ინფორმაციას აქვეყნებს. მათი ინფორმაციით, იტალიელი დიქტატორი, ბენიტო მუსოლინი, თავის კარიერის დასაწყისში, ბრიტანულ დაზვერვასთან თანამშრომლობდა. გაზეთში წერენ, რომ მუსოლინისა და ბრიტანული დაზვერვის მი-5-ის თანამშრომლობას არქივში დაცული დოკუმენტები მოწმობს. 1917 წელს, მაშინ, როდესაც დიდი

იტალიელი დიქტატორი 34 წლის ასაკში, იტალიურ გაზეთ "პოპოლო დ იტალიის" მთავარ რედაქტორად მუშაობდა, ბრიტანეთის სამეფოდან ყოველკვირეულად 100 ფუნტ სტერლინგს იღებდა. როგორც ისტორიკოსი პიტერ მარტლენდი აცხადებს, რომელიც სწორედ ამ საკითხზე მუშაობს, მაშინდელი 100 ფუნტი დღევანდელ 6 ათას ფუნტ სტერლინგს უდრის.

ბრიტანული სპეცსამსახურები მუსოლინის თანხას გაზეთ "პოპოლო დ იტალიის" პროპაგანდული მასალების დაბეჭდვისთვის უხდიდნენ. მას უნდა დაერწმუნებინა იტალიელები, რათა მათ მონაწილეობა მიეღოთ პირველ მსოფლიო ომში. გარდა ამისა, "პოპოლო დ იტალიის" მთავარი რედაქტორი, თავისი გაზეთის ფურცლებიდან მოუწოდებდა იტალიის მაშინდელ მთავრობას, რომ დაერბიათ ის

დემონსტრაციები, სადაც მოსახლეობა მშვიდობას ითხოვდა.

როგორც "გარდიანი" აღნიშნავს, მუსოლინის "ჯილდო" მნიშვნელოვანი არ იყო, თუმცა, იმ 4 მილიონ ფუნტთან შედარებით, რასაც ბრიტანეთის სამეფო ომში ყოველდღე ხარჯავდა, მუსოლინის "ხელფასი" ამართლებდა. ბრიტანეთს სჭირდებოდა იტალიაში დასაყრდენი, რადგან, პირველი მსოფლიო ომის დროს, რომი

ლონდონის ყველაზე ნაკლებად სანდო პარტნიორი იყო.

მუსოლინის ბრიტანეთში კურიერებას უწევდა სამეფო პარლამენტის დეპუტატი, მი-5-ის აგენტი რომში სერ სემიუელ ჰორი. ისტორიკოსი პიტერ მარტლენდი ვარაუდობს, რომ იმ შეთანხმების უმეტესობას, რომელსაც ბენიტო მუსოლინი ბრიტანელებისგან "გასამრჯელოდ" იღებდა დროს ტარებაში ხარჯავდა.



# ავღანეთის არჩევნები - საბინაელი კატასტროფა

2009 წლის დისკრედიტირებული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად არავინ დარჩენილა მოგებული. ჰამიდ ყარზაის "გამარჯვებამ", რასაც ავღანეთის პრეზიდენტმა გაყალბების საშუალებით მიიღწია და ახლა უკვე კონკურენტის არარსებობამ ჩრდილი მიაცენა მის რეპუტაციას და ამ ადამიანის გავლენა შეამცირა. მთელი ამ პროცესის ორგანიზატორს - აშშ-ს ადმინისტრაციას ქაბულში ისევ არ ჰყავს ავტორიტეტული და საიმედო პარტნიორი, რაც, როგორც აცხადებენ, უმნიშვნელოვანესია ნარმატების მისაღწევად.

ტალახში ამოსვრილი გაერო-ს, როგორც პატიოსანი და მოუსყიდველი ორგანიზაციის რეპუტაცია. ის ჩინოვნიკების უმოქმედობის და შიდა დაპირისპირების მსხვერპლი გახდა. ნატო-ს მისია კი ახლა უფრო უმართავად და უმიზნოდ გამოიყურება, ვიდრე ადრე. ავღანელი ხალხი მოვლენების ასეთი შემობრუნებით გაკვირვებული და შეშინებულია, მათი საქმე წინ ვეღარ იძვრის და პირიქით, შეიძლება უკან წავიდეს.

სასაცილოა ამერიკის ოფიციალურ წარმომადგენელთა გამოსვლა, როცა აცხადებენ, რომ არჩევნების პროცესი ძველებურად იმსახურებს ნდობას, მიუხედავად იმისა, რომ ყარზაის ერთადერთმა მეტოქემ აბდულა აბდულამ არჩევნებში მონაწილეობაზე უარი განაცხადა. სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა მაგალითად აშშ-ში არჩევნების დროს მომხდარი სულ სხვა ტიპის ინციდენტები მოიყვანა და განაცხადა, რომ კანდიდატურის მოხსნა იმას არ ნიშნავს, რომ მეორე ტური უკანონოა, თუნდაც არჩევნებში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდეს.

"გასაკვირი არ არის, რომ აბდულა უარს ამბობს იმ არჩევნებში მონაწილეობაზე, რომელშიც ვერ გაიმარჯვებს. ეს არ წარმოადგენს დაბრკოლებას ავღანეთის პრეზიდენტის არჩევნისთვის. ეს პოლიტიკაა. როგორც არ უნდა იყოს შედეგი, ის პროცესის ლეგიტიმურობაზე გავლენას


ვერ მოახდენს," - განუცხადა "ვაშინგტონ პოსტს" თეთრი სახლის უცნობმა წყარომ.

გასული კვირის მოვლენების შეფასებისადმი ასეთი "შემოქმედებითი" მიდგომით იგნორირებულია ის ფაქტი, რომ სწორედ ჰილარი კლინტონმა და ავღანეთსა და პაკისტანში ამერიკის სპეციალურმა წარმომადგენელმა რიჩარდ ჰოლბრუკმა ჯერ კიდევ რადენიმე დღის წინ ყარზაის "ხელი გადაუგრიხეს" და მეორე ტურზე ლამის ძალით დაითანხმეს. მათი სიტყვებით, ამას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, რადგან პირველი ტურის წარმოსახვითი გამარჯვება უპატიოსნო იყო და ლამის ფარსის სახე ჰქონდა.

ამ მითების შემქმნელებმა თეთრი სახლიდან არ გაითვალისწინეს ლოგიკური დასკვნა, რაც აბდულას მიერ ბრძოლაზე უარის თქმას მოჰყვება: მიუხედავად მათი ძალაუფლებისა და გავლენისა, აშშ-მ, გაერო-მ, დასავლეთის სხვადასხვა ქვეყნების დიპლომატების ერთობლიობამ და პლუს ავღანეთის დამოუკიდებელმა საარჩევნო (უკვე დისკრედიტირებული) კომისიამ, ვერ შეძლეს, ჩაეტარებინათ სამართლიანი და თავისუფალი არჩევნები.

აბდულას მოწოდება, შეცვლილიყვნენ კომპრომენტირებული ჩინოვნიკები საარჩევნო კომისიაში, უპასუხოდ დარჩა. არ გაითვალისწინეს არც გაერო-ს სურვილი - შემცირებულიყო საარჩევნო უბნების რაოდენობა განმეორებითი ფალსიფიკაციის თავიდან ასაცილებლად. ბოლო დღეებში ცხადი გახდა, რომ ყარზაის მომხრეებს, ფაქტობრივად, ვერაფერი უშლით ხელს ხმის მიცემის მასშტაბურ გაყალბებაში.

ამერიკელი მაღალი რანგის დიპლომატი პიტერ გელბრაითი, რომელიც გაერო-ს მისიიდან იმის გამო გაათავისუფლეს, რომ მან მისიას საარჩევნო დარღვევების მიმართ გულგრილ დამოკიდებულებაში დასდო ბრალი, გასულ კვირას გაფრთხილებით გამოვიდა. მან განაცხადა,



რომ თუ მეორე ტურში გაყალბებები დაფიქსირდება, ამას მოჰყვება "კატასტროფული შედეგი ავღანეთისა და გაერთიანებული სამხედრო მისიისთვის, რომელიც ომს აწარმოებს "თალიბებთან" და "ალ კაიდასთან." გელბრაითმა განაცხადა, რომ თუ ყარზაის მეორე ვადით აირჩევენ, მას გატეხილი ექნება სახელი როგორც სახლში, ისე საზღვარგარეთ, მიუხედავად იმისა, თუ როგორ მოიპოვებს იგი გამარჯვებას. ლეგიტიმურობის კრიზისის დასაძლევად დიპლომატი ავღანეთს მოუწოდებს აბდულას მიერ შეთავაზებული რეფორმების გატარებას, რათა ხელისუფლებაში გაიზარდოს ეთნიკური ჯგუფების წარ-

მომადგენლობა, არჩეულ იქნენ პროვინციების გუბერნატორები, გაიზარდოს ადგილობრივი ხელისუფლების უფლებამოსილება და პრემიერ-მინისტრი და კაბინეტი პარლამენტმა დანიშნოს და არა პრეზიდენტმა.

მსგავსი რეფორმების განხორცილება შესაძლოა ბარაკ ობამამ ჯერ დაუმთავრებელი ავღანეთის სტრატეგიის გადახედვის ფარგლებში მოითხოვოს. ამ გზით ყარზაის უფლებამოსილების შეზღუდვამ შეიძლება ლეღის ფოთლის როლი შეასრულოს ვაშინგტონის დამამცირებელი უსუსურობის დასაფარად. ამერიკამ ვერ შეძლო წარმატების მიღწევა ავ-

ღანეთში დემოკრატისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში, რაც ამერიკის და ნატო-ს სულ უფრო ძვირადღირებული და არაპოპულარული სამხედრო კამპანიის გამართლება უნდა გამხდარიყო.

გასულ პარასკევს ობამა, სპილოს ძვლის კოშკში მცხოვრები და რეალობას მთლიანად მოწყვეტილი პროფესორის მსგავსად, კვლავ მოითხოვდა პენტაგონის ახალ მოხსენებებს, რომლებიც სამხედროების რაოდენობის გაზრდას შეეხებოდა.

ვაშინგტონიდან ბოლო ინფორმაციის მიხედვით, ამერიკა გაზრდის თავისი სამხედროების რაოდენობას, თუმცა არა 40 000 ჯარისკაცით, როგორც ამას ავღანეთში კოალიციური ძალების მეთაური, გენერალი სტენლი მაკ-კრისტიანი ითხოვდა. ეს ჯარები გამოყენებულნი იქნებიან თალიბების თავდასხმებისგან მხოლოდ ავღანეთის ძირითადი ქალაქებისა და დასახლებული პუნქტების დასაცავად. სოფლებში აშშ-ს და ნატო-ს კონტრტერორისტული და კონტრპარტიზანული მოქმედებების ტაქტიკაზე გადასვლა შეუძლიათ.

ობამამ დროთა განმავლობაში შეიძლება მიიღწიოს სიტუაციის გარდატეხვას. მაგრამ მან ვერ შეძლო იმის უზრუნველყოფა, რომ ასე რეკლამირებული არჩევნები უდიდეს კატასტროფაში არ გადაზრდილიყო, რამაც მას დიდი ზიანი მოუტანა. ახლა პრეზიდენტი თავისი ცხოვრების მანძილზე ყველაზე ცუდად გამოიყურება - როგორც წარუმატებელი და სხვებისგან არაფრით გამორჩეული. ხოლო გამარჯვებულები კი გუშინ მხოლოდ ცუდი ზიქები გამოვიდნენ.

P.S. გუშინ ავღანეთის საარჩევნო კომისიამ მეორე ტური გააუქმა და მოქმედი პრეზიდენტი ჰამიდ ყარზაი გამარჯვებულად გამოაცხადა. გუშინვე ქაბულში დაუფეგმავე, სასწრაფო ვიზიტით ჩავიდა გაერო-ს გენერალური მდივანი ბან კი მუნეი.

**"გარდანიის" მიხედვით მოამზადა თამთა კახაძემ**

# კლინტონი მოლაპარაკებების განახლების ინისიატივით გამოდის

მარიკა იაშვილი

მაჰმუდ აბასთან და ბენიამინ ნეთანიიაჰსთან შეხვედრის შემდეგ ამერიკის სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს მოუწოდა, "რაც შეიძლება მალე" განახლონ მშვიდობიანი მოლაპარაკებები. ჰილარი კლინტონი ამ დროისთვის ახლო აღმოსავლეთში იმყოფება, რათა აწარმოოს მოლაპარაკებები, რომლებიც ბიძგს მისცემს რეგიონის პრობლემების მშვიდობიანად დარეგულირებას.

შაბათს ამერიკის სახელმწიფო მდივანმა აბუ-დაბიში პალესტინის ავტონომიის ხელმძღვანელ მაჰმუდ აბასთან გამართა შეხვედრა, მოგვიანებით კი ისრაელში გაეგზავრა, სადაც ქვეყნის პრემიერ-მინისტრ ბენიამინ ნეთანიიაჰს შეხვდა.

როგორც მაჰმუდ აბასმა კლინტონს განუცხადა, ისრაელთან მოლაპარაკება იმ დრომდე იქნება შეუძლებელი, სანამ მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე ებრაული დასახლებების მშენებლობა მთლიანად არ შეჩერდება.

თავის მხრივ ჰილარი კლინტონთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე ნეთანიიაჰმ განაცხადა, რომ მისი მთავრობა დასავლეთ სანაპიროზე ახალი დასახლებების აშენ-



ბას არ გეგმავს. ამასთანავე ებრაელმა პრემიერმა პირობა დადო, რომ უკვე არსებულ დასახლებებთან მიმართებაში "თავშეკავებულად" იმოქმედებს.

კლინტონი მიიჩნევს, რომ ისრაელი ამ საკითხში "უპრეცედენტო" დათმობებს თანხმდება. მან ისრაელისა და პალესტინის ლიდერებს მოუწოდა, რაც შეიძლება მალე მიუსხ-

ნენ მოლაპარაკებათა მაგიდას. გუშინწინ პალესტინელებს ყოველგვარი წინაპირობების გარეშე მოლაპარაკებების სწრაფად განახლებისკენ თვითონ ბენიამინ ნეთანი-

აჰმაც მოუწოდა, მაგრამ პალესტინელები დასახლებების საკითხის მოგვარების გარეშე ამ წინადადებაზე ჯერჯერობით არ თანხმდებიან. დიალოგის განახლებისთვის მთავარ მოთხოვნად მშენებლობის პროცესის სრულ შეჩერებას ასახელებენ.

ამერიკის სახელმწიფო მდივანი აცხადებს, რომ ისრაელსა და პალესტინას შორის მშვიდობის დამყარება ამერიკისა და მთელი მსოფლიოს მთავარ ამოცანად რჩება. კლინტონი იმასაც აღნიშნავს, რომ ვაშინგტონი პრობლემის მოგვარების იდეალურ საშუალებად ორი სახელმწიფოს არსებობას მიიჩნევს.

საინტერესოა, რომ ისრაელში ყოფნისას კლინტონმა ამერიკის პოზიცია ოდნავ შეარბილა, როდესაც "უპრეცედენტო დათმობებზე" ილაპარაკა, ხოლო გუშინ მაროკოში, სადაც კლინტონი არაბული სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებთან ერთად ესწრება "ფორუმს მომავლისათვის", ებრაული დასახლებების თემაზე უფრო ვრცლად ისაუბრა. მან გაიმეორა, რომ ისრაელი კი მიდის "უპრეცედენტო დათმობებზე", მაგრამ მან უფრო მეტი უნდა გააკეთოს და ეს ჯერ კიდევ არ არის ის, რასაც მისგან ამერიკა მდინარე იორდანეს დასავლეთ სანაპიროზე არსებულ ებრაულ დასახლებებთან მიმართებაში ელოდება. კლინტონის სიტყვებით, ამერიკის პოზიცია ამ საკითხში არ შეცვლილა.





FREE INDUSTRIAL ZONE  
**RAKIA GEORGIA**



# არანაირი შეზღუდვები

აბსოლუტური თავისუფლება  
თქვენი ბიზნესსათვის



პირველი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა კავკასიაში  
სტრატეგიული მდებარეობა შოთის საზღვაო პორტთან  
არანაირი მოგების გადასახადი  
ბიზნეს-საქმიანობის დაწყების მარტივი პირობები

**POTI FIZ**  
[www.rakiageorgia-freezone.com](http://www.rakiageorgia-freezone.com)

შპს Rakia Georgia FIZ (პოტიის სათაო ოზონი)  
საქართველო, პოტი, 4400, ავსტრალიის ქ. 47  
ტელ: (995 393) 25 25 4/5/6  
ფაქსი: (995 393) 25 25 1/9

შპს Rakia Georgia FIZ (ვარმობაზენის რაიონის ოზონი)  
საქართველო, თბილისი, 0103, თბილისის ქ. 20  
ტელ: (995 32) 27 77 33  
ფაქსი: (995 32) 27 73 66

E-mail: [info@rakiageorgia-freezone.com](mailto:info@rakiageorgia-freezone.com)  
[drskc@rakiageorgia-freezone.com](mailto:drskc@rakiageorgia-freezone.com)  
[www.rakiageorgia-freezone.com](http://www.rakiageorgia-freezone.com)

სავაჭრის სახელმწიფო უძრავი ქონების შესახებ ინფორმაციისთვის გთხოვთ დაუკავშირდეთ ქ.ნ ნატო ფიფიას - [n.pipia@rakiageorgia-freezone.com](mailto:n.pipia@rakiageorgia-freezone.com)



# Fallout 3 წლის თაბაში

## ლონდონში "ოქროს ჯოისტიკის" გამარჯვებულები დაასახელეს

ნა ვეკუა

ალბათ გახსოვთ, გასული საუკუნის 80-იან წლებში კინოთეატრ "რუსთაველის" ფოიეში ჩამწკრივებული სათამაშო აპარატები: კაუჩუკის რკალიანი "პერისკოპი" და გარეულ იხვებზე ნადირობა. სწორედ მაშინ, როდესაც ჩვენ გემების ჩაძირვით ვერთობოდით, მსოფლიო სათამაშო ინდუსტრია პირველ პრემიას აწესებდა. "ოქროს ჯოისტიკი" (Golden Joystick Awards) 1982 წლიდან არსებობს და დღემდე ყველაზე პრესტიჟულად მიიჩნევა. პრესტიჟულობას ობიექტურობის ფაქტორიც ემატება, რადგან საუკეთესოთა გამოვლენაში მომხმარებელი მონაწილეობს.

წელს "ოქროს ჯოისტიკის" მფლობელთა გამოსავლენად საკუთარი ხმა მილიონ 200 ათასზე მეტმა გეიმერმა გაიღო და როგორც ამბობენ ეს უკვე რეკორდია. მათი ხმები კი შემდეგნაირად გადაწარმოდა (აქვე შეგახსენებთ, რომ "ოქროს ჯოისტიკი" არა მხოლოდ წლის თამაშს, არამედ სხვადასხვა პლათფორმებისთვის გამოშვებულ საუკეთესო თამაშებსაც აჯილდოებს):

წლისა და პერსონალური კომპიუტერისთვის შექმნილი საუკეთესო თამაშის ტიტული ზუსტად ერთი წლის წინ გამოსულმა ექვსეტი RPG-ს ჟანრის Fallout 3-მა დაიმსახურა. ამავე ნომინაციაში წარდგენილი იყო Call of Duty: World at War, Left 4 Dead, Grand Theft Auto IV და Metal Gear Solid 4: Guns of the Patriots -

ანუ წლის არანაკლებ პოპულარული თამაშები, თუმცა ეჭვი ალბათ არავის ეპარებოდა, რომ პირველობა აუცილებლად Fallout 3-ს დარჩებოდა. ამის მიზეზი მარტივია: თამაში 1997 წელს გამოსული ძალიან პოპულარული Fallout-ის (1998 წელს მისი მეორე ნაწილი გამოვიდა) ფრანჩიზის გაგრძელებაა. გარდა ამისა გააჩნია ბევრი გეიმერისთვის საყვარელი ჟანრის, RPG-ს პრაქტიკულად ყველა საუკეთესო მახასიათებელი, აქვს შესანიშნავი გრაფიკა, მოქმედების სრული თავისუფლება და მოძრაობის თითქმის შეუზღუდავი არეალი. ანუ ის ტიპური თანამედროვე თამაშია.

როგორც მოსალოდნელი იყო, კონსოლ Xbox 360-ისთვის შექმნილ თამაშებში პირველობა არავის დაუთმო შესანიშნავმა Gears of War 2-მა. აღნიშნული მესამე პერსონის ტაქტიკური შუტერი სწორედ ამ პლათფორმის ექსკლუზიურ პროდუქტს წარმოადგენს. თამაშის პირველი ნაწილი კომპანია Epic Games-მა 2006 წელს გამოუშვა, რომელიც მაშინვე იქცა ბესტსელერად, რასაც მის გაგრძელებაზე მუშაობის დაწყებაც მოჰყვა. სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ პირველი Gears of War მეორე ნაწილს გაცილებით სჯობს. აქ მეტი ექვსეტი და საინტერესო სთორია, სიკვლეში კი განსაკუთრებული სიახლეები ნაკლებია. მიუხედავად ამისა, როგორც ხედავთ მარკუს ფელიქსის, დომისა და მათი თანამებრძოლების შესახებ გაკეთებული თამაში "ოქროს ჯოისტიკის" მფლობელია.



PlayStation 3-ის თამაშებში საუკეთესო კიდევ ერთი სიკველი, პირველი პერსონის შუტერი Killzone 2 გახდა. თამაში პირველი ნაწილის თაყვანისმცემლები მის გაგრძელებას 5 წლის განმავლობაში ელოდნენ, თუმცა მანამდე წყურვილი PSP-ს ვერსია Killzone: Liberation-ით დაიკმაყოფილეს. Killzone 2 სწორედ ამ თამაში სიუჟეტს აგრძელებს და კვლავ ვხდებით პლანეტა ვეკტაზე შემოჭრილი პლგასტების წინააღმდეგ ბრძოლის მონაწილე. აქვე გავაგრძელებ "სონის" თემას: PSP-ს საუკეთესო თამაშად Grand Theft Auto: Chinatown Wars დაასახელეს.

Call of Duty-ს სერიების ბოლო ნაწილმა World at War-მა ერთდროულად ორი "ოქროს ჯოისტიკი" დაიმსახურა. იგი "წინტენდოსთვის" შექმნილ და საუკეთესო მრავალ-მომხმარებლიან თამაშად დაასახელეს. სხვათა შორის, ამავე სერიის კიდევ ერთი, ჯერ კიდევ რელიზის მოლოდინე Call of Duty: Modern Warfare 2 წლის ყველაზე სასურველ თამაშად დაასახელეს. მისი გამოსვლა მიმდინარე წლის 11 ნოემბერს იგეგმება და როგორც უკვე ამბობენ, დიდებული რამ იქნება. აქვე შეგახსენებთ, რომ შარშანდელი "ოქროს ჯოისტიკის" მფლობელი სწორედ აღნიშნული თამაშის წინა ნაწი-

ლი, ალბათ სერიის საუკეთესო Call of Duty: Modern Warfare გახდა.

Call of Duty სახელმა "ოქროს ჯოისტიკის" დაჯილდოების ცერემონიაზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა, როდესაც წლის საუკეთესო კომპანიის დასახელების დრო დადგა. აღმოჩნდა, რომ მომხმარებელს ყველაზე მეტად Activision Blizzard პროდუქტია მოსწონს (სწორედ ამ კომპანიის მიერაა შემუშავებული COD-ის სერიები, ასევე Doom, Quake, Guitar Hero, Diablo და სხვა).

"ოქროს ჯოისტიკს" კიდევ ერთი მთავარი ნომინაცია აქვს: საუკეთესო საიჯახო თამაში. დიდ სიურპრიზი არც აქ მომხდარა - წლის თამაშად ინტერაქტიული თავსატეხი Little Big Planet დაასახელეს. სამწუხაროდ, აღნიშნული შედეგები მხოლოდ "სონის" მომხმარებლებისთვისაა განკუთვნილი (არსებობს ვერსია PSP-სთვისაც), ამიტომ გეიმერებში ნაკლები პოპულარობით სარგებლობს. რაც შეეხება თამაშს, ეს არის პატარა ზღაპრული არსების თავგადასავალი გამოგონილ სამყაროში, რომლის მთლიანად მართვა, გადაკეთება და განვითარება მოთამაშეზეა დამოკიდებული. ერთი სიტყვით ნამდვილი სასწაულია!

შეგახსენებთ, რომ ბრიტანეთში სათამაშო ბიზნესის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი პრემია არსებობს. ბრიტანული კინოსა და სატელევიზიო ხელოვნების აკადემია BAFTA საკუთარი ფავორიტებს 1998 წლიდან ასახელებს. მისი რჩეულების ჩამონათვალს მხოლოდ მომავალი წლის თებერვალში ვიხილავთ.

# შეპლილი მაქსი ბრუნდება

## მელ გიბსონის საკულტო პერსონაჟს ტომ ჰარდი შეასრულებს

რამდენიმე წლის წინ ერთ-ერთმა ამერიკულმა კინოჟურნალმა გამოკითხვა ჩაატარა. მკითხველს მხოლოდ ერთ კითხვაზე უნდა ეპასუხა: "რომელ ფილმზე გიტყვიან?" შემოსული პასუხების დახარისხების შემდეგ შედგა ყველაზე "თვალცრემლიანი" ფილმების ათეული, რომელშიც "ქარნალებუნისა" და "მე ვარ სემის" გარდა, გაგიკვირდებათ და, "შეშლილი მაქსის" მესამე ნაწილიც მოხვდა. ერთი შეხედვით, ამ ფილმში არაფერია სატირული - ტიპური მძაფრსიუჟეტისანი ექვსეტი-როუდ მუვია, თუმცა თუ სამივე სერიას გაიხსენებთ და კარგად გაიაზრებთ მთავარი გმირის მთელ ტრაგიზმს, ნამდვილად აგეტირებათ.

ახლა კი ახალი ინფორმაცია ფილმის, უფრო სწორად კი ამ ცნობილი ფრანჩიზის შესახებ: "შეშლილი მაქსის" რეჟისორმა, ავსტრალიელმა ჯორჯ მილერმა ტრილოგიის გაგრძელება გადაწყვიტა. გადაღებები 2010 წელს დაიწყება, მთავარ როლს ანუ ყოფილ პოლიციელს, ახლა კი გზების მართვებზე მგელს კი ბრიტანელი მსახიობი ტომ ჰარდი შეასრულებს. შეიძლება ითქვას, რომ ჰარდის წინ ურთულესი მისია ელის, მან საკულტო პერსონაჟი ხელმეორედ უნდა შექმნას, რისთვისაც მელ გიბსონზე მაღლა უნდა ახტეს. ეს კი არც თუ ადვილია.

ტომ ჰარდი ახალგაზრდა მსახიობია და მის ფილმოგრაფიაში არც ისე ბევრ ცნობილ ფილმს შეხვდებით, თუმცა თავისი ვარსკვლავური როლი უკვე შესრულებული აქვს. შარშან ეკრანებზე დამოუკიდებელი ფილმი "ბრონსონი" გამოვიდა. ფილმი დღემდე პატიმრობაში მყოფ და უკვე ლეგენდად ქცეულ ჩარლზ ბრონსონზეა. თუმცა აქ ნუ დაიხნე-



ვით - საუბარია არა ცნობილ მსახიობზე, არამედ ბრიტანეთის ყველაზე პოპულარულ პატიმრად აღიარებულ ჩარლზ ბრონსონზე. მისი ნამდვილი სახელია მაიკლ პეტერსონი, რომელიც კრიმინალური "კარიერის" დაწყებამდე ბოქსით იყო გატა-

ციებული. მას შემდეგ რაც კრიმინალურ ცხოვრებას მიჰყო ხელი, შვიდჯერ იყო პატიმრობაში. თითქმის ყველა პატიმრობისას მასზე განსაკუთრებული მეთვალყურეობა იყო დაწესებული, რადგან ბრონსონი ძალიანობისა და სისასტიკისადმი

მიდრეკილი. ტომ ჰარდიმ ეკრანზე სწორედ მისი არანორმალური ბუნება გადმოიტანა, რასაც ნამდვილად არაჩვეულებრივად გაართვა თავი. ჰარდი ასევე გეხსომებათ გაი რიჩის "როკენროლადან", სადაც ლამაზმან ბობის თამაშობს.

მოკლედ ეს ყმანვილი მომავალი შეშლილი მაქსი, მაქს როკატანსკია, რომელსაც პარტნიორობას სავარაუდოდ შარლიზ ტერონი გაუწევს. ამ მსახიობთან მოლაპარაკება ჯერ კიდევ მიმდინარეობს და როგორც ჯორჯ მილერი ირწმუნება, აუცილებლად დაითანხმებს. სხვათა შორის, მილერს იმის მცდელობაც ჰქონდა, რომ ახალ ფილმში თუნდაც კამეოს სახით მელ გიბსონიც გამოჩენილიყო, თუმცა ამაოდ - მსახიობმა ჯერ კიდევ წლების წინ კატეგორიულად განაცხადა, რომ აღარასოდეს დაუბრუნდებოდა თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ კინოგმირს.

რაც შეეხება ლეგენდარულ ტრილოგიას, ჯორჯ მილერმა მისი პირველი ნაწილი ავსტრალიაში, სრულიად უცნობი მსახიობებით ჯერ კიდევ 1979 წელს გადაიღო. შეილება ითქვას, რომ ფილმმა ნამდვილი ფურორი მოახდინა, რადგან მყურებელს იმ პერიოდის კინოში უკვე პოპულარული როუდ მუვის ჟანრისთვის ახალი გადაწყვეტა შესთავაზა. მაქს როკატანსკის ისტორია გაურკვეველ მომავალში იწყება. ავსტრალიის სახელმწიფო პრაქტიკულად აღარ არსებობს, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოძალადეებადაა ქცეული. უზნეო ბაიკერების მიერ ცოლ-შვილის მკვლელობის შემდეგ კი მაქსი მათ წინააღმდეგ სრულიად მარტო იწყებს ბრძოლას. ფილმი იმდენად პოპულარული აღმოჩნდა, რომ მისით უკვე ამერიკელი პროდიუსერები დაინტერესდნენ, ამიტომ მეორე და მესამე ნაწილები მილერმა ჰოლივუდში გადაიღო. ფილმის მესამე ნაწილი 1985 წელს გამოვიდა და როგორც ჩანს, ამ ფრანჩიზის მიმართ ინტერესი ჯერ კიდევ იმდენად დიდია, რომ თითქმის 25 წლის შემდეგ მას კვლავ უბრუნდებიან.



# რუსიდან მიიზარინი - კულტურათა დიალოგის ეპიცენტრში

პირველი გვერდი

მაგრამ სტუმრად მხოლოდ "დაფიონი" როდი ჩამოვიდა. მას საქართველოში გამოყვანა სხვა ტრიოც - "ტინდრა". როგორც რუსუდანი და ინტერნეტ-საიტები გვაუწყებენ, "ტინდრას" სახით ნორვეგიაში საკმაოდ მეტად ცნობილ მუსიკოსებთან გვაქვს საქმი.

"ტინდრა" ნორვეგიულ ხალხურ და მასზე დაფუძნებით შემნილ ახალ მუსიკას ასრულებს. "დაფიონისა" და "ტინდრას" ერთობლივი კონცერტი აქამდე არსად გამართულა, თუმცა ორივე ტრიოს ვოკალისტები, ანუ რუსუდანი მეიფარინი და ოსილ ვეტრუსი, ერთმანეთს წლების წინ დაუკავშირდნენ. მათი დამეგობრების მიზეზი ქართული და ნორვეგიული ხალხური მუსიკის ერთმანეთისთვის გაცნობა გახლდათ. მაგრამ მანამდე...

სანამ ეს მეგობრობა დაიწყებოდა, ბევრი რამ იყო უკვე განვლილი და რაც მთავარია, დაწყებული. დაწყებული იყო რუსუდანის მუსიკალური კარიერა და კიდევ გაღვივებული იყო მისი, როგორც მუსიკოსის, მრავალმხრივი ინტერესები.

თბილისის კონსერვატორიაში სწავლა 1994 წლიდან დაიწყო, მანანა დოიჯაშვილის კლასში. უკვე მაშინ, ფორტეპიანოზე სწავლის დროს, სხვადასხვა მიმართულებებით ვიყავი გატაცებული, მაგალითად როკით. ეს იყო ჩემი მცდელობა, დამებლანსებინა კლასიკური განათლება. მაშინვე ძალიან მიინტერესებდა ჩრდილოეთი ქვეყნების კულტურები, განსაკუთრებით ირლანდიური, შვედური და ნორვეგიული.

**- როკი უფრო გასაგებია, მაგრამ ირლანდიურმა და შვედურმა მუსიკამ თქვენამდე აქ, თბილისში, როგორ მოაღწია?**

- მეგობარი მყავდა, ზურა ძაგნიძე, ის ერთ-ერთი როკ-ჯგუფში უკრავდა და თან კონსერვატორიაში სწავლობდა გიტარაზე. მოკლედ, ორივე კლასიკურ მუსიკას ვსწავლობდით, მაგრამ საერთო გატაცება გვექონდა. ზურა მამარაგებდა ჩანანერებით. როკი, ფოლკმუსიკა... ამას დაემთხვა ის, რომ იმ პერიოდისთვის ლესელიძეზე გაიხსნა ირლანდიური ბარი და იქ დავიწყეთ მუშაობა, ამიტომაც ძალიან ბევრ მუსიკალურ ასლს ვაკეთებდით.

სანამ წავიდოდი, იყო ყველაზე ინტენსიური ფაზა ჩემს ცხოვრებაში; საერთოდ ასე ხდება ხოლმე, ყველაზე ინტენსიური ფაზა მაშინ არის, როცა აღმოჩნდება ინტენსიურობა. მას შემდეგ, რაც ჩემთვის განსხვავებული მუსიკალური მიმართულებები აღმოვაჩინე, გაცილებით უფრო პიროვნული მიდგომა გამოჩნდა კლასიკური მუსიკის მიმართაც. ჩემი და, ნატალია მეიფარინი ასევე კონსერვატორიაში სწავლობდა, თუმცა მის დამთავრებამდე გადავიდა გერმანიაში. მე კი თბილისში დავამთავრე საფორტეპიანო მიმართულება და შემდეგ წავივი გერმანიაში. წავივი ორი მიზეზის გამო. იმიტომ რომ, იქ იყვნენ ჩემი და და სიძე, ასევე მუსიკოსები და მეორეც იმიტომ, რომ კომპოზიციის სწავლა მიწოდდა. მაინტერესებდა კომპოზიციის, როგორც ხელობის სწავლა. ჩემი მანსავლები იყო ძალიან საინტერესო ადამიანი - ვოლფგანგ გრიმი. მაგრამ ის ამ ხელობის შავ საქმეს ცოტას გვაკეთებინებდა, თუმცა საერთოდ დიდი ინსპირა-



ანა ალფონსონი

ციის, მოტივაციის პიროვნება იყო. საერთოდ გერმანიაში მუსიკისადმი ძალიან ინტელექტუალური მიდგომა დამხვდა. აქცენტს აკეთებდნენ მუსიკის კონცეპტუალურ აგებულებაზე, ფორმაზე, რაციონალურ სანყისზე, მუსიკის არქიტექტურაზე. მთავარი იყო საინტერესო მუსიკალური იდეები და იქ დღესაც ასეა. ამ იდეებს ხორცს უკვებ პარტიტურაში ასხამენ. მე კი ეს დამოკიდებულება მიკვირდა, ჩემთვის მუსიკაში ხომ უშუალობაა მთავარი.

**- თანამედროვე კლასიკური მუსიკა - მას არა მხოლოდ ჩვენთან, მგონი ყველგან რიცხოვრებდა მცირე მსმენელი ჰყავს. იქნებ ეს სწორედ ამ კონცეპტუალური მიდგომების ბრალია?**

- ყველგან ასეა, თითქოს მხოლოდ გარკვეული ინტელექტუალური საზოგადოება უსმენს ამ მუსიკას.

**- ანუ ცოტა სწორი იქნება?**

- შეიძლება. გააჩნია ვისთან, სად და როგორ. მაინც მგონია, რომ ეს მუსიკა სპეციალისტებს ესმით და მონონთ, ანდა მსმენელს, რომელსაც გარკვეული ბაზა აქვს იმისთვის, რომ ეს მუსიკა გაიგოს და მოისმინოს.

**- დაუბრუნდეთ თქვენს ჩასვლას გერმანიაში...**

- ორად ვყოფ იმ პერიოდს. თავიდან დაიწყო კომპოზიციის სწავლა, თუმცა მაინც არ ვიყავი კმაყოფილი. როკმუსიკა და ჩემი ძიებები შეწყდა. ვუსმენდი და ვასრულებდი მხოლოდ კლასიკურ თანამედროვე მუსიკას. დანარჩენმა ყველაფერმა მეორე პლანზე გადაინაცვლა. მაგრამ ყველაზე საინტერესო იმ პერიოდში იყო ის, რომ მყავდა კიდევ ერთი მასწავლებელი, რომელიც ნახევრად ინდოელი იყო და ერკვეოდა ყველა კუთხისა და ეთნოსის ტრადიციულ მუსიკაში. ჩვენც გვამუშავებდა ამ მიმართულებით. მაშინ მისი დახმარებით სხვადასხვა ერების მუსიკას კარგად გავეცანი. მერე გაჩნდა შესაძლებლობა, რომ ერთი წელი, გაცილებით პროგრამის ფარგლებში, სადმე, სხვა ქვეყანაში მესწავლა. და აი, კარლსრუეს კონსერვატორიიდან ოსლოში გადავედი. ნორვეგია უკვე ძალიან მაინტერესებდა და ამიტომაც ამოვარჩიე ოსლო. იქ სულ სხვა ატმოსფერო დამხვდა. იქ კლასიკისა და ჯაზის გარდა კონსერვატორიაში ხალხური მუსიკაც ისწავლებოდა და თანაც მაღალ დონეზე.

**- რამდენადაც ვიცი, ნორვეგიაში განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვთ ხალხური კულტურისადმი.**

- მართლაც განსაკუთრებული, უმაღლეს დონეზე აქვთ აყვანილი თავისი ტრადიციული ხელოვნება. ნორვეგიული მუსიკაცოტა ირლანდიურს ვაგვს. განსაკუთრებით სიმღერის მანერა. ჩვენთან ირლანდიური უფრო ცნობილია, როგორც მუსიკა, ისე ზოგადად კულტურა, ნორვეგიული - ნაკლებად. ოსლოში კიდევ ის იყო საინტერესო, რომ ფაკულტეტები ერთმანეთისგან ძალიან გამოყოფილი არ იყო. სხვადასხვა მიმართულების მუსიკოსები ბევრს ვმუშაობდით ერთად. ყველაფრის მოსინჯვა შეიძლებოდა. სისტემა ისეთი, რომ ყველაფერი დაინტერესება და ყველაფრის გაცნობა შეიძლება. სიმართლე გითხრათ, ოსლოში თავისუფლად ვსუნთქავდი. თითქოს იქაურმა გარემომ სტიმული მომცა, ისევე გამეგრძელებინა მუსიკის წერა და სიმღერაც კი - ის, რაც მანამდე, გერმანიაში შევწყვიტე. ნორვეგიაში თავიდან აღმოვაჩინე ის, რაც თბილისში მქონდა, თუმცა უკვე სხვა საფეხურზე ვიყავი.

**- და ამ ყველაფრის შემდეგ მოხდა ისე, რომ დაც აამღერეთ?**

- ბოლო-ბოლო დაც ავამღერე. თუმცა პირველად ოსლოში იმ ნორვეგიელთან ერთად ვიმღერე, რომელიც დავს ტრიო "ტინდრას" ვოკალისტი. მაშინ ჩვენ ორნი კონტრაბასის, საყვირისა და დასარტყამი ინსტრუმენტების თანხლებით ფოლკისა და როკის ნაზავს ვქმნიდით. წელნულა კი "დაფიონის" რეპერტუარში, რომელიც მანამდე მხოლოდ კლასიკის წარმოადგენდა, ჩემი ნაწარმოებებიც შევიდა. თავიდან ევროპაში იმით დავიწყე, რომ კონცერტების გარდა კონკურსებზეც ვაგვიდოდით, როგორც კლასიკური მუსიკის შემსრულებლები. კლასიკური მუსიკის რეპერტუარს "დაფიონი" დღესაც აქტიურად ასრულებს. მაგრამ თავის დროზე ჯერ იყო კამერული მუსიკის კონკურსები - ესპანეთი, იტალია. გავიმარჯვე კომპოზიციის რამდენიმე კონკურსში. როდესაც სიმღერების წერა დაიწყე, ოსლოში სიმღერების კონკურსებშიც ვიმარჯვებდი. "დაფიონის" პროგრამასაც უკვე სხვანაირად ვგვამავდით. როცა კლასიკური მუსიკის კონცერტი გვქონდა, ბოლოს ჩემს პირად ნაწარმოებებს ვასრულებდით. შემდეგ წელ-წელა შეიცვალა ყველაფერი. უკვე კონკრეტულად ჩემი ნაწარმოებების კონცერტების ჩატარებას მთავაზობდნენ. კონკურსში, რომელშიც "შინ"-თან ერთად გავიმარჯვეთ, ჩემი ნაწარმოებები მქონდა გაცნობილი.

რად ნაწარმოებებს ვასრულებდით. შემდეგ წელ-წელა შეიცვალა ყველაფერი. უკვე კონკრეტულად ჩემი ნაწარმოებების კონცერტების ჩატარებას მთავაზობდნენ. კონკურსში, რომელშიც "შინ"-თან ერთად გავიმარჯვეთ, ჩემი ნაწარმოებები მქონდა გაცნობილი.

**- როდესაც თქვენს მუსიკას ვუსმენთ, იქმნება შთაბეჭდილება, რომ დიდ როლს ანიჭებთ იმპროვიზაციას. თუმცა პროფესიონალების იმპროვიზაციაც ყოველთვის კარგად გააზრებული სფეროა. როგორ ხდება თქვენს შემთხვევაში, როგორ წერთ თქვენს სიმღერებს, რომელსაც გერმანული და ნორვეგიული კრიტიკა არქაული მუსიკის ახალ სიცოცხლედ მიიზრებს?**

- რაც კონცერტებზე გამომაქვს, უკვე საკმაოდ მყარი და ჩამოყალიბებულია. იმპროვიზაციას თავიდან აქვს დიდი როლი, როცა ვარ მარტო და როცა ვინცეებ წერას. თავიდან დაგროვილი იდეებს და თემებს იმპროვიზაციის წესით ვალაგებ. მერე ყალიბდება ფორმა, მთავარი და მეორეხარისხოვანი. ყველაზე კარგად ჩემი ხმა მაგრძნობინებს, რა მასალა არის ზედმეტი და რა - მთავარი. როგორ უნდა დავალაგო ეს ყველაფერი, რა უნდა ჩამოვამოშო. წელ-წელა ფორმის ორგანული შეგრძნება ჩნდება, მოკლედ, როგორც ლექსი. როგორც რალაის ესენცია და მერე რედუცირებული. რა თქმა უნდა, როცა ასრულებ, სადაც რალაც თავისუფლება მაინც არის. მაგრამ ეს ნიუანსების დონეზეა. სხვებთან მუშაობაც ძალიან საინტერესოა. მე მიმაქვს ნატასთან და ვიგასთან იდეა და ისინი თავისას ამატებენ, ისინი ხომ თავიანთ ინსტრუმენტებს გაცილებით კარგად იცნობენ. ანუ ისე არ არის, რომ მე ვწერ და მათ დანერის ვაძლევ ყველაფერს. ერთად ვქმნით და ვხვებით...

**P.S. 4 ნოემბერს "დაფიონისა" და "ტინდრას" საქართველოს ეროვნული მუსიკალური ცენტრი მასპინძლობს. ცენტრის ხელმძღვანელობს მოხარულია, რომ თბილისელ მსმენელს სრულიად განსხვავებულ და საინტერესო საღამოს შესთავაზებენ. კონცერტი 19 საათზე დაიწყება. ქართულ-ნორვეგიული კულტურათა დიალოგის თბილისის კონცერტის შემდეგ თელავში, ქუთაისსა და ბათუმში გაგრძელდება.**



3 ნოემბერი

თეატრი

**მარჯანიშვილის თეატრი**

"ქვრივები"  
რეჟისორი მალხაზ ასლამაზიშვილი  
დასაწყისი: 20:00

**თუმანიშვილის თეატრი**

პროექტი "ART ექსპერიმენტები" -  
პერფორმანსი "ნამი წვიმაში";  
თამთა აბდლაძის ლექსებისა და  
მინიატურების მიხედვით  
დასაწყისი: 19:00

**პანტომიმის თეატრი**

"წმინდა გიორგი"  
დასაწყისი: 19:00

კინო

**რუსთაველი**

"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"  
დასაწყისი: 12.00; 14.00; 16.00; 18.00; 20.00;

"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"  
დასაწყისი: 13.00; 15.00; 17.00; 19.00; 21.30

"თბილისური Love Story"  
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15; 20.15;  
22.00; 22.15

"კოკო შანელი"  
დასაწყისი: 12.00; 14.30; 17.00; 19.30; 22.00

"გალმა ნაპირი"  
დასაწყისი: 12.30; 14.30; 16.30; 18.30; 20.30;  
22.15

**ამირანი**

"გემრიელი ღრუბლები და მარმელადის წვიმა"  
დასაწყისი: 12.15; 14.15; 16.15; 18.15;

"ნაზარის უკანასკნელი ლოცვა"  
დასაწყისი: 19.00; 20.30

"თბილისური Love Story"  
დასაწყისი: 20.15; 22.15

"გალმა ნაპირი"  
დასაწყისი: 17:00;

"ყველაფერი კარგად იქნება"  
დასაწყისი: 13:00; 15:00;

**საქართველო**

"მომღერალი თახვები"

დასაწყისი: 13:00

"ღამე მუზეუმში 2"

დასაწყისი: 15:00

"თბილისური Love Story"

დასაწყისი: 17:00

"ცამეტი"

დასაწყისი: 19:00

"ყველაფერი კარგად იქნება"

დასაწყისი: 21:00

გამოფენა

**გალერეა "ვერნისაჟი"**

გამოფენა და წიგნის პრეზენტაცია -  
თენგიზ მირზაშვილი

**არტ გალერეა "ლაინი"**

ქართველი ხმატურების მუდმივმოქმედი  
ექსპოზიცია

**გალერეა "შარდენი"**

ვახტანგ (ტატო) ახალკაციშვილის  
პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**აკადემია +**

სამხატვრო აკადემიის ფერწერის  
ფაკულტეტის სტუდენტების  
ჯგუფური გამოფენა - ფერწერა  
(შარდენის 19)



## სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად

სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აცხადებს ღია კონკურსს 2009 წლიდან 4 წლის ვადით შემდეგ მიმართულებებზე და თანამდებობებზე ისტორიის განყოფილება

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 3 საშტატო ერთეული;
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
4. მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;
5. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;

### არქეოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის განყოფილება

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული;
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
5. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
6. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;

### ეთნოლოგიისა და კულტურული ანთროპოლოგიის განყოფილება

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 4 საშტატო ერთეული;
3. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
4. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
5. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;

### ფოლკლორისა და ლინგვისტიკის განყოფილება

1. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული;
3. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
4. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
5. მეცნიერი თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული;
6. მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;

### ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა განყოფილება

1. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 2 საშტატო ერთეული;
2. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის 0,5 საშტატო ერთეული;
3. მეცნიერი თანამშრომლის 1 საშტატო ერთეული;

### განცხადებების მიღების და კონკურსის ჩატარების ვადები:

კონკურსში მონაწილეობის მსურველთათვის დამატებითი ინფორმაციის გაცემა (მათ შორის საკონკურსო ადგილების რაოდენობა და სხვა) და განცხადებების მიღება იწარმოებს საპროცედურო კომისიების მიერ **2009 წლის 12 ნოემბრიდან 10 დეკემბრის ჩათვლით**, ყოველ დღე (დასვენებისა და უქმე დღეების გარდა), 10:00 საათიდან 16:00 საათამდე.

**სამეცნიერო თანამდებობების დაკავების ღია კონკურსი ჩატარდება 2009 წლის 26 დეკემბერს.**

შედეგები გამოქვეყნდება კონკურსის ჩატარებიდან მესამე დღეს შესაბამისი საკონკურსო კომისიის საინფორმაციო დაფასა და ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: [www.nbi.ge](http://www.nbi.ge)

### საკონკურსო პირობები:

#### კონკურსის ძირითადი პირობებია:

- ა. მთავარი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 3 წლის მუშაობის სტაჟი.
  - ბ. უფროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ იგი არის დოქტორანტი (ასპირანტი) ან აქვს დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 2 წლის მუშაობის სტაჟი.
  - გ. მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობის დაკავება შეუძლია პირს, თუ მას აქვს მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული ხარისხი და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში მუშაობის არანაკლებ 1 წლის მუშაობის სტაჟი.
- კონკურსში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი სახის დოკუმენტები:**
- ა. განცხადება საშტატო ერთეულის მითითებით.
  - ბ. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
  - გ. კალენდარული ავტობიოგრაფია (CV) მასში წარმოდგენილი ინფორმაციის დამადასტურებელი საბუთები.
  - დ. შესაბამისი სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი.
  - ე. ბოლო 5 წლის განმავლობაში გამოქვეყნებულ სამეცნიერო ნაშრომების (მონოგრაფიები, სტატიები) ჩამონათვალი.
  - ვ. ერთი სამეცნიერო ნაშრომის (სტატიის) ასლი, რომელიც გამცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს (კვლევის უნარს).
  - ზ. სამეცნიერო თანამდებობების დასაკავებლად სამეცნიერო მიმართულების შესაბამის განყოფილებაში 4 წლიანი გაშლილი სამოქმედო გეგმა კვარტალური ანგარიშების მითითებით: ყოველ კვარტალურად დაგეგმილი საქმიანობა, დაგეგმილი შედეგები, შედეგის ამსახველი მასალები და გამოცემები, რაც კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში მისი შრომითი ხელშეკრულების საფუძველი იქნება.
  - თ. სამეცნიერო გრანტებისა და საერთაშორისო თემატიკაში მონაწილეობის ჩამონათვალი.
  - ი. პატენტები.
  - კ. მონაწილეობა სიმპოზიუმებში, კონფერენციებში.
  - ლ. კვლევისათვის სახსრების მოძიებისა და კვლევითი სამუშაოების ორგანიზების გამოცდილება.

### IV. კონკურსის ჩატარების წესი

- 4.1. კონკურსი ჩატარდება სსიპ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა და სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული ღია კონკურსის ჩატარების დებულების შესაბამისად, რომლებსაც კონკურსანტი გაეცნობა საკონკურსო კომისიებში და ინსტიტუტის ვებ-გვერდზე.

### ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის დირექცია

## საკონკურსო განცხადება

1. შპს "საქართველოს ფოსტა" აცხადებს ღია კონკურს აუდიტორულ მომსახურებაზე ძირითადი საშუალებების ბალანსიდან ჩამოწერაზე ქ. თბილისსა და 59 რაიონულ ფილიალში.  
კონკურსში გამარჯვებულკი გამოვლინდება **შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად**, დაფინანსების წყარო ორგანიზაციის შემოსავლები.
2. საკონკურსო პირობების გაცნობა შესაძლებელი იქნება 2009 წლის 03 ნოემბრიდან 10 ნოემბრამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2, შპს "საქართველოს ფოსტა". საკონკურსო დოკუმენტაცია შედგენილი იქნება ქართულ ენაზე.
3. განცხადება კონკურსში მონაწილეობაზე მიიღება 2009 წლის 11 ნოემბრამდე 17:00 სთ-მდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, ვაგზლის მოედანი №2.
4. კონკურსში მონაწილეობის მსურველმა ფიზიკურმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
  - 4.1. კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცემული აუდიტორული საქმიანობის ლიცენზია.
  - 4.2. განაცხადი რომელშიც აისახება კონკურსანტის თანხმობა და გამოცხადებული საკონკურსო პირობების შესრულების შესახებ ინფორმაცია.
  - 4.3. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი.
5. იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს:
  - 5.1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
  - 5.2. სანოტარო წესით დამოწმებული მინდობილობა, თუ კონკურსში მონაწილეობენ სხვა პირის სახელით.

6. როგორც ფიზიკურმა ასევე იურიდიულმა პირმა უნდა წარმოადგინოს: ანალოგიური მომსახურების გაწევის მინიმუმ 2 წლიანი გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი.
7. კონკურსანტთა მიერ წარმოდგენილი წინადადებები გაიხსნება 2009 წლის 12 ნოემბერს 16:00 სთ-ზე. კონკურსანტებს თვითონ ან/და წარმომადგენლის მეშვეობით აქვთ უფლება დაესწონ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გახსნას და კონკურსის ჩატარების მიმდინარეობას.
8. გამარჯვებულს გამოავლენს **დირექტორატი და სამეთვალყურეო საბჭო, რომელიც აისახება სხდომის ოქმში.**

№	შეფასების კრიტერიუმები	პრიორიტეტულობის კოეფიციენტი
1	შესრულებული მომსახურების ხარისხი	0.6
2	მომსახურების შესრულების ვადა	0.4
		1.0

9. დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს სუბილით მიიღონ შპს "საქართველოს ფოსტის" საფინანსო-ეკონომიკურ სამსახურში შემდეგ ნომერზე ტელ: 91 05 89 საკონტაქტო პირი თენგიზ გაბოშვილი.



# სპორტი

## კუპერის

### "გადის პრესკონფერენცია"

ინხილ აბიგვილი

სრული იმედგაცრუება - სხვაგვარად ნამდვილად ვერ შევაფასებ პრესკონფერენციას, რომელიც გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფისში საქართველოს ეროვნული ნაკრების ჯერ კიდევ მთავარმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა ჩაატარა. არგენტინელმა სპეციალისტმა ერთი შეხედვით ღიად ისაუბრა ეროვნულ ნაკრებში არსებულ ვითარებასა და პრობლემებზე, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით. რეალურად არც ერთ მწვრთნელს შეეძლება კუპერს პასუხი არ გაუცია და მისი გულახდილობა მხოლოდ მოჩვენებითი გამოდგა. მოლიმარი კუპერი (რატომაც არა - ბოლო ერთ წელიწადში მისი პირადი ბიუჯეტი მილიონ ევროზე მეტით გაიზარდა) სიამოვნებით პასუხობდა ყველა შეკითხვას, მაგრამ როცა საქმე მიდიოდა გვარების დასახელებამდე, ხელშემშლელ კონკრეტულ მიზეზებამდე, არგენტინელი მამწვრთნელმა ფრაზებზე გადადიოდა.

როგორც აღმოჩნდა, ექტორ რაულ კუპერს მხოლოდ ბოლო მატჩში გასცრუებია იმედი, მანამდე ყველაფერი მეტ-ნაკლებად კარგად (?) ყოფილა.

ვერაფრით ავხსნი, თუ რა მოხდა ბულგარეთთან მატჩში. სოფიამდე ჩატარებულ ყველა შეხვედრაში მეტ-ნაკლებად წარმატებულად ვითამაშობდით. არ ვგულისხმობ შედეგს, რომელიც, სამწუხაროდ, მკვეთრად არადაამაკმაყოფილებულია. საუბარია თამაშის ხარისხზე, რომელიც, ჩემი აზრით, მატჩიდან მატჩამდე პროგრესირებდა. მატჩამდე მიცემულ მითითებებს ფეხბურთელები, ასე თუ ისე, თავს ართმევდნენ. ამის შედეგია ის, რომ ბულგარეთამდე არც ერთ შესარჩევ მატჩში ორ გოლზე მეტი არ გაგვიშვია. ბულგარეთთან კი მთელი სათამაშო სექსმა მოიპოვა - პირველივე ტაიმში ექვსი გოლი მივიღეთ. ამას ახსნას ვერ ვუძებნი. ეს ერთადერთი თამაში იყო, როცა წყობიდან გამოვედი და ფეხბურთელებზე ძალიან გავბრაზდი. ყველა სხვა შემთხვევაში განსაკუთრებით დასამღერო არ მაქვს", - თქვა კუპერმა.

წინდანი კარგად იყო ცნობილი, რომ არგენტინელისა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ერთობლივი თანაცხოვრება ძალიან მალე დასრულდებოდა და ახალი ხელმძღვანელობა კუპერის შემცვლელს უკვე ეძებდა. ეს არც ნაკრების ყოფილმა თავკაცმა უარყო.

"საქართველოს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის რანგში ეს ჩემი ბოლო პრესკონფერენციაა. ფედერაციის ახალ პრეზიდენტს უკვე შევხვდი და გარკვეულ სა-



კუპერი მიდის.

კითხვებზე ვისაუბრეთ. კონტრაქტის განახლებაზე საუბარი არ ყოფილა. ამის სურვილი რომ არსებობდეს კიდევ, პირადად მე ამას სწორ ნაბიჯად ვერ ჩავთვლიდი. საქართველოს ნაკრებს სჭირდება ახალი მთავარი მწვრთნელი, რომელიც ახლებური ხედვით, ახალი ფურცლიდან დაიწყებს საქმიანობას და გუნდს წარუმატებლობებს დაავინწყებს. უდიდესი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ ახალ მწვრთნელს რა მიზანს დაუსახავენ. ფინალურ ეტაპზე გასვლის მოთხოვნა აბსურდულად მიმაჩნია. ახალი მწვრთნელის უმთავრესი მიზანი უნდა იყოს ბრძოლისუნარიანი და კონკურენტუნარიანი გუნდის ჩამოყალიბება, რომელიც ფსიქოლოგიურ მდგრადობას მიაღწევს და ნებისმიერ მეტოქესთან თანაბარ დონეზე ვითამაშებს. უნდა გამოსწორდეს ძველი შეცდომები, რაშიც ახალ მწვრთნელს

მეც დავხმარები", - აღნიშნა კუპერმა.

ქართული სპორტული მედიის მხრიდან ბევრი შეკითხვა დაისვა კუპერის სასელექციო პოლიტიკასთან დაკავშირებით. დასახელდა გვარები, რომლებიც რატომღაც ვერ ხვდებოდნენ ნაკრებში, არადა, მათი სათამაშო კლასი თითქოს ეჭვს არ იწვევდა. მაგალითად სალუქვამის დასახელება კმარა, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაში ფანტასტიკური მატჩები ჩაატარა ჯერ მილანის "ინტერის", შემდეგ "ბარსელონას" წინააღმდეგ, მაგრამ კუპერის ყურადღება მინც ვერ დაიმსახურა. შეიძლება საუბარი ასათიანზე, ამისულაშვილზე, შამიაშვილზე და სხვებზეც.

"ამ საკითხებთან დაკავშირებით მე ჩემი ხედვა მაქვს და სულაც არ ვფიქრობ, რომ სასელექციო პოლიტიკაში შეცდომა დავეუშვი. ყველა კონკრეტულ

სიტუაციაში ვიძახებდი იმ ფეხბურთელს, რომელიც, ჩემი აზრით, ოპტიმალურ სპორტულ ფორმაში იყო და სხვებს სჯობდა", - განმარტა არგენტინელმა.

სხვათა შორის, ბულგარეთთან მატჩის შემდეგ კუპერმა გალიზიანებულმა განაცხადა, რომ იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც კლასი ხელს უწყობთ, მონდომება აკლიათ, ხოლო ისინი, რომლებიც მონდომებული არიან, სპორტული ოსტატობის დეფიციტს განიცდიან, თუმცა, კონკრეტული გვარები არც ამჯერად დაუსახელებია.

"ამ სიტყვებს არ უარყოფ, თუმცა, რომელიმე კონკრეტული ფეხბურთელი მხედველობაში არ მყოფია. უბრალოდ, ზოგად ტენდენციას ვაგუუსვი ხაზი. თუმცა, არის გარკვეული ინტიმური საკითხები, რომლებზეც საუბარი და საჯაროდ განხილვა გამართლებულად არ მიმაჩნია. ფედერაციის ახალ პრეზიდენტს რომ შევხვდები, ამ საკითხზე კონკრეტულად მაშინ ვისაუბრებ", - განაცხადა კუპერმა.

ექტორ რაულ კუპერს და მის თანამემამულე თანამშენებლებს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი 2009 წლის 31 დეკემბერს ეწურებათ. ეს იმას ნიშნავს, რომ ფედერაციის ახალი მენეჯმენტი მხოლოდ მომავალი წლიდან შეძლებს ნაკრებში ცვლილებების განხორციელებას, რაც ზვიად სიჭინავამაც დაადასტურა.

"კონტრაქტის ვადა წლის ბოლოს იწურება და არ მინდა, რომ ის ცალმხრივად განყდეს. ასეთ შემთხვევაში ფედერაციას საჯარო თანხის გადახდა მოუწევს. ჩვენ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ნაკისრ ვალდებულებებს ბოლომდე პირნათლად შევასრულებთ და იურიდიული თვალსაზრისით მხოლოდ ამის შემდეგ დადგება დღის წესრიგში ახალი მთავარი მწვრთნელის საკითხი. მეორე მხრივ, ფედერაცია გულხელდაკრეფილი არ ზის და ყველა მიმართულებით აგრძელებს მუშაობას", - განაცხადა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა.

"მე მთავარი მწვრთნელის პოსტზე აღარ დავრჩები და სულაც არ მინდა, წარუმატებლობებზე პასუხისმგებლობა მოვიხსნა. ჩემთვის ფინანსური საკითხი არასდროს არ ყოფილა გადამწყვეტი და ეს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასთან თანამშრომლობასაც ეხება. უახლოეს დღეებში შევხვდები ფედერაციის ხელმძღვანელობას და ყველა საკითხს ერთად გავარკვევთ", - მიანიშნა კუპერმა, რომ შესაძლოა, კონტრაქტის შეწყვეტზე თანხმობა განაცხადოს, რაც, მისი მხრიდან, გამართლებული საქციელი იქნება.



დავით კოჭირიძის სპიტი

## შარიკოვთა სპარტაკიდა

- სპარტაკი რომელია?  
- მე ვარ სპარტაკი!  
- არა, მე ვარ სპარტაკი!  
- როგორ გეკადრება, გენაცვალე, სპარტაკი მე ვარ!  
თვალცრემლიანი გამოვდიოდი კინო "გაზაფხულიდან" ამ გრანდიოზული სცენის შემდეგ. იქით კირკ დუგლასი იღვრებოდა ცრემლად მეგობარი გლადიატორების ვაჟკაცობის გამო, აქეთ - ჩვენ. ეს ფილმი პირველად რომ ვნახე, ზედიზედ სამი დღის განმავლობაში დავდიოდი კიდევ საყურებლად, ტროლეიბუსის ფანჯარაზე გულისფანცქალით ვიყავი აკრული და შეშინოდა, აფიშაზე მწვანე საღებავით სხვა წარწერა არ დამხვედროდა, მაგალითად, "ვინ ვინ არის", ან "სამნი უნდა მოვიშოროთ".

მესამედ ნახვის შემდეგ ეზოში რომ დავბრუნდი, ბავშვები შევკრიბე და ვუთხარი: აღარ გვიანდა ეს ფეხბურთი, ომობანა და "კრუგოი ლაფტა". მოდი, სპარტაკობანა ვითამაშოთ. ვითამაშოთო. მაგრამ ვერ ვითამაშეთ. ყველას სპარტაკობა უნდოდა და ჩაიშალა ამბავი.

ეს ფილმი მას შემდეგ აღარც მინახავს, მაგრამ, რაც დრო გადის, სულ უფრო ხშირად მახსენდება ის ბოლო სცენა. მახსენდება იმიტომ, რომ გარშემო ყველა სპარტაკობაზე იქაჩება, ოღონდ, როგორც ჩვენს სასიყვარულო ტელეურნალებს იტყვიან, "აფსოლიტურად განსხვავებულ რეჟიმში".

უკვე ყოველდღე, ყოველ წამს, ყველგან ისმის:  
- მე ვარ სპარტაკი!  
- არა, მე ვარ სპარტაკი!  
- როგორ გეკადრება, გენაცვალე, სპარტაკი მე ვარ!  
თუმცა აქ "პატარა" განსხვავებაა - ეს ადამიანები, ძირითადად, პოლიტიკაზე მინებულნი ნურბრები, სულ სხვა დატვირთვით ამბობენ ამას. ისინი თავს კი არ ნორავენ, არამედ თავს იქებენ. ისინიც გლადიატორებივით სპარტაკობას იბრალებენ, ოღონდ ეს მათ, ხიფათს კი არა, კეთილდღეობას ჰპირდებიან. საკმარისია სპარტაკობა ოდნავ საშიში გახდეს, რომ შეძახილები მომენტალურად შეიცვლება:  
- ესაა სპარტაკი!  
- არა, ეს კი არა, აი, ესაა!  
- როგორ გეკადრებათ, ბატონო ჩემო, სპარტაკები არიან ყველანი!

ანუ ჩვენს ცხოვრებაში ორნაირი სპარტაკი არსებობს - ცული და კარგია. უფრო სწორად, სპარტაკი ერთია, მაგრამ ის ხან კარგია და ხანაც - უვარგისი. გააჩნია სიტუაციის. რადგან სპარტაკზე ამდენს ვლაპარაკობ, ფეხბურთის გვერდს ვერ ავუვლი და იმ მზავს ვავიხსენებ, თუ როგორ გადაიქცა ადრე კარგი სპარტაკი კალაქი ერთ წამში საძაველ სპარტაკად.

ფეხბურთში ყველაფერი მომხდარა, შესანიშნავიც, სასწაულიც, ისიც, რაც კალაქს შეემთხვა და ბევრად უარესიც. მოედანზე ადამიანები დალუპულან, "მარაკანაზე", შუა თამაშისას, ქალმა იმპობიარა პირდაპირ ტრიბუნაზე, ბრაზილიაშივე უსინათლო გულშემატკივარი მაინც დადიოდა ფეხბურთზე ამ ზღაპრული ემოციების აღსაქმელად, ფეხბურთის გამო ომები გაჩერებულა რამდენიმე დღით და ასე შემდეგ, მაგრამ მსოფლიოს არც ერთ წერტილში არასდროს არ მომხდარა მსგავსი რამ ტრიბუნებზე, არსად არასდროს არ უგინებიათ სპორტსმენი, რომელსაც ნამდვილი ტრაკედია შეემთხვა.

არც ის გამიგია არასდროს, საკუთარი ქვეყნის ნაკრების თამაშზე ასობით ადამიანი მიდიოდას მონინალდმდევის ფორმით და დროებით.

სტალინი ემოციების აკუმულატორია, იქ გროვდება გარემოს ენერგეტიკა და ორი საათის განმავლობაში შეზღუდულ სივრცეში იფრქვევა. ესაა სარკე, რომელშიც იდეალური გამოსახულებით ჩანს, თუ რა ხდება მის მიღმა. ამიტომ სულაც არ გამკვირვებია ის, რომ კალაქი კინალამ დახვრიტეს იქ, სადაც რამდენიმე თვის წინ პოლიტიკურ-რელიგიური ტრაგიკომედია გათამაშდა და სპეტაკი მესია ხელში ატაცებული არბენინეს.

სიბნელისა და ფარისევლობის სპარტაკიდა დღეს ისეა გახურებული, როგორც არასდროს. მასში მონანილოებენ: პროვინციალიზმი, სიყალბე, ძვირად ღირებული ქაჯური პიარი, ვახვინითი ალხეველ შარიკოვთა მთელი დინასტია, ანაფორაში დამალული სიბინძურე, ჯიბებში დამალული კომპლექსები, მასმედიიდან მჩქეფარე კლასიკური პორნოგრაფია... რაღა გააჩერებს ამდენ არასწორ დინებას?

შეწყვიტოთ გმირების, ვითომ გმირებისა და ანტიგმირების ძებნა და ამ კითხვის პასუხი ვიპოვოთ, თორემ ნავგლექს სპარტაკ შარიკოვებმა და ევაა.

მომავალ სამშობაობამდე



# "ქორაბის" კალიფორნიული მარცხი

NBA-ს რეგულარული სეზონის მესამე მატჩი "ატლანტა ჰოვსსმა" სტუმრად კალიფორნიისა და ზედიზედ ორი მოგებული საშინაო მატჩის შემდეგ პირველი მარცხი იწვინა. თუმცა, ატლანტელთა ქართველი ცენტრისთვის ეს მატჩი გაცილებით შედეგიანი იყო, ვიდრე წინა ორი.

"ლეიკერსისა" და "ჰოვსის" დაპირისპირება ფაქტობრივად კობი ბრაიანტმა მოიგო, რომელმაც მატჩი 41 ქულით დაასრულა. კალიფორნიელთა ჯორჯიელი მეტოქე მატჩის მეოთხე მეოთხედის წყალობით დაამარცხეს, რომელიც 6-ქულიანი უპირატესობით მოიგეს, მთლიანობაში კი შეხვედრა მასპინძელთა გამარჯვებით - 118:110 დასრულდა.

ზაზა ფაჩულაძემ მოედანზე 16 წუთი დაჰყო. ქართველმა 7-დან ოთხი ტყორცნა ზუსტად შეასრულა და მატჩი 8 ქულითა და 3 მოხსნით დაასრულა. აქამდე ბრწყინვალედ მოთამაშე ალ ჰარფორდმა კი თამა-

ში ჩააგდო. ატლანტელთა ძირითადმა ცენტრმა 32 წუთში მხოლოდ 6 ქულა შემატა თავისი გუნდის აქტივს და 9-ჯერ მოხსნა ფარიდან ბურთი.

წარმატებული გამოდგა მორიგი ტურის მატჩები ევროპაში მოთამაშე ქართველებისთვის. იტალიაში მოიგეს სანიკიძემ და მარკოიშვილმა. "მანუს" "კანტუმ" პეზაროში "სკავოლინის" 75:60 სძლია. მარკოიშვილი "კანტუს" სასტარტო ხუთეულში არ გამოჩენილა, თუმცა ამას ხელი არ შეუშლია ქართველისთვის. ჩვენებურმა მოედანზე 29 წუთი გაატარა და გუნდს 7 ქულა, 4 მოხსნა და 1 ჩაჭრა შეაშველა.

სანიკიძის "ვირტუსმა" კი ტერამოში "ბანკა ტერკასი" 69:66 დაამარცხა. ისევე როგორც მარკოიშვილმა, ვიკამაც 7 ქულა შესძინა გუნდს (არც მას უთამაშია თავისი გუნდის სასტარტო ხუთეულში).

საბერძნეთის ჩემპიონატში მორიგი გამარჯვება იზეიმა გიორგი



ფაჩულაძის სლემ დანკი

შერმადინის "პანათინაიკოსმა". ათენელებმა "პანელინოსი" 84:63 დაამარცხეს. ქართველმა ცენტრმა 12 წუთში 3 ქულა და 3 მოხსნა მოაგროვა.

ევანეთის ჩემპიონატში წარმატებით თამაშობს ტაირონ ელისის "კასასოლი". საქართველოს ნაკრების ამერიკელი უკანახაზელის გუნდმა აუტსაიდერ "უნიკასასთან" მატჩში 63:61 გაიმარჯვა, ელისმა კი სასტარტო ხუთეულში ითამაშა და 28 წუთში 12 ქულა, 1 მოხსნა და 1 პასი მიითვალა.

მე-3 გამარჯვება მოიპოვა ადრიატიკის ლიგაში ვლადიმერ ბოსას "ზადარმა". ხორვატიულმა კლუბმა ბელგრადის "პარტიზანთან" მატჩში 77:66 გაიმარჯვა და 14-გუნდიან ლიგაში მე-4 პოზიციაზე გადაინაცვლა.

გოვამ ზადარელთა სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო ასპარეზობა და 30 წუთში 8 ქულა, 3 მოხსნა და 1 ჩაჭრა მოაგროვა.

# ქართული გოლბი რუსულ პრემიერლიგაში

გასულ უქმეებზე უცხოეთში მოთამაშე ქართველი ფეხბურთელების მონაგარზე საუბარს ამჯერადაც რუსული პრემიერლიგით დაივწყებთ, სადაც ჩვენებური ფეხბურთელები წარმატებულად გამოდიან. ჯანო ანანიძის "სპარტაკი" საჩემპიონო რბოლას აგრძელებს, ახალგაზრდა ქართველი კი გოლების გატანას შეეჩვივა. ალექსანდრე ამისულაშვილის ნაღიკურმა "სპარტაკმა" მორიგ ტურში მოპოვებული გამარჯვებით თითქმის გაინაღდა ელიტურ დივიზიონში დარჩენა, ქართველმა მცველმა კი მორიგი გოლი მიითვალა.

რუსული პრემიერლიგის 27-ე ტურში მოსკოვის "სპარტაკი" "როსტოვს" ეთამაშებოდა და ანგარიშით 5:1 დაამარცხა მეტოქე. ჯანო ამჯერადაც სასტარტო შემადგენლობაში იყო და, ლამაზ გოლთან ერთად, საგოლე გადაცემაც მიითვალა. რუსულმა მედიამ ქართველი 6.5 ქულით შეაფასა. "სპარტაკში" ამაზე მაღალი შეფასება მხოლოდ ველინგტონმა და ალექსმა მიიღეს.

თამაშის ბოლოს ჯანომ გულმემატიკურათა ოვაციით დატოვა მინდორი და განური ფეხვების მქონე კონსი ოვუსუ-აბიეს დაუთმო ადგილი. ქართველ ტალანტს დაღლაც კი არ შესტყობია. არადა, 10 კილომეტ-

რამდე მანძილი დაფარა და, ამ მხრივ, ორივე გუნდის შემადგენლობაში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

რაც შეეხება რუსეთის ჩემპიონატის ლიდერ ყაზანის "რუბინს", მან "კრილია სოვეტოვი" დაამარცხა - 4:1. სურკრი რევიშვილი და ლაშა სალუქვაძე სათადარიგოთა სკამიდან არ წამოდგარან, დავით კვიციანი კი "რუბინის" განაცხადში არ ყოფილა.

უალრესად მნიშვნელოვანი მატჩი მოგო ნაღიკის "სპარტაკმა". მან "ყუბანი" დაამარცხა - 4:0.

ალექსანდრე ამისულაშვილი ჩინებულ ფორმაშია. "ყუბანთან" საშინაო მატჩში ნაღიკელებმა 4:0 გაიმარჯვეს, ალექსანდრემ კი 64-ე წუთზე გამოიჩინა თავი. ბიკაევის ჩანო-დების შემდეგ ყუბანელთა კარის დარაჯმა სტეპანოვმა ბურთი ვერ შეიმაგრა, დასწრებაზე კი ამისულაშვილმა იმარჯვა და ანგარიში 2:0 გახადა.

ქართველმა მცველმა შეუცვლელად ითამაშა, "სპარტაკის" ქართველი ფორვარდი დავით სირაძე კი 88-ე წუთზე ბოსნიელმა ლაგომ შეცვალა. Championat.ru-მ ამისულაშვილს გუნდში ყველაზე მაღალი შეფასება - 6.5 დაუწერა, სირაძეს კი 5.5 ერგო.

მატჩის შემდეგ ამისულაშვილი რუს ჟურნალისტებსაც ესაუბრა. "ფეხბურთი შეცდომების გარეშე წარ-

მოუდგენელია. მეკარე უხეშად შეცდა. ჩვენ კი შანსი გამოვიყენეთ. თანაც, მეც ნუ დამიკარგავთ გარჯას, საჭირო დროს საჭირო ადგილას აღმოვჩნდები. მარტამ კარში დაარტყა. ეს დამუშავებული კომბინაციაა. ყველას ეგონა, რომ ჩაანვდიდა, მან კი დაარტყა და მეკარეც ამიტომ შეცდა. ასეთი რამ ვარჯიშებზე ხშირად გავვიკეთებთ. ვფიქრობ, ამ გამარჯვებით პრემიერლიგაში დარჩენა დავიბევეთ. გატანილმა გოლმა დავგამშვიდა და მეტი თავდაჯერებულობა შეგვიძინა. დავტოვებ თუ არა სეზონის შემდეგ "სპარტაკს"? ამ კითხვაზე პასუხი ჯერ არ მაქვს. გუნდი მომწონს, თუმცა ყველაფერი იმაზე დამოკიდებულია, თუ რა შემთავაზებები მექნება და რა პოზიციას დაიჭერს "სპარტაკი".

ქართველ ფეხბურთელთა გარეშე ჩაიარა "ტომისა" და "ლოკომოტივის" დაპირისპირებამ, რომელშიც მოსკოველებმა 3:1 გაიმარჯვეს. მალხაზ ასათიანს დისკვალიფიკაციის გამო არ უთამაშია, დავით მუჯირი კი, რა ხანია, რკინიგზელთა გუნდის განაცხადშიც ვერ ხვდება.

მოსკოვის ცსკა-სთან გასვლითი მატჩი 0:1 ნააგო გროზნოს "ტერეკმა", რომლის მაისურითაც ლევან გვაზავამ 73-ე წუთიდან ითამაშა, გოგითა გოგუა კი სტუმართა განაცხადში ვერ

მოხვდა.

იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში "მილანის" სასტარტოში კახა კალაძემ ითამაშა. "როსონერიმ" ბორიელოს დუბლის წყალობით "პარმა" 2:0 დაამარცხა, ჩვენებურმა კი 90 წუთი გაატარა მინდორზე.

გერმანიის ბუნდესლიგაში კი, ამ სეზონში პირველად "შალკეს" რიგებში, არც ერთ ქართველს არ უთამაშია. გელზენკირხენელები "ლევერკუზენს" ფრედ - 2:2 ეთამაშნენ. ყენიას ტრავმა ანუხებს. რაც შეეხება ლევან კობიაშვილს, საგარაუდოდ, ის მაგათის გუნდს ზამთარში ან სეზონის ბოლოს დატოვებს. გუნდში მაგათის მოსვლის შემდეგ "კობი" არცთუ სახარბიელო მდგომარეობაში აღმოჩნდა.

"ჰოფენჰაიმთან" საშინაო მატჩი 0:1 ნააგო დავით თარგამაძის გარეშე მოთამაშე "ფრაიბურგმა", რომელიც 10 ქულით მე-13 ადგილამდე დაქვეითდა.

მეორე ბუნდესლიგაში ალექსანდრე იაშვილის "კარლსრუემ" "ფორტუნასთან" გასვლითი მატჩი 0:1 ნააგო. ქართველმა კაპიტანმა ტრადიციულად 90 წუთს იასპარეზა.

ჩემპიონატის ერთ-ერთ ლიდერ "კაიზერსლაუტერნთან" მატჩში 0:1 ნააგო მათე ლვინიანიძის "მიუნხენ

1860". ქართველმა მცველმა ზავარიელთა ღირსება 90 წუთის განმავლობაში დაიცვა.

საფრანგეთის პირველობაზე აუტსაიდერთა რიგებში რჩება გიორგი მაკარიძის "ლე მანი", რომელმაც "ნიკასთან" გასვლითი შეხვედრაში 0:1 ნააგო. ქართველი გოლკიპერი სტუმართა განაცხადში არ ყოფილა.

ამჯერად უგოლოდ დაასრულა მატჩი გიორგი შაშიაშვილმა, რომლის "ეგროტალიესმა" საბერძნეთის ჩემპიონატის მორიგ ტურში აკეთან გასვლითი მატჩი ფრედ - 2:2 დაასრულა.

უკრაინის ჩემპიონატის მე-12 ტურში ლვოვის "კარპატმა", რომელშიც ალექსანდრე გურული ირიცხება, კიევში, "დინამოსთან" თამაშში აიღო ქულა. მატჩი ფრედ - 1:1 დასრულდა, რაც უკრაინის პირველობის მორიგ ტურში მთავარ სენსაციად უნდა მივიჩნიოთ. ამ შეხვედრას გურული სათადარიგოთა სკამიდან ადევნებდა თვალყურს.

2:1 დასრულდა სიმფეროპოლის "ტავრიასა" და დნეპროპეტროვსკის "დნიპროს" მატჩი. მასპინძელთა ქართველი თავდამსხმელი ვასილ გიგიაძე 59-ე წუთამდე გაისარჯა, სტუმართა ქართველი ფეხბურთელები ჯაბა კანკავა და ბექა გოცირიძე კი კარგა ხანია ტრავმირებული არიან.



## დიდი წარმატება, სწორი არჩევანით ინყება!

შპს "ინტელექტ ცენტრი" ერთ-ერთი მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრია საქართველოში, სადაც თავმოყრილი არიან ერთ გუნდად შეკრული პროფესიონალთა მთელი ჯგუფი.

შპს "ინტელექტ ცენტრის" ძირითად მიზანს წარმოადგენს იმ ადამიანთა დახმარება, რომელთაც პროფესიულ ზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, ან ახალი სპეციალობის შეძენაში ესაჭიროებათ ისეთი აუცილებელი სპეციალობების დაუფლება, რომლებიც ჩვენს სასწავლო ცენტრში ისწავლება და რაზეც დღეისათვის ნებისმიერ ინტელექტუალურ სამსახურში, (ეს იქნება სახელმწიფო თუ კერძო სექტორი,) მოთხოვნილება დღითიდღე მატულობს.

ჩვენი მსმენელები არიან არა მხოლოდ ფიზიკური პირები, არამედ ჩვენთან ახალ სპეციალობას იძენენ, ან კვალიფიკაციას იმაღლებენ სხვადასხვა ორგანიზაციის თანამშრომლები.

ინტელექტ ცენტრის" კურსდამთავრებულები აქტიურად აგრძელებენ მუშაობას სხვადასხვა სპეციალობით, სადაც სრულყოფილად იყენებენ ჩვენთან მიღებულ ცოდნას.

გთავაზობთ სასწავლო პროგრამებს:

1. კომპიუტერული პროგრამების სრული პაკეტი-როგორც დამწყებთათვის ასევე სხვადასხვა სპეციალისტად მოსამზადებელი კურსები
2. საბუღალტრო აღრიცხვა და პრაქტიკული ბუღალტერია - საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით.
3. კომპიუტერული საბუღალტრო პროგრამები - (Oris, super-fin, info)
4. ინგლისური ენა - საკომუნიკაციო, ბიზნეს და სპეციალიზირებული სასერტიფიკატო კურსები ( FCE ; PRE TOEFL; TOEFL; IELTS; GRE; )



5. ბიზნეს ადმინისტრირება -(მენეჯმენტი, ფინანსები, მარკეტინგი, სამენარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე, ფსიქოლოგიური ტრენინგი)
6. მენეჯერული მართვა და აღრიცხვა - მოკლევადიანი სასერტიფიკატო პროგრამა

7. ფინანსური მენეჯმენტი
  8. საგადასახადო საქმე
  9. სპეციალური ცხრბათიანი კომპლექსური კურსები
  10. ბიზნეს ფსიქოლოგიური ტრენინგები - (გაყიდვების ფსიქოლოგია, მარკეტინგის ფსიქოლოგია და პროექტის მენეჯმენტი)
  11. უნარ-ჩვევების მოსამზადებელი კურსები
- კურსდამთავრებულები მიიღებენ შესაბამის სერტიფიკატს. სწავლის ღირებულების გადახდა შესაძლებელია, როგორც ნაღდი და უნაღდო ანგარიშსწორებით, აგრეთვე გადარიცხვით. შპს "ინტელექტ ცენტრი" აგრეთვე გთავაზობთ ბუღალტრულ, საგადასახადო, ფსიქოლოგიურ, ბიზნეს კონსულტაციებს და სრულ კომპიუტერულ სერვისს. ჩვენთან არსებული ვებ სტუდია დაგიზადებთ პროფესიონალურ ვებ გვერდებს, შეგიქმნით თქვენი ორგანიზაციისთვის საჭირო სპეციალურ პროგრამას და მონაცემთა ბაზას. დაინტერესების შემთხვევაში იხილეთ ჩვენი ვებ გვერდი [www.intelc.ge](http://www.intelc.ge)

მის: კარგარეთელის ქ. N9, მე-2 სართ. აღმაშენებლის 133-ის კუთხეში  
**ტელ: 958112; 958113; 893618212;**  
**www.intelc.ge**  
**e-mail: intelc@yaho.com**

ნინო მღებრიშვილი - სასწავლო ცენტრის მენეჯერი



# მონაკვეთი ეროვნულ საკონკურსო ვაჭრობაზე

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
სესხი: მუნიციპალური მომსახურების განვითარების პროექტი  
კონტრაქტის ნომერი და სახელწოდება: P41198-NCB-70

ქ. ზუგდიდში გამარჯვების, ნეკრასოვის, აფაქიძის და წითელი ჯვრის ქუჩების რეაბილიტაცია

საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ბოლო ვადა: 2009 წლის 30 ნოემბერი

საქართველოს მთავრობამ მიიღო აზიის განვითარების ბანკის (აგბ) სესხი მუნიციპალური სერვისების განვითარების პროექტის დასაფინანსებლად. აღნიშნული სესხის ნაწილი გამოყენებული იქნება ზემოთ ხსენებული პროექტის დასაფინანსებლად. კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა მონაწილეს აგბ-ის უფლებამოსილი ქვეყნებიდან.

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი ("დამკვეთი") იწვევს საკონკურსო ვაჭრობაზე მონაწილეობის უფლებების მქონე ორგანიზაციებს, რომელთაც უნდა წარმოადგინონ საკონკურსო წინადადებები დალუქულ კონვერტებში ქ. ზუგდიდის გამარჯვების, ნეკრასოვის, აფაქიძის და წითელი ჯვრის ქუჩების სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად ("სამუშაოები").

სამუშაოები მოიცავს გამარჯვების (1506 მ), ნეკრასოვის (235 მ), აფაქიძის (240 მ) და წითელი ჯვრის (274 მ) ქუჩებზე საგზაო საფარის (ორფენიანი ასფ/ბეტონი ქვედა ფენა - 6სმ, ზედა ფენა - 4სმ) კაპიტალურ შეკეთებას, საერთო ფართობით 20607 მ2.

- ასევე:
  - არსებული ტროტუარების შეკეთება - 1081 მ2;
  - ახალი ბეტონის ბორდიურების მოწყობა - 274 მ;
  - საკომუნიკაციო-სათვალთვალო ქვების თავების საპროექტო ნიშნულზე გასწორება - 50 ცალი;
  - ბეტონის ღია სანიაღვრე არხების მოწყობა - 4184 მ;
  - რკ/ბ დახურული სანიაღვრე კოლექტორების მოწყობა - 32.3 მ3;
  - ეზოებში შესასვლელზე რკ/ბ ფილების მოწყობა - 196 ცალი;
  - კანალიზაციის ქსელის მშენებლობა - 613 მ;
  - საკანალიზაციო ქვების მოწყობა - 22 ცალი;
  - დახურული სანიაღვრე ქსელის მოწყობა - 120 მ (6 ცალი ჭით).
- კონტრაქტის განხორციელების პერიოდი შეადგენს 5 თვეს.
- აღნიშნულ კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლია შემდეგი კვალიფიკაციების მქონე უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს:
  - კონკურსანტს, როგორც გენერალურ კონტრაქტორს, ბოლო 5 წლის განმავლობაში წარმატებით უნდა ჰქონდეს განხორციელებული მინიმუმ ორი მსგავსი ტიპის სამუშაო, თითოეული არანაკლებ 1,5 მილიონი ლარის ღირებულებით. სამუშაოთა სირთულე შედარებული იქნება საკონკურსო წინადადებით განსაზღვრულ სამუშაოებთან;
  - საშუალო წლიური ბრუნვა ბოლო სამი წლის განმავლობაში უნდა იყოს მინიმუმ 6,8 მილიონი ლარი;
  - ლიკვიდური აქტივების და/ან კრედიტის მოზიდვის საშუალებების მოცულობა, სხვა სა-

კონტრაქტო ვალდებულებებით განსაზღვრული საკრედიტო საშუალებების გარდა, უნდა შეადგენდეს 1,9 მილიონი ლარის ექვივალენტს. კონკურსის მონაწილემ უნდა უზრუნველყოს დოკუმენტური მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ მისი ფინანსური მდგარობა არ არის შემოთავაზებული საკონკურსო წინადადების ფასზე ნაკლები;

- კონკურსის მონაწილემ უნდა აჩვენოს, რომ მისი ძირითადი პერსონალი აკმაყოფილებს მოთხოვნილ კვალიფიკაციას: მსგავსი ტიპის პროექტებში მინიმუმ 10 წლიანი სამუშაო გამოცდილება;

- კონკურსის მონაწილე უნდა ფლობდეს საკონკურსო დოკუმენტაციაში მითითებულ სამუშაოების განხორციელებისთვის აუცილებელ მანქანა-დანადგარებს, ან ვალდებულია უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა. აღნიშნული აღჭურვილობა უნდა იყოს მუშა მდგომარეობაში და უნდა შეძლოს აღნიშნულის დემონსტრირება.

ეროვნული საკონკურსო ვაჭრობა ჩატარდება აზიის განვითარების ბანკის ერთგვარდანი პროცედურის შესაბამისად: შერჩევა ერთი კონვერტის სატენდერო პროცედურების მიხედვით.

დაინტერესებულ კონკურსის მონაწილეებს დამატებითი ინფორმაციის მიღება და საკონკურსო დოკუმენტაციის ნახვა შეუძლიათ ქვემოთ მითითებულ მისამართზე 10:00-დან 17:00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა):

უფლებამოსილი პირი: ბ-ნი კონსტანტინე მგელაძე, მგფ-ს აღმასრულებელი დირექტორი, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

მისამართი: დ. აღმაშენებლის გამზ. N150, თბილისი 0112, საქართველო

IV სართული, ოთახი 405

ტელ: (+995-32) 48-45-09/10/11/15

ფაქსი: (+995-32) 48-45-55

ელ. ფოსტა: procurement@mdf.org.ge

დაინტერესებულ უფლებამოსილ კონკურსის მონაწილეებს საკონკურსო დოკუმენტაციის სრული პაკეტების შექმნა შეუძლიათ ზემოთ მოცემულ მისამართზე წერილობითი განაცხადის წარმოდგენისა და არანაზღაურებადი 200 ლარის გადახდის შემდეგ. გადახდის მეთოდს წარმოადგენს პირდაპირი დეპოზიტის ან ტრანსფერის განხორციელება შემდეგ ანგარიშზე:

მოსარგებლის სახელი: საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი  
მოსარგებლე ბანკი: რესპუბლიკა ბანკი, ცენტრალური ფილიალი, გრ. აბაშიძის ქ. N2, თბილისი, საქართველო

უცხოური ვალუტის ანგარიშის ნომერი: 341 800 01 (აშშ დოლარი)

ადგილობრივი ვალუტის ანგარიშის ნომერი: 340 800 01 (ქართული ლარი)

SWIFT Code: REPLGE22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

ყველა საკონკურსო წინადადებას თან უნდა ახლდეს გარანტია 50,000 ლარის ან აღნიშნულის ექვივალენტის ოდენობით თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაში და წარმოდგენილი უნდა იყოს ზემოთ მოცემულ მისამართზე არა უგვიანეს 2009 წლის 30 ნოემბრის 12:00 საათისა.

საკონკურსო წინადადებების გახსნა მოხდება 2009 წლის 30 ნოემბერს 12:00 საათზე იმ კონკურსის მონაწილეთა თანდასწრებით, რომელნიც მოისურვებენ აღნიშნულ პროცედურაზე დასწრებას.

## Invitation for National Competitive Bidding (NCB)

Municipal Development Fund of Georgia  
Loan: Municipal Services Development Project  
Contract Number and Title: P41198-NCB-70

Rehabilitation of Gamarjvebis, Nekrasovis, Aphakidzis, and Tsiteli Jvris Streets in Zugdidi  
Deadline for submission of the Bids: November the 30th of 2009

The Government of Georgia has received the loan from the Asian Development Bank (ADB) toward the cost of the Municipal Services Development Project. The part of the mentioned loan will be used for financing of above mentioned project. In the bidding may participate all participants from the eligible countries of the ADB.

The Municipal Development Fund of Georgia ("Employer") invites all eligible organizations to participate in the bidding. The bids should be presented in the sealed envelopes for implementation of works under the Rehabilitation of Gamarjvebis, Nekrasovis, Aphakidzis, and Tsiteli Jvris Streets in Zugdidi ("works").

The works include capital repair of the road paving on Gamarjvebis (1506 m), Nekrasovis (235 m), Aphakidzis (240 m) and Tsiteli Jvris (274 m) streets (double layer a/c bottom course - 6cm, top course - 4cm), with the total area of 20607 m2.

As well as:

- Rehabilitation of the existing sidewalks - 1081 m2;
- Installation of new concrete curbs - 274 m;
- Leveling of utility-inspection well covers to the reference mark - 50 pieces;
- Installation of open concrete storm drains - 4184 m;
- Installation of blind reinforced concrete storm collectors - 32.3 m3;
- Installation of r/c slabs at the yard entrances - 196 pieces;
- Installation of wastewater network - 613 m;
- Installation of sewage manholes - 22 pieces;
- Installation of the blind drainage network - 120 m (with 6 wells).

The project implementation period is 5 months.

In this Bidding the eligible Bidders of the following qualifications may participate:

The bidder as a general contractor should have had completed successfully at least 2 works of similar nature and complexity in the last 5 years, each with the cost not less than GEL 1,5 million. The complexity of works will be compared with the ones, defined by the Bid;

The average annual turnover for the last three years should not be less than GEL 6,8 million;

The volume of attracting the liquid assets/credit facilities besides other credit

means, defined by other contract obligations, should make up the equivalent of GEL 1,9 million. The bidder should provide the documentary evidence that its financial sustainability is not less than the cost for the proposed bid.

The bidder should show that its main staff meets the required qualification: with a minimum of 10 years working experience in similar projects.

The bidder should possess the construction plant/equipment, indicated in the bidding documentation that is essential for implementation of works, or should provide their availability. The mentioned equipment should be in working condition that may be demonstrated.

The National Competitive Bidding will be conducted in accordance with the one-stage procedure of the Asian Development Bank: Selection - in accordance with the one-envelope bidding procedures.

Interested bidders may obtain further information and see the bidding documentation at the address below from 10:00 to 17:00 hours (excluding week-ends):

Attn: Mr. Konstantine Mgeladze, Executive Director of the MDF

Municipal Development Fund of Georgia

Address: Room 405, Floor IV, 150 David Aghmashenebeli Avenue, 0112, Tbilisi, Georgia

Phone: (+995-32) 48-45-09/10/11/15/55

FAX: (+995-32) 48-45-55

E-mail: procurement@mdf.org.ge

A complete set of bidding documents may be purchased by interested eligible bidders after submission of a written application to the above mentioned address and upon payment of a nonrefundable fee of GEL 200 (two hundred). The method of payment is implementation of direct deposit or transfer to the following Account:

Beneficiary's Name: Municipal Development Fund of Georgia

Beneficiary Bank: Bank REPUBLIC, Central Branch, 2 Gr. Abashidze Street, Tbilisi, Georgia

Foreign Currency Account Number: 341 800 01 (US Dollar)

Local Currency Account Number: 340 800 01 (Georgian Lari)

SWIFT Code: EPLGE 22 C/A No.: 04-414-550 with Deutsche Bank Trust Company

Americas, NY

SWIFT Code: BKTRUS33, ABA#021001033, CHIPS UID: 379104

All bids must be accompanied by the bid security of GEL 50,000 or in an equivalent amount in freely convertible currency. The mentioned should be presented at the above mentioned address not later than 12:00 hours of November 30, 2009.

Bids will be opened in the presence of the bidders who wish to attend. The bid opening will be held at 12:00 hours of November 30, 2009.



# ლევან კობიაშვილი: "კარს ბადე რომ არ ექნება..."

დამოუკიდებელი საფეხბურთო საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი საუკეთესო ლევან კობიაშვილია. გერმანიაში გატარებულ წლებში მალაღობი დონის პროფესიონალად ჩამოყალიბდა და ეს შეეხებოდა არა მარტო საფეხბურთო პროგრესს, არამედ მის ყოველდღიურ ცხოვრებასაც. პირადად ჩემთვის "კობი" პროფესიონალიზმის თვალსაჩინო მაგალითია - ის, თუ როგორ უნდა იყოს მოთამაშე, ის, თუ როგორ უნდა მოიქცეს არა მარტო საფეხბურთო წრეებში, და ისიც, რომ წარუმატებლობის შემთხვევაში, კითხვაზე კითხვით კი არ გიპასუხოს, არამედ მკაფიო და ალალი პასუხი გაცეს. სამწუხაროდ, ჩვენი ნაკრების ზოგიერთი მოთამაშე ამ პრინციპებამდე ჯერ ვერ მივიდა და, საერთოდაც, ან მივა, ან - არა.

ბოლო პერიოდში ლევანის საკლუბო კარიერა არცთუ წარმატებულია. კობიაშვილი თითქმის ვეღარ ხვდება "შალკეს" შემადგენლობაში, ბუნდესლიგის უკანასკნელ ტურში, "ლევერკუზენთან" საშინაო მატჩში კი განაცხადშიც არ ყოფილა. გუშინ სალაშოს ლევანს ტელეფონით ვესაუბრე. მან ჩვენთვის საინტერესო უამრავ შეკითხვაზე გვიპასუხა.

## ზურაბ თალაქვაძე

- ლევან, ბუნდესლიგის ბოლო ტურით დავიწყეთ. მოკლედ, ჯერ "ჰამბურგი", მერე "ლევერკუზენი". ორივესთან ორბურთიანი ჰანდიკაპის გაბათილება დაგჭირდათ. რა გიშლით ხელს, რომ უპირატესობა თავიდანვე თქვენს მხარეს იყოს?

- "შალკე" ფიზიკურად ძალიან კარგად არის მომზადებული. ასე რომ არ იყოს, გაგვიჭირდებოდა ასეთ სერიოზულ მეტოქეებთან მატჩის ბოლო წუთებამდე მთელ მოედანზე მჭიდრო პრესინგით თამაში, ყოველი სანტიმეტრისთვის ბრძოლა. ფელიქს მაგათი არაჩვეულებრივი სპეციალისტია და ჩემი ქება ნამდვილად არ სჭირდება. თავისი შეხედულების მიხედვით აყალიბებს გუნდს, ცდილობს, რაც შეიძლება, მეტი ახალგაზარდა ჩართოს გუნდში და ყველას მისცეს თავის გამოჩენის შანსი. სხვა საქმეა, რამდენად კმაყოფილია ყველა მოთამაშე მაგათის ხშირი როტაციით, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: "შალკეს" ძალიან ძლიერი სპეციალისტი უდგას სათავეში. ის აძლევს შანსს ისეთ მოთამაშეებს, როგორებიც არიან მორიტცი, დამბრანო, ჰოლტი და ბიჭები გრძობენ მწვრთნელის ნდობას, რაც შედეგზე აისახება. თქვენს მიერ ნახსენები მატჩები კი... რა გითხრათ, ვარდა იმისა, რომ ორჯერვე რთული მეტოქის წინააღმდეგ მოგვიხდა თამაში. კარგია, რომ ვერც ერთმა ვერ დაგვამარცხა. "შალკე" ნელს გაცილებით კარგად თამაშობს სტუმრად, ვიდრე საკუთარ მოედანზე. ამას კი ნამდვილად ვერ ავხსნი. მაგათს ფეხბურთზე თავისი შეხედულება აქვს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ გუნდი ლიდერთა ჯგუფშია და ეს, მიუხედავად იმისა, რომ ბევრ ძლიერ გუნდს უკვე შეეხვედით. თანაც გაიხსენეთ, რომ ფელიქსს "ვოლფსბურგში", რომელმაც შარშან ასი პროცენტით დაიმსახურა ჩემპიონობა, პირველივე სეზონში განსაკუთრებული შედეგი არ ჰქონია, მაგრამ გუნდის ხელმძღვანელობა მას ბოლომდე ენდო და მაგათმაც გუნდი მწვერვალზე აიყვანა. "ბაიერნს" არ ვახსენებ, რადგან იქ ფელიქსს არაჩვეულებრივი მოთამაშეები ჰყავდა.

- ჩვენთვის ყველაზე საგულისხმო ის არის, რომ ლევან კობიაშვილი არ თამაშობს. რა არის ამის მიზეზი?

- ხომ გითხარით, მაგათს თავისებურად ესმის ყველაფერი. საინტერესოდ არჩევს სტრატეგიას, სამატჩო განაცხადში შესაყვან მოთამაშეებს. ვარჯიშებზე ბოლომდე ვინარჯები, თავს არ ვზოგავ, მაგრამ მთავარი მწვრთნელი ფელიქსია და ვერაფერს შევცვლი.

- **იანვარში სატრანსფერო ფანჯრის დახურვამდე გუნდის გამოცვლა საბოლოოდ გაქვთ გადაწყვეტილი?**

- კი. ალბათ სხვაგან გავაგრძელებ კარიერას. არც იმას გამოვიცხადებ, რომ სეზონის ბოლომდე "შალკეში" ვიყო, თუმცა მირჩევენია, ცვლილება იანვრის ბოლომდე განხორციელდეს. უფრო მშვიდად ვიქნები. გუნდის გამოცვლა გადაწყვეტილია არა საფეხბურთო, არამედ სულ სხვა ფაქტორებმა და, თუ ნება მომცემთ, ამ მიზეზების დასახელების განჯერებობით თავს შევიკავებ. დაველოდოთ მოვლენების განვითარებას და ვნახოთ, რა მოხდება.

- **თავისთავად, გირჩევენიათ, რომ, თუნდაც გუნდის გამოცვლის შემთხვევაში, ბუნდესლიგაში დარჩეთ, არა?**

- კი, მირჩევენია. უკვე 15 წელიწადია, გერმანიაში ვთამაშობ და აქაურობას შევეჩვიე. ესეც რომ არა, მყავს ოჯახი. ასეთ შემთხვევაში ყოველთვის ძნელია შეჩვეულ გარემოსთან განშორება. გადაწყვეტილებას არა მხოლოდ შენი, არამედ (და უმთავრესად) ოჯახის საკეთილდღეოდ იღებ. იმედი მაქვს, ჩემი არჩევანი ოჯახის წევრებისთვის მისაღები იქნება.

- **ახლა წლევანდელ ბუნდესლიგას გადავავლოთ თვალი. ლიდერებში არც "ბაიერნია", არც "ვოლფსბურგი" და, გაძლიერების მიუხედავად, "შტუტგარტის" კატასტროფულ ფეხბურთს თამაშობს. განვილოთ 11 ტური შევავსათო და... რა იქნება შემდგომში?**

- სეზონის ბოლოს ნებისმიერი ადგილი, პირველის გარდა, "ბაიერნისთვის" წარუმატებლობად ფასდება. გადავხედო გუნდის შემადგენლობას - არაჩვეულებრივი მოთამაშეები არიან. უდიდესი სპეციალისტია ლუის ვან გაალი, მაგრამ ახალ მწვრთნელს აკლიმატიზაციისთვის გარკვეული დრო სჭირდება. იგივე შემთხვევა ვთქვა მოთამაშეებზეც. მოკლედ, დარწმუნებული ვარ, სეზონის ბოლოს "ბაიერნი" მისთვის შესაფერის ადგილზე იქნება.

- **ესე იგი...**

- ესე იგი, პირველ ადგილზე. ეს გუნდი მშვენივრად კია დაკომპლექტებული, მაგრამ შემადგენლობის მხრივ ყველაზე მეტად მაინც "ჰამბურგი" მომწონს. ძალიან კარგი სეზონი აქვს ელიას, ზე რობერტო სტაბილურია, მაგარ ფორმაშია და გუნდის წარმატებული თამაშის ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიცაა. თავისთავად, კარგად მუშაობენ მწვრთნელებიც. რაც შეეხება "შტუტგარტს", მიჭირს ამ გუნდის წარუმატებელი თამაშის მიზე-



ზის პოვნა. დამატებს ჰლბები, პოგრენი-აკი. მანამდეც კარგი შემადგენლობა ჰყავდათ, მაგრამ ვერ თამაშობენ... ამ გუნდს შეიძლება პირველ ხუთეულში შესვლაც კი გაუჭირდეს. მართალია, ჯერ მხოლოდ 11 ტურია გასული, მაგრამ "შტუტგარტმა" უკვე ბევრი ქულა დააკარგა. ვერ თამაშობს დორტმუნდის "ბორუსია", თუმცა მომენტებში ლამაზ ფეხბურთს აჩვენებს. რაც შეეხება "ვერდერს", მიუხედავად იმისა, რომ გუნდი ბოლო დროს თითქმის არ კარგავს ქულებს და რამდენიმე ძლიერი მოთამაშე ჰყავს, ჩემპიონობისთვის ვერ იბრძოლებს. "ლევერკუზენზე" კი რაიმე პროგნოზის გაკეთება მიჭირს. ვნახოთ...

- **"შალკე"?**

- "შალკე" საპრიზო ადგილისთვის იბრძოლებს. სხვას ნამდვილად ვერაფერს გეტყვით. შემადგენლობა კარგი გვყავს. მთავარია, დაუგეგმავი ქულები არ დაკარგოთ და მწვრთნელის ყველა დავალება შევასრულოთ. მაშინ შედეგიც მოვა.

- **ახლა ჩვენთვის მტკივნეულ თემას - ეროვნულ ნაკრებს დავუბრუნდეთ. რა დონის, სადაური მწვრთნელი უნდა გვყავდეს, რომ ნაკრებმა ასეთი უსახური ფეხბურთი არ ითამაშოს? თუ მარტო მწვრთნელი არ არის საქმე?**

- არაერთხელ მითქვამს, რომ, რაოდენ მალაღობი დონის სპეციალისტიც არ

უნდა ჩაუდგეს ნაკრებს სათავეში, ყველაფერი კომპლექსურად უნდა მოხდეს. მწვრთნელი თავის საქმეს პირნათლად და რომ ასრულებდეს, თუ მოთამაშემ მისი დავალება მინდორზე ვერ შეასრულა, აზრი არა აქვს არც საფარჯიმო პრეტესს და არც იმას, რომ, ამ შემთხვევაში, კუპერი საქართველოს ჩემპიონატის მატჩებს ესწრება და ერთგულად ასრულებს თავის სამუშაოს.

- **კუპერის "უილბლს" იარლიყიც გაცვდა. ვერა?**

- ალბათ, ასეა. თუმცა, ჩემპიონთა ლიგის ორი ფინალის ნაგება, იტალიის ჩემპიონატის ბოლო ტურში "სკუდეტოს" დაკარგვა მაინც გასახსენებელია. ამასთან, ჩვენს შემთხვევაში ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთან მუშაობისას ნაჩვენები ცუდი შედეგების მიუხედავად, ექტორ რაულ კუპერი უმაღლესი დონის სპეციალისტად მიმაჩნია. შეცდომები მანაც დაუშვა, მაგრამ რა უნდა ქნას მწვრთნელმა, როდესაც მთელი თამაშის განმავლობაში ნახევარმცველი მეტოქის კარისკენ არც კი იხედება, მცველს ბურთი ფეხებში უძვრება, მეკარე კი გამოტანისას ბურთს მოინა-ალმდეგს ურტყამს? მოედანზე გავიდეს და მაისური ჩაიცვას? ვიცი, რომ კუპერი ფეხბურთელობისას მცველი იყო, მაგრამ ნაკრებში სათანადოდ ცოტა გადაბე-რებულია, არა? "შალკეს" კარს იცავს


ნოიერი და, ვერ წარმოიდგენთ, როგორ მშვიდად ვართ, რადგან ვიცი, რომ ის არ დაგვალალებს და თუ შეცდება, ამ შეცდომას მეორეს აღარ მიაყოლებს. ჩვენი ნაკრების მეკარეები ჩემი მეგობრები არიან, მაგრამ... ფაქტია, რომ რბილად რომ ვთქვათ, არ უმართლებდათ იმ კონკრეტულ ეპიზოდებში.

- **ერთ-ერთ უკანასკნელ ინტერვიუში თქვით, რომ ბულგარეთთან მატჩი თქვენთვის შესაძლოა სანაკრებო კარიერის ბოლო ნაბიჯი ყოფილიყო. საბოლოოდ გადაწყვეტილად ნაკრებიდან ნასვლა?**

- თუ გულშემატკივრები წარუმატებლობაში ლევან კობიაშვილს ადანაშაულებენ, ნავალ, მაგრამ არ მიყვარს დანყბნული საქმის მიტოვება და მინდა, ჩემი მოთამაშეობისას, ნაკრები ნაკრებს დაემსგავსოს. არ უნდათ ნაკრებში ჩემი თამაში? ეს ცხოვრება ჩემით არც იწყება და არც მთავრდება. უპრობლემოდ გავიხურე კარს, მაგრამ კობიაშვილის, კალაძის ნასვლით საქმე გამოსწორდება? მეექვსეა, ასე იყოს. ჩემს დანაშაულს ვაღიარებ, მაგრამ სხვის წილ პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე ვერც ავიღებ და არც ავიღებ. ყველამ აგოს პასუხი თავის შეცდომებზე და, დამიჯერეთ, ასე ყველასთვის უკეთესი იქნება. ჩამოგყავს ბოლო წლების მსოფლიოს გამორჩეული მწვრთნელი და მორჩა? საქმე გაკეთებულია? ასე რომ არ არის, ეს ამ შესარჩევ ციკლიც გამოჩნდა. რამდენი წელიწადია საუბრობენ, რომ ნაკრებს აქვს არაჩვეულებრივი ბაზა, სადაც სავარჯიშოდ ყველა პირობაა შექმნილი... ნანახი გაქვთ ის ბაზა? მოედანზე ბალახი არ იყო, იყო ერთი კარი, რომელსაც არ ჰქონდა ბადე. ყოფილა შემთხვევები, რომ მოთამაშეებს მეორე კარის ნაცვლად ორი ჯოხი დაგვიმარებია და ასე ვვარჯიშობდით. ეს თუ არაჩვეულებრივი პირობებია, ეგ იგი, სიტყვა "არაჩვეულებრივის" მნიშვნელობა ბევრს სხვა-ნაირად ესმის.

- **კუპერს სანაკრებო კადრების შერჩევისას დაშვებული შეცდომების გამოც აკრიტიკებდნენ.**

- ყველა მწვრთნელს თავისი შეხედულება აქვს. საქართველოს ნაკრებში მუშაობისას კუპერი საკლუბო დონეზე შექმნილ გამოცდილებას ეყრდნობოდა, იმ-ვითად ცვლიდა უშუალოდ სამატჩო განაცხადს, მაგრამ ეს მისი საქმე იყო. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მოთამაშეებმა ბევრი შეცდომა დაუშვეს, ჩვენს კარში გატანილ გოლებზე კი კურიოზების ამ-სახველი კლიბის გადაღებაც შეიძლება. ფაქტია, რომ ციკლი ჩავადეთ და ახლა ამას აღარაფერი ეშველება. კუპერი არ იძახებდა ასათიანს, გოგუას, სხვებს, მაგრამ ვისაც იძახებდა, მათ ხომ უნდა ეგრძნობთ, რომ მწვრთნელი ენდობა და მეტი პასუხისმგებლობით გაკეთებინათ ყველაფერი? იტალიასთან კახა კალაძის შეცდომები ბევრმა დაინახა და სხვა არაფერი დაუნახავთ? იტალიის ნაკრებში ლიბი დელ პიეროს და ტოტის არ იძახებს, მაგრამ ნეტავი იტალიასავით გვქონდეს ანყობილი საქმე და თითო დელ პიეროს და ტოტის არყოფნას ჩვენც გადავიტანთ. ასე რომ, ბევრი რამ არის შესაცვლელი და იმედი მაქვს, პროგრესი იქნება.



**GEONET**  
**my host**

შენი ადგილი ინტერნეტში  
[www.myhost.ge](http://www.myhost.ge)

# 3 თვე უფასო

## ჰოსტინგი

☎ 470000

✉ [info@myhost.ge](mailto:info@myhost.ge)

უფასო





### ინფორმაცია საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ 2009 წლის ოქტომბრის თვეში განსორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1) გაზეთ "24 საათში"-ში 2009 წლის 3 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის წესი-ურავის საავტომობილო გზის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "არილი"

2) გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 26 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქრებლო-ნიკორწმინდას საავტომობილო გზის პერიოდული შეკეთების სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "ამბროლაურგზა-7".

3) გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 26 აგვისტოს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ქუთაისი-ალპანა-მამისონის უღელტეხილის საავტომობილო გზის 32-ე კმ.-ზე სტიქიის შედეგად დაზიანებული რკინა/ბეტონის მი-

ლის აღდგენის სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "სახარია"

4) გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 14 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა N6 ზონაში შემავალი საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების (ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის (სომხეთის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ.4-97; დიდი დმანისი-დმანისი-ბედიანის საავტომობილო გზის კმ.1-70.2; ბოლნისი-სიონის მონასტერი-წულრულაშენის საავტომობილო გზის კმ.1-11.7; ქვეში-ძეძენარი-სი-ტანძიას საავტომობილო გზის კმ.1-8.7; ფონიჭალა-მარნეული-გუგუთის ს/გზა - თამარი-სი-დარეჯანის სასახლეს საავტომობილო გზის კმ.1-1.1) მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვა) სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "N2 საგზაო საქსპ-ლუბატაციო სამმართველო"

5) გაზეთ "24 საათში" 2009 წლის 17 სექტემბერს გამოცხადებულ ტენდერში, რომელიც შეეხებოდა შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მარტვილი-ტალერი-ჩხორონყუს საავტომობილო გზის კმ.25 პკ.7+16-ზე რკინაბეტონის მილის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვას, გამარჯვებულად გამოცხადდა - შ.პ.ს. "აჟური"

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის სატენდერო კომისია

1. ქ. თბილისის N166 საჯარო სკოლა (მისამართი: ქ. თბილისი, ა.წერეთლის გამზირი N42) აცხადებს კონკურსს სკოლის ბალანსზე რიცხული, შენობის: 228 კვ.მ ფართი დარბაზის - სპორტული და ქორეოგრაფიული წრეების ფუნქციონირებისათვის;

იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე. იჯარის ვადა: 3 წელი. საკონკურსო პირობებია: ეკოლოგიური, სანიტარულ - ჰიგიენური და ხანძარსაწინააღმდეგო პირობების დაცვა; საი-ჯარო ფართში ელექტროენერჯის, დაკავებული ფართის მიხედვით ზამთრის პერიოდში პრო-

